# ლელო

გამოცემის 75-ე წელიწადი

№034(12713) 12 თებერვალი ხუთშაბათი 2009 ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# 40 ორმაგი დუბლი



>> 12

სეზონის მესამე, კარიერის მეორმოცე

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# გულო, სანამ გაგვიძლებ?

## საქართველომ მოგება ვერ ისწავლა >> 2



იაშვილს გააქვს გოლი ირლანდიელთა კარში



>> 11

## ხელშეკრულება

ირლანდიასა და საქართველოს შორის



## მარადონამ შეიძლება დომენეკი შეიწიროს

საკვალიფიკაციო და ამხანაგური მატჩები >> 15



## ნორვეგიული სიურპრიზი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველომ მოგება ვერ ისწავლა

**მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. VIII ჯგუფი**

11.02. დუბლინი. კროკ პარკი. 65 000 მაყურებელი

**ირლანდია-საქართველო 2:1**

0:1 იაშვილი (1. სირაძის პასით), 1:1 კინი (73. პენ.), 2:1 კინი (78. დაფის პასით).

ირლანდია (4-4-2): გივენი - კელი, ო'ში, დანი, კილბეინი - მაკგიდი, უელანი, ენდრიუსი, დაფი (80. ს. ჰანტი) - კინი (კ), დოილი.

*სათადარიგოები: კაილი, დელეინი, ფოლი, კოგი, ჯიბსონი, ნ. ჰანტი*

საქართველო: (4-3-2-1): ლომაია - ლობჟანიძე, ხიზანიშვილი, კალაძე (კ), კვირკველია - მენთეშაშვილი (70. ხმალაძე), რაზმაძე, კობიაშვილი - გოცირიძე (68. მერებაშვილი), იაშვილი - სირაძე (77. ალექსიძე).

*სათადარიგოები: კვასხვაძე, კვახაძე, ოდიკაძე, მარცვალაძე.*

გაფრთხილება: მენთეშაშვილი (28), ლობჟანიძე (35), კვირკველია (53), ენდრიუსი (58), კობიაშვილი (66), ხიზანიშვილი (73).

არბიტრი: ი. ჰიიტია (ფინეთი)

**სტატისტიკა**

| | | |
|---|---|---|
| 12 | კარისკენ დარტყმა | 4 |
| 8 | კარში დარტყმა | 3 |
| 15 | ჯარიმა | 22 |
| 10 | კუთხური | 3 |
| 2 | თამაშგარე | 2 |
| 57 | ბურთის ფლობა | 43 |

ოცნება პირველი წუთიდან დაიწყო და 74-ზე დასრულდა - ფინელმა არბიტრმა **იუნი ჰიიტიამ** პენალტი დანიშნა, ალბათ, მოეჩვენა, რომ **უჩა ლობჟანიძემ** ხელით ითამაშა. ფეხბურთი დრამაა და მსაჯიც ადამიანია, უსამართლობა და შეცდომები ფეხბურთის ნაწილია, თუმცა განა მხოლოდ ამან განაპირობა საქართველოს ნაკრების მარცხი?

**ექტორ კუპერის** გუნდმა მაინცდამაინც კარგად ვერ ითამაშა. პირველი გოლით დაქოქილ საქართველოს ხელახლა დაქოქვაც დასჭირდა, მაგრამ დამქოქი არარავინ იყო - ვფიქრობთ, ეს უფროა მიზეზი ჩვენი გუნდის მარცხისა, ვიდრე ფინელი არბიტრის შეცდომა. ისიც გავიხსენოთ, რომ ჰიიტიამ პირველ ტაიმში **კიტ ენდრიუსის** გოლი არ ჩათვალა - საკამათო გადაწყვეტილება იყო ჩვენს სასარგებლოდ...

**ლობჟანიძე-სირაძე-იაშვილი:** ამ სამსვლიანმა კომბინაციამ გოლი მოგვიტანა. მერე იაშვილი ერთხელაც დაემუქრა ირლანდიას და **შეი გივენმა** კუთხურზე მოიგერია ბურთი. ირლანდიას დრო დასჭირდა გონზე მოსასვლელად, საქართველოს ნაკრებს კი არა ერთხელ მიეცა კარგი კონტრშეტევის შანსი, მაგრამ ჩვენს გუნდს სისწრაფე აკლდა. ირლანდიამ ფლანგების გაშლა მოისურვა და ეს არც თუ ურიგოდ გამოუვიდა - **აიდენ მაკგიდი** და **დემიენ დაფი** ქართველთა დამცავ ეშელონებს მოსვენებას არ აძლევდნენ...



სისწრაფის მომატების კუპერის გუნდს თითქოს ცეცხლივით ეშინოდა - რაც არ შეგიძლია შენ, იმას აკეთებს მოწინააღმდეგე. სელტიკელი მაკგიდი მართლაც ყოჩაღი ყმაწვილი გამოდგა - პირველ ტაიმში არა ერთხელ უთავაზა ჩვენს დაცვა-ნახევარდაცვას, ერთხელ **გიორგი ლომაიასაც** მოუწია მისი შორეული დარტყმის მოგერიება.

ფეხბურთი გრძნობების თამაშიცაა. ჩვენმა ნაკრებმა იგრძნო და დაიჯერა, რომ დუბლინიდან 3 ქულის წამოღება რეალური იყო, მიუხედავად უხვი პრობლემებისა. ბოლოს და ბოლოს, საქართველომ ირლანდიას პირველი ტაიმი მოუგო...

კუპერის შრომა ჩანდა, მაგრამ არ ჩანდა კლასი - ცალკეული ფეხბურთელები მზად არ აღმოჩნდნენ, გაეძლოთ ინგლისური პრემიერლიგის დარი ტემპისა, ალღო აელოთ სწრაფი თამაშისთვის. კუპერისეული სელექციის მართებულობასაც ძალიან დიდი კითხვის ნიშანი უწერია. თავი არ უნდა მოვიტყუოთ - შესაძლოა, ბევრს მოსწონს კუპერის მიდრეკილება დისციპლინიანი, მაგრამ არც თუ ნიჭიერი ფეხბურთელებისადმი, მაგრამ პრინციპი თუ დაირღვა, საქმე როგორღა გამოვა? ნაკრებს ერთი წესი აქვს - იქ საუკეთესოებმა უნდა ითამაშონ...

შესვენების შემდეგ საქართველოს ნაკრებმა შეტევა დაკარგა, მეტოქეს ვერ „ახრჩობდა", ფაქტობრივად, დაცვაში ჩაჯდა. **ზურაბ ხიზანიშვილმა** არა ერთხელ წაიკითხა ირლანდიელთა სვლები, **კახა კალაძემ** არა ერთი ორთაბრძოლა მოიგო, ჩვენმა ფეხბურთელებმა არა ერთი „საჭირო" ჯარიმა „აიკიდეს", იყო მონდომებაც და სათამაშო დისციპლინის მაგალითებიც, დაზღვევაც, თავგანწირვაც, ბოლოს და ბოლოს, მეორე გოლიც გავიტანეთ (რომელიც არ ჩაითვალა), მაგრამ...

...მაგრამ არ იყო ფეხბურთელი, ვინც ბურთს დაიჭერდა და თანაგუნდელებს ამოსუნთქვის საშუალებას მისცემდა, არ იყო ფეხბურთელი, ვინც მეტოქის საჯარიმოსთან ახლოს ბურთს მიიღებდა და სწორად გაანაწილებდა, არ იყო ფეხბურთელი, ვინც თამაშს საკუთარ თავზე აიღებდა, არ იყო სწრაფი შეტევა...



ირლანდიელები ყოველივე ამას გრძნობდნენ, მაგრამ 74-ე წუთამდე გოლი ვერ გაჰქონდათ და ნერვიულობდნენ. დაფი და მაკგიდი ცელივით სხლავდნენ ჩვენს ნახევარს, მთელი სიმძიმეც დაცვასა და ლომაიას დააწვათ.

ანგარიშის გათანაბრებას ჩვენი ნაკრების წელში გატეხვა და **რობი კინის** სამქულიანი გოლი მოჰყვა. ჩვენი გუნდი დაიწრიტა. მატჩის მიწურულს ირლანდია ჩვენი ფეხბურთელებისგან, ალბათ, შმაგ შეტევებს ელოდა და უკან დაიხია - აქ კი უღალატა ინტუიციამ **ჯოვანი ტრაპატონის** გუნდს - ჩვენებს არ ჯეროდათ, რომ წაგებას გადაურჩებოდნენ.

ეს ყველაფერი ტელევიზორიდან ნანახი და აღქმულია. ლოგიკა, ფაქტი და შედეგი გრძნობის გარეშე ძალიან მშრალია. ფეხბურთი ტელევიზორში - ვერ იქნება მხოლოდ ყუთი და სუბიექტურობის საფუძველს ესეც იძლევა - განა არ იგრძნობოდა, რომ საქართველოს ნაკრებმა, უბრალოდ, არ იცის ასეთი მატჩის მოგება?

არცოდნა-არცოდვის ამბავი კი ჩვენი გასარჩევი არ უნდა იყოს, ხოლო კუპერის გუნდზე სალაპარაკო, ალბათ, ბევრი იქნება...

დავით **თავართქილაძე**

---

ლეგიონერი



ჯანო ანანიძე

## ანანიძემ ნასიონალი გაანადგურა

გუშინ იტალიაში, „ვიარეჯოს თასზე", მოსკოვის „სპარტაკის" ახალგაზრდულ გუნდში თავი გამოიჩინა 16 წლის ქართველმა **ჯანო ანანიძემ.** „სპარტაკის" დუბლები მეორე ტურში პარაგვაის „ნასიონალს" შეხვდნენ და ქართველმა, ფაქტობრივად, მარტომ დაარბია სამხრეთამერიკელები - რუსულმა გუნდმა 5:2 მოიგო, ანანიძემ გოლი და საგოლე პასი მიითვალა, მატჩშიც ყველაზე აქტიური იყო. თავიდან, ანანიძის ძლიერ დარტყმას პარაგვაელთა გოლკიპერი გაუმკლავდა, რამდენიმე წუთში კი „ნასიონალი" დაწინაურდა, თუმცა ჯანომ მარჯვენა ფლანგზე ორი მეტოქე ჩამოიცილა, საჯარიმოში შეიჭრა და **იაკოვლევს** გაათანაბრებინა. ამის მერე სწორედ ანანიძემ დააწინაურა თავისიანები. ამ შეხვედრაში პირველი 75 წუთი ითამაშა **ირაკლი ჭეჟიამ,** რომელიც რუსეთის მოქალაქეა. „ვიარეჯოს თასზე" ისეთი ცნობილი გუნდები თამაშობენ, როგორებიც არიან „ინტერი", „იუვენტუსი", „რომა" და „მილანი". „სპარტაკი" მე-5 ჯგუფშია. ამ გუნდს 2 თამაშიდან 3 ქულით მეორე ადგილი უკავია.

ანანიძე საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებებში ასპარეზობს. 2007 წელს ჩვენმა გუნდმა რუსეთის 17-წლამდელთა ნაკრებთან ორი სპარინგი გამართა და ჯანომ ორივე მატჩში თითო გოლი გაუტანა რუსებს. სხვათა შორის, ახლახან, 17-წლამდელთა ნაკრების თავკაც **გელა შეყილაძეს** ევროპულ შეკრებაზე რამდენიმე ლეგიონერის წაყვანა სურდა, მათ შორის, ანანიძის, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა. ჭაბუკთა ნაკრებში თავის გამოჩენის შემდეგ ნახევარმცველი კიევის „დინამოში", იქიდან კი „სპარტაკში" მოხვდა. მარშან ის ჯერ არ იყო 16 წლის, ამიტომ, „სპარტაკის" დუბლების განაცხადში ვერ შეიყვანეს, წლეულს კი უკვე გუნდის სრულუფლებიანი წევრია. სამწუხაროდ, არის საფრთხე, რომ ეს ნიჭიერი ფეხბურთელი დავკარგოთ, რადგან რუსეთში მისთვის მოქალაქეობის შეცვლაზე მუშაობენ. ანანიძეს საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში ჯერ არ უთამაშია, ასე რომ, მას შეუძლია ნაკრების შეცვლა.

## გრიგალავას ტაიმი

გუშინ თურქულ შეკრებაზე მორიგ სპარინგში „მოსკვამ" უნგრული „დებრეცენი" 5:0 გაანადგურა. ამ კლუბით მას შემდეგ დავინტერესდით, რაც 19 წლის **გია გრიგალავა** იჯარით როსტოვის სკა-დან გადავიდა. „დებრეცენთან" მატჩში გიამ მხოლოდ პირველი ტაიმი ითამაშა.

ნიკოლოზ **ნეფარიძე**

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალების და ფოტოების სხვა გამოცემებში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საფეხბურთო აგენტი

აკა ტონია

# ადამიანები ზოგჯერ ნიჭის გამოც ისჯებიან

## დინამოსთვის უცხოა ბინძური გარიგებები, რაც სხვაგან წესად დამკვიდრდა. საიდან მოიტანეთ, რომ ტყავაძე მძიმე პიროვნებაა?

ფიფას აგენტი აკა ტონია დიდი ხანია თბილისის „დინამოსთან" თანამშრომლობს. ის არის ლამის ყველა ბოლოდროინდელი ტრანსფერის შემოქმედი. ახალგაზრდა მენეჯერს ევროპელებისა და სამხრეთამერიკელების ჩამოყვანისკენ აქვს გეზი აღებული, აღმოსავლეთევროპელებთან მომქანცველ ურთიერთობებს კი ერიდება...

**- აკა, „დინამოსთან" დიდი ხანია თანამშრომლობთ. უცხოელ ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს ქართული გუნდის შეთავაზებაზე რა რეაქცია აქვთ?**

- თქვენ იცით, რომ ბოლო დროს „დინამოში" საკმაოდ სახელიანი ფეხბურთელებისა და მწვრთნელების ჩამოყვანა მოვახერხეთ - დუშან უჰრინის, ნედ ზელიჩის, ახლა კი მარკო ჩარასის. ეს ტრანსფერები ვერ მოხერხდებოდა, რომ არა „დინამოს" იმიჯი, ტრადიცია... ჯერჯერობით, ერთი შემთხვევაც არ მახსენდება, ვინმეს უარყოფითი რეაქცია გამოემჟღავნებინოს. შეუძლებელია, ამაზე კმაყოფილების გარეშე ლაპარაკი, რადგან „დინამოს", საბედნიეროდ, დღემდე საკმაოდ დიდი სახელი აქვს.

**- გამონაკლისებიც არ გახსენდებათ?**

- დამიჯერეთ, ასეთი რამ არ ყოფილა. რომელიმე კავკასიურმა კლუბმა ორმაგი თანხაც რომ გადაიხადოს, შეიძლება, არ დათანხმდნენ, „დინამოს" სახელი კი მოქმედებს და მოლაპარაკებაზე სიამოვნებით მოდიან. ეჭვი მეპარება, გაცილებით უკეთეს ფინანსურ პირობებზეც კი, იგივე ნედ ზელიჩი სხვაგან წასულიყო...

**- იქნებ, ისიც ვიკითხოთ, რა შუაშია „დინამოს" სახელი? ასაკში შესული ფეხბურთელი ფულზე ფიქრობს და რა განსხვავებაა მისთვის, სახელიანი კლუბი გადაუხდის თანხას თუ უსახელო?**

- მართალი ხართ, დამკვიდრებული აზრია, რომ ასაკოვანი ფეხბურთელი, რომელიც ახლოსაა კარიერის დასრულებასთან, უფრო მეტ ყურადღებას აქცევს ფულს, ვიდრე სპორტულ მხარეს. ხშირ შემთხვევაში ასეა, თუმცა, ჩემი მუშაობის განმავლობაში, 35-36 წლის ბევრ მოთამაშეს შევხვედრივარ და მინახავს, რომ მათაც არანაკლები სპორტული მოტივაცია ამოძრავებთ, ვიდრე 18 წლის ბიჭებს. მაგალითისთვის, იმავე ზელიჩს დავასახელებ. ზუსტად „დინამოში" წამოსვლამდე მას საფრანგეთიდან და შოტლანდიიდან ჰქონდა წინადადებები, ეს კლუბები უკეთეს პირობებსაც სთავაზობდნენ, მაგრამ უარით გაისტუმრა და საქართველოში ჩამოვიდა. მერე მითხრა - ქვედა ადგილებზე მყოფ გუნდებს არ დავთანხმდები, ამ ასაკშიც კი ჩემთვის მთავარი - ჩემპიონობისთვის ბრძოლა, ევროთასებზე მონაწილეობაა და ფინანსური მხარე ამიტომაც გვერდით გადავდეო. ზელიჩს იმედი ჰქონდა, რომ „დინამოსთან" ერთად ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებდა. ეტყობა, სწორედ ასეთი სპორტული ჟინის გამო ითამაშა მაღალ დონეზე.

**- ყველაზე ცნობილი ფეხბურთელი, რომლის ჩამოყვანაც გსურდათ...**

- საქართველოში ექს-ვარსკვლავების ჩამოსაყვანი თანხა არ არის. თუმცა, ზელიჩის გარდა, იმავე უჰრინისა და ჩარასის ჩამოყვანაც არ იყო პატარა საქმე. სხვათა შორის, ოთხი წლის წინ ჩარასის აყვანა ლონდონის „არსენალს" უნდოდა.

**- მერედა, კარიერა ისე როგორ აერია, რომ საქართველოში ჩამოსვლას დათანხმდა?**



- ჩარასი სოფიის ცსკა-ში რომ იყო, „არსენალი" მისით მაშინ დაინტერესდა, მაგრამ ეს ტრანსფერი აგენტებს შორის დაპირისპირების გამო ჩაიშალა. „დინამოში" ჩამოსვლამდე ის „ვასკო და გამაში" იყო და ბრაზილიური კლუბის პრეზიდენტს ძალიანაც სურდა მისი შენარჩუნება, მაგრამ ამის მიუხედავად, აგენტებს შორის ხუთთვიანი დავის გამო, საკლუბო განაცხადში ვერ შეიყვანეს. ზოგჯერ ადამიანები ნიჭის გამოც ისჯებიან. სამხრეთ ამერიკაში კი ნამდვილი სატრანსფერო ომები მძვინვარებს და მსგავსმა გარჩევებმა ბევრი იქაური ტალანტი შეიწირა კიდეც. გარწმუნებთ, იქ ჩვენზე უარესი ამბები ხდება.

**- ბევრი „დინამოს" მენეჯერად მიგიჩნევთ...**

- თუ ვინმე „დინამოსთან" მაიგივებს, ეს ჩემთვის დიდი პატივია, მაგრამ ნამდვილად არ გახლავართ კლუბის თანამშრომელი. ფიფას ლიცენზირებული აგენტი ვარ და მსოფლიოს არც ერთ კლუბში მუშაობის უფლება არ მაქვს. ჩვენს საქმიანობაში ძალზე მნიშვნელოვანია ნდობის ფაქტორი. წლების განმავლობაში ჩემსა და „დინამოს" შორის ურთიერთნდობა ჩამოყალიბდა, რაც წარმატებული თანამშრომლობითაა განპირობებული. იმედია, მომავალშიც ასე გაგრძელდება. ჩემთვის ეს ურთიერთობა საამაყოა.

**- ბევრი მიიჩნევს, რომ ბუბა ტყავაძესთან თანამშრომლობა რთულია. რას იტყვით ამაზე?**

- როცა ეს აზრი პირველად მოვისმინე, ძალიან გამიკვირდა. ალბათ, ესეც ქართველთა თავისებურ ხასიათს უნდა დავაბრალოთ. ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, გადაუჭარბებლად შემიძლია ვთქვა, რომ ტყავაძე ნამდვილი საკლუბო-საფეხბურთო მენეჯერია და ასეთები ქართულ ფეხბურთში ცოტანი არიან. ბოლო დროს ბევრს ლაპარაკობენ კვალიფიციურ მენეჯერთა დეფიციტზე. ასეც არის, მაგრამ ტყავაძე არის კლუბისთვის სასურველი მენეჯერი. უპირველეს ყოვლისა, ის კორექტულობით, პრინციპულობითა და პასუხისმგებლობითაა გამორჩეული. ის აბსოლუტურად ყველაფერს „დინამოს" ინტერესებიდან გამომდინარე აკეთებს, რატომ მიიჩნევენ მძიმე პიროვნებად, ნამდვილად ვერ გეტყვით. შესაძლოა, იმიტომ, რომ „დინამოსთვის" უცხოა ის ბინძური გარიგებები, რაც, სამწუხაროდ, ჩვენთან დიდი ხანია, წესად დამკვიდრდა. სინამდვილეში კი ეს „წესი" უწესობაა.

**- დღეისთვის, ქართველ ფეხბურთელებზე მოთხოვნა არსებობს?**

- ისეთი არა, როგორსაც ვისურვებდით. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გამო კი ფეხბურთელებზე მოთხოვნა ისედაც დაეცა. კლუბების 90 პროცენტი წამგებიანია და საერთოდ, ფეხბურთი მდიდარი ხალხის გართობის საშუალებაა. და ვისღა შერჩა დღეს გართობის სურვილი? კლუბები ტრანსფერებს ფრთხილად ეკიდებიან და მოთამაშეები მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში აჰყავთ. ყველას გამზადებული ფეხბურთელი სჭირდება. მდიდარი რუსული კლუბებიც კი ეკონომიას აკეთებენ, ტრანსფერებზეც, შეკრებებზეც და ასე შემდეგ.

**- მგონი, მსოფლიოს ეკონომიკური კრიზისი ჩვენთვის სასურველიცაა, რადგან მდიდრებთან ჩამორჩენა ოდნავ მაინც შემცირდა...**

- ჯერ განსხვავება მაინც დიდია. ღმერთმა ნუ ქნას, კრიზისმა ევროპული გრანდები ჩვენს დონეზე ჩამოიყვანოს. ჯობს, ჩვენ ავიდეთ მათ დონეზე...

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ

მიხეილ ბარაბაძე



ილია პავლიაშვილი(მარცხნივ) და მიხეილ ბარაბაძე

# შანსი მომცენ და გოლებს ნაკრებშიც გავიტან

## კოპენჰაგენში ნამდვილი ბარაბაძე გამოჩნდა

დანიაში მოასპარეზე სამი ქართველიდან გიორგი ფოფხაძე მცველია, დავით დევდარიანი - ნახევარმცველი, ხოლო მიხეილ ბარაბაძე - თავდამსხმელი. ამ უკანასკნელს შარშან „ქართული ტორნადოც" კი უწოდეს და კლუბი „ჰიკი" მის სოლიდურ თანხად გაყიდვასაც ფიქრობდა, მაგრამ მეორე წრე განახლდა და ბარაბაძე ისევ „ჰიკშია". არადა, ამ კლუბის ვებგვერდი ისევ ავსებულია ქართველი თავდამსხმელის ფოტოებითა თუ მისდამი მიძღვნილი ჟურნალისტური ნაშრომებით. მიხეილ ბარაბაძეს სწორედ დანიაში შევეხმიანეთ...

**- მიშა, ყველას ეგონა, რომ ახალ სეზონს უფრო ძლიერ გუნდში დაიწყებდი...**

- მეც ასე მეგონა, ნორვეგიის „მოსში" გადასვლა თითქმის გადაწყვეტილი იყო, მწვრთნელი უკვე კლუბის ტაქტიკასაც მაცნობდა, მაგრამ... ფინანსურმა კრიზისმა „მოსიც" დააზარალა. ამ გუნდს კვლავაც ვუნდივარ, მაგრამ „ჰიკის" ხელმძღვანელობაც გაჯიუტდა და დათქმულ ფასს არ უკლებს.

**- მაინც, რა ჯდება მიხეილ ბარაბაძის ტრანსფერი?**

- ნამდვილად არ ვიცი, მოლაპარაკებას კლუბის მენეჯერები აწარმოებენ, მაგრამ ეტყობა, სერიოზულ თანხად ვფასობ, რადგან „მოსმა" თავი შეიკავა. თუმცა „ჰიკის" ხელმძღვანელებსაც ვერ ვამტყუნებ - მათ უცნობი ქართველი ფეხბურთელი მიიღეს, კარგი პირობები შეუქმნეს, ნორმალური ხელფასი დაუნიშნეს, ბინაც მისცეს და ბუნებრივია, სურთ, სარფიანად გაყიდონ... ასევეა ჩვენი 19 წლის მცველი ფრედერიკ კორკიც, რომელსაც დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ და მასზე უკვე ჰოლანდიურ და ინგლისურ კლუბებს აქვთ თვალი დადგმული.

**- ბოლო თამაშებში ველარ გაჩერებენ - სამი მატჩი, სამი გოლი და ამდენივე საგოლე პასი. ეგ კი არა, ისეთი დრიბლინგი ჩაატარე, თურმე, დანიურის მცოდნე ნაცნობმა მითხრა - „ჰიკის" ვებგვერდზე წერილი იყო და ლამის დიეგო მარადონას სახელგანთქმულ სოლორეიდს შეადარესო..**

- „ვერლოსესთან" მატჩში კუთხურიდან მოგერიებული ბურთი ზედ ჩვენი საჯარიმოს წინ მომივიდა, წინ გავიჭერი, სამი კაცს გავცდი, მეტოქის საჯარიმოს მივუახლოვდი, მეკარეც გამოვიტყუე და რაკი ერთი გოლი უკვე გატანილი მქონდა, აღარ „ვილორე" და ცარიელი კარის წინ გავუგორე ჩვენს თავდამსხმელ ელისს... ფანებმა კინაღამ დამახრჩვეს, ჩვენმა ახალმა მწვრთნელმა ჰეიზა კუნმა კი თქვა - აი, ნამდვილი ბარაბაძე ახლა ვნახეო!

**- და რას აპირებს „ნამდვილი ბარაბაძე"? 17 წლისას საქართველოს უმაღლეს ლიგაში გითამაშია, „თბილისის" შემადგენლობაში 8 მატჩი გაქვს ჩატარებული, მერე კი ისევ დაიკარგე. გულახდილად რომ ვთქვათ, დანიის მეორე ლიგაში თამაშიც არ არის დიდი ბედნიერება.**

- დიდ ფეხბურთზე ვოცნებობ და მინდა, დანია ტრამპლინად გამოვიყენო. საქართველოში 17-18 წლის მოთამაშე ზრდას წყვეტს, თითქმის შეუძლებელია განვითარება. თუ უმაღლესი ლიგის გუნდში არ მოხვდი, ფაქტობრივად, დაკარგული ხარ. ქართველ მწვრთნელთა უმრავლესობასაც ურჩევნია, გუნდში გამოცდილი მოთამაშე აიყვანოს. საქართველოს ქვედა ლიგებში კი არავითარი პირობა არ არის, რომ გაიზარდო. ერთ მაგალითს გეტყვით: ჩემი მეგობარი ილია პავლიაშვილი შარშან „ჰიკში" ძალიან მოეწონათ, მაგრამ ფიზიკურად ვერ იყო იმ დონეზე, რომ თავისი ტექნიკა სრულად ეჩვენებინა. ჩაინიშნეს მისი გვარი და სეზონის ბოლოსთვის დაიბარეს. ჩამოვიდა საქართველოში და შეკრებაგაუვლელმა, „ბორჯომში" თამაშამდე ორი დღით ადრე მისულმა, „ოლიმპს", რომელსაც 7-8 მატჩის განმავლობაში გოლი არ გაეშვა, ლამაზად გაუტანა. რომ არა ოთარ გაბელია, რომელსაც ახალგაზრდები უყვარს, ვინ გაიცნობდა ილია პავლიაშვილს? „ჰიკს" კოპენჰაგენის ცენტრში ხუთი (?! - ავტ) სავარჯიშო მოედანი და ორი სტადიონი აქვს, და ეს იმ მეორე ლიგის გუნდს, რომელში თამაშიც, თქვენი თქმით, სახარბიელო არ არის. რა თქმა უნდა, უკეთეს გუნდში გადასვლა მსურს, მაგრამ ერთი, ეს მითხარით - რა შანსი მქონდა საქართველოში?

**- დიდხანს ხომ არ შეყოვნდი დანიის მეორე ლიგაში?**

- კლუბთან კონტრაქტი მაქვს და ვერ დავარღვევ. გარდა ამისა, თავადაც არიან დაინტერესებული ჩემი გაყიდვით და უფულოდ არავინ გამიშვებს, თორემ უმაღლესი ლიგის „ესბერგსაც" ვუნდივარ და „ვაილესაც", რომელთა მცველები შარშან ისე დავტანჯე, ჟურნალისტებმა მასხრად აიგდეს სულ ახლახან კი „ჰიკში" სერბეთიდან და საფრანგეთის პირველი ლიგიდანაც მოვიდა ფაქსი, რომელშიც ჩემზე ინფორმაციას ითხოვდნენ. ჩემპიონატი 21 მარტს განახლდება, მანამდე კიდევ 5 საკონტროლო მატჩი გვაქვს და მინიმუმ 5 გოლის გატანას ვაპირებ... სხვათა შორის, სულ ახლახან დანიაში ევროპის 21-წლამდელთა ახალგაზრდული ჩემპიონატის წილისყრა ჩატარდა და ვიცი, რომ ორჰუსში კახა ცხადაძეც იყო ჩამოსული... ურიგო ჯგუფი არ არის, ბრძოლა ყველასთან შეიძლება და, რაც ყველაზე მთავარია, ნაკრებს ახლა ქართველი მწვრთნელი ჰყავს, რომელსაც დიდი ფეხბურთი აქვს ნათამაშები და ყველა ნიუანსში ერკვევა. ვფიქრობ, ცხადაძესაც სურს ისეთივე სამწვრთნელო კარიერა ჰქონდეს, როგორიც ფეხბურთელობისას და თავს არ დაზოგავს. თუ მიაწვდენთ ხმას, იცოდეთ - მიხეილ ბარაბაძე მარტო დანიაში კი არა, ნაკრების ყველა მატჩში აპირებს გოლის გატანას. ერთი შანსი მომცენ და...

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონი

## მარცხი ბოსნიელებთან

თურქეთში შეკრებაზე მყოფმა „ანჟიმ" ამჯერად ჩხუბისა და დავიდარაბის გარეშე ჩაამთავრა ამხანაგური მატჩი - **ომარ თეთრაძის** შეგირდებმა ბოსნიურ „ბორაცთან" 0:2 დათმეს. „ანჟიმ" ორივე გოლი პირველ ტაიმში გაუშვა, როცა უხეშობისთვის **გრიდნევი** გაუძევეს (სხვათა შორის, მეორე ტაიმში ბოსნიელებმა მეტოქეს გრიდნევის სხვა ფეხბურთელით შეცვლის უფლება მისცეს). მეორე გოლში **გიორგი ნავალოვსკი** იყო დამნაშავე - ქართველმა მცველმა საჯარიმოში ხელით ითამაშა, რისთვისაც მსაჯმა პენალტი დანიშნა. მატჩის შემდეგ თეთრაძემ ტრადიციულად გააკრიტიკა „ანჟის" დაცვის ხაზი, ხოლო ნახევარდაცვა შეაქო. **ზურაბ არზიანმა, გოჩა ხოჯავამ** და **სანდრო იაშვილმა** შეუცვლელად ითამაშეს; ნავალოვსკის პირველ ტაიმში მოუწია თამაშმა, **კახა ალადაშვილს** - მეორეში. არ გამოჩენილან **ოთარ მარცვალაძე, რევაზ ჯიქია** და **ედიკ საჯაია**. „ანჟი" მომდევნო სპარინგს 14 თებერვალს, ერთ-ერთ უზბეკურ გუნდთან გამართავს.

## მუჟავანაძე ტროპიკულ წვიმაში

რუსულ პრემიერლიგაში აღზევებულმა „როსტოვმა" მეორე ცდაზე შეძლო ისრაელში ამხანაგური თამაშის ჩამთავრება. ამ შემთხვევაში ომი ან ჩხუბი არაფერ შუაშია - „როსტოვისა" და ჰაიფას „მაკაბის" შეხვედრა ტროპიკულმა წვიმამ ჩაშალა. შეგახსენებთ, რომ „მაკაბის" მთავარი მწვრთნელის ასისტენტი **გიორგი დარასელიაა**. ამის შემდეგ „როსტოვი" თელ-ავივის „მაკაბის" დაუზავდა - 2:2. „როსტოვში" სინჯებზე მყოფმა **კახა მუჟავანაძემ** პირველი ტაიმი ითამაშა, რომელიც მისმა გუნდმა 0:1 წააგო. „როსტოვის" ახალგაზრდულ გუნდში **ირაკლი კვეკვესკირი** ისინჯება. სოჭში მყოფმა გუნდმა ქალაქის ნაკრებს 1:0 მოუგო. კვეკვესკირმა მეორე ტაიმი ითამაშა.

## დაჩიას ქართველები დაშავდნენ

მოლდოვურმა „დაჩიამ" სპარინგმატჩში 0:3 წააგო რუსეთის პირველი დივიზიონის კლუბ „სალიუტ-ენერგიასთან". არ უთამაშიათ ჩვენს თანამემამულეებს - ნახევარმცველ **ლევან კორღალიძესა** და ფორვარდ **ჯაბა დვალს**. „დაჩიას" ოფიციალური საიტის მტკიცებით, მათ ტრავმები აწუხებთ. მოლდოვის ჩემპიონმა „შერიფმა" კვიპროსულ შეკრებაზე ჩეხურ „იაბლონეცთან" 1:1 ითამაშა. გუნდის კაპიტანმა **ვაჟა თარხნიშვილმა** შეუცვლელად ითამაშა.

## თაყაძეც ლეგიონერია

სომხეთის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი კაპანის „განძასარი" კიდევ ერთი ქართველით გაძლიერდა. კლუბთან კონტრაქტი გააფორმა „მესხეთის" გამოცდილმა ნახევარმცველმა **მიხეილ თაყაძემ**. ახლახან, „განძასარმა" ამხანაგურ მატჩში ფრედ ითამაშა „კილიკიასთან" - 1:1. გასულ სეზონში „განძასარში" შვიდი ქართველი ლეგიონერი გაისარჯა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სიონი ინტერვიუ ოთარ კორღალიძესთან



ბოლნისის „სიონმა“ სეზონი ცხინვალის „სპარტაკთან“ საშინაო ფრით (0:0) განაახლა. ეს არ არის ის შედეგი, რომელიც ქვემოქართლური კლუბის მთავარ მწვრთნელსა თუ გულშემატკივრებს დააკმაყოფილებდათ. ინტერვიუში, რომელიც ოთარ კორღალიძეს ჩამოვართვით, ცხადია, მხოლოდ „სპარტაკთან“ თამაშის შეფასებას არ დავჯერდებოდით, მით უმეტეს, რომ „სიონის“ თავკაცს მოსამზადებელი ეტაპი აქამდე საჯაროდ არ შეეჯამებინა. სწორედ ამ თემას მიეძღვნა „ლელოს“ ინტერვიუ ბოლნისელთა დამრიგებელთან...

# გოლები გვინდა, სხვა ყველაფერი რიგზეა...

## დაკომპლექტება დასრულებულია, ბოლო შემოსწრებული მიკუჩაძეა

**- ბატონო ოთარ, სეზონი აუტსაიდერ ცხინვალის „სპარტაკთან“ საშინაო ფრით განაახლეთ. მოდით, საუბარი ამ მატჩის შეფასებით დავიწყოთ...**

- ვინც ეს მატჩი ნახა, დამეთანხმება, რომ „სპარტაკს“ თამაშით ვაჯობეთ, მაგრამ გოლი ვერა და ვერ გავიტანეთ. სტუმართა მეკარე გიგა იაშვილმა ურთულესი დარტყმები აილო თუ მოიგერია, მაგრამ ის, რომ მოედნიდან უგოლოდ გავედით, ჩემი ფეხბურთელების ბრალი უფროა ვიდრე - მეტოქის დამსახურება.

**- საგოლე მომენტების გამოუყენებლობა პირველ ეტაპზეც იყო თქვენი გუნდის „აქილევსის ქუსლი“...**

- დიახ, ეს სამწუხარო სიმართლეა. ზამთრის მოსამზადებელ პერიოდში რამდენიმე ამხანაგური მატჩი გავმართეთ. საგოლე მომენტების რეალიზაციაზე, ვარჯიშების დროსაც გავაკეთეთ აქცენტი, მაგრამ პრობლემა ვერა და ვერ დავძლიეთ. ამ მიმართულებით კიდევ გავაგრძელებთ მუშაობას და იმედი მაქვს, ეს შედეგიანობას გაზრდის.

**- სხვა სათამაშო რგოლებთან ერთად შემტევი პოტენციალიც გააძლიერეთ...**

- მიხეილ ბობოხიძე ქობულეთში შეკრებაზე შემოგვიერთდა. მისი შესაძლებლობები კარგად ვიცი და დარწმუნებული ვარ, ჩვენი გუნდისთვის დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია. თუმცა ის ჯერ ფორმაში არ არის. იმედია, მალე ისე ათამაშდება, როგორც სჩვევია. შემტევი პოტენციალის გაძლიერებაზე „სპარტაკთან“ მატჩის შემდეგაც ვიზრუნეთ და რუსთავის „ოლიმპიდან“ იჯარით ფორვარდი აკაკი მიკუჩაძე დავიმატეთ. მისი აყვანა ადრეც გვინდოდა, მაგრამ მაშინ არ მოხერხდა... მიკუჩაძე დიდი ძალაა. მან უკვე ივარჯიშა ჩვენთან, ითამაშა ორმხრივ მატჩშიც და უკვე იგრძნობოდა, გუნდი სერიოზულად გაძლიერდა.

**- მოსამზადებელ პერიოდს როგორ შეაფასებდით?**

- მთლიანობაში კმაყოფილი ვარ და მიმაჩნია, რომ ეს პერიოდი ნაყოფიერად გამოვიყენეთ. პაუზის შემდეგ სასტარტო მატჩს ფსიქოლოგიური წნეხიც ახლავს თან და ასეთ თამაშებში ყველას უჭირს ხოლმე. ფაქტია, ამ წნეხს ვერც ჩვენ ავცდით და გაგვიჭირდა... გაგვიჭირდა იმ მხრივ, რომ ბურთი ვერ გავიტანეთ, თორემ მეტოქეს ნამდვილად ვაჯობეთ. ცხინვალელებს ჩვენს კარში არც დაურტყამთ. მეტოქე ფრეზეც ყაბულს იყო, ჩვენ კი ოთხი კარგი საგოლე მომენტიდან ერთიც ვერ გამოვიყენეთ. რა თქმა უნდა, ეს ძლიერ გულდასაწყვეტია... მომდევნო მატჩებში რეალიზაციის პროცენტი უნდა გავზარდოთ, თორემ... ერთი სიტყვით, მთავარია საგოლე მომენტები გამოვიყენოთ. სხვა რგოლებს რაც შეეხება, დაცვის მჯერა და უკეთეს შედეგებს ველოდებით.

**- შეგვიძლია, ჩავთვალოთ, რომ გუნდის დაკომპლექტება უკვე დაასრულეთ თუ კიდევ დაიმატებთ რომელიმე ფეხბურთელს?**

- არ მგონია, კიდევ ვინმე დავიმატოთ. შეიძლება ითქვას, რომ გუნდის დაკომპლექტება დასრულებულია.

**- თუ ასეა, მაშინ გადავავლოთ თვალი სათამაშო რგოლებს და სათითაოდ შევაფასოთ...**

- ყველაზე უკეთ დაცვაში ვთამაშობთ. მცველები და მეკარეები კარგი გვყავს, ნახევარდაცვას არა უშავს, ნორმალურია. შუა ხაზშიც ჩინებული ფეხბურთელები დავიმატეთ - კობა შალამბერიძესა და გიორგი ხიდეშელს ვგულისხმობ. შალამბერიძე ცხინვალელებთან მატჩშიც გამოირჩეოდა... ხიდეშელიც კარგი მოთამაშეა, მას უკეთ შეუძლია თამაში, ცოტა გახსნა აკლია და ვიმედოვნებ, მალე უკეთ წარმოჩნდება... რაც შეეხება შეტევის ხაზს, ამაზე უკვე ვილაპარაკეთ და ფაქტია, აქ ჯერჯერობით მოვიკოჭლებთ. თუმცა ისიც ფაქტია, რომ „სიონს“ შეტევაში გამორჩეული ფეხბურთელები ჰყავს და მჯერა, მალე ისინი თავიანთ სიტყვას იტყვიან.

**- რა იქნება „სიონის“ მიზანი?**

- ხუთეულს ქვემოთ არ უნდა ჩამოვიდეთ. სეზონის სტარტზეც ეს დავისახეთ მიზნად და ამ მხრივ, არაფერი შეცვლილა.

**- „სიონს“ დიდი პოტენციალი აქვს და აშკარაა, რომ უკეთესი ადგილისთვისაც შეგიძლიათ ბრძოლა. ნუთუ სამეულში მოხვედრა რეალური არ არის?**

- ხუთეული ჩვენი პროგრამა-მინიმუმია. უკეთესი შედეგისთვისაც შეიძლება ბრძოლა და გარწმუნებთ, ცდას არ დავაკლებთ.

**- გასული წლის ბოლოს ითქვა, რომ „სიონს“ ქამრის მოჭერა მოუწევდა. ფინანსები და შედეგები დიდწილად ერთმანეთთანაა დაკავშირებული...**

- დაფინანსების მხრივ პრობლემა არ იქნება, მაგრამ თუ ჩემპიონატში წარუმატებლად გამოვალთ, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ეს ფინანსებზეც ნეგატიურად აისახება. ასეთია კლუბის ხელმძღვანელობის პოზიცია, რომელსაც მეც ვეთანხმები.

**- მომდევნო მატჩი „დინამო'სთან“ გაქვთ...**

- რა თქმა უნდა, უმძიმესი მატჩი გველის. „დინამოს“ ძალა ზედმეტ კომენტარს არ საჭიროებს, ზამთრის პაუზის დროს ეს გუნდი კიდევ უფრო გაძლიერდა... თუმცა ჩვენ მუდამ მოსაგებისთვის ვიბრძვით და არ გაგიკვირდეთ, თუ ვიტყვი, რომ შანსები თანაბარია... ჩვენს წისქვილზე ისიც ასხამს წყალს, რომ „დინამოს“ ჯერჯერობით არ ეყოლება ბომბარდირი ვაწაძე. შემოდგომაზე სწორედ მან და მერებაშვილმა მოგვიგეს თამაში. ასე რომ, რევანში გვწყურია და საამისოდ ვიბრძოლებთ.

**დავით ცაგაძე**

# ქართული მიდი-მოდი

| გუნდი | წავიდნენ | მოვიდნენ |
|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია<br>რამაზ მუმლაძე | | მგელაძე (გაგრა) |
| დინამო<br>რაინერ ცობელი | ოდიკაძე (დიორი, უნგრეთი), შ. გრიგალაშვილი (ზესტაფონი), ინწკირველი (ქარვანი) ელიავა (იჯარა დაუმთავრდა) | კოშკაძე (სიონი), ლომია (მგლები), ტომიჩი (ჩერნოგორია), ჩარასი (არგენტინა) |
| ოლიმპი<br>ვარლამ კილასონია | მერლანი (?), კ. ალადაშვილი (სიონი), მიკუჩაძე (სიონი, იჯარით) ფეიქრიშვილი (?) | მ. ალავიძე (სტანდარდი, აზერბაიჯანი), რეხვიაშვილი (მგლები, იჯარა დაუმთავრდა), ხუბუა (სიონი, იჯარა დაუმთავრდა), კაკულია (ნ/დინამო) |
| ზესტაფონი<br>გია გეგუჩაძე | რ. ონიანი (მგლები), ბ. გოცირიძე (დნიპრო, უკრაინა), ჭანტურია (სიონი) ლომაშვილი (?), ბოიომო (?) | ლ. მელქაძე (უგუნდოდ), მამალაძე (მგლები), კაჭკაჭიშვილი (დინამო 2), მ. კაკალაძე (სამტრედია), წინამძღვრიშვილი (ამერი), შ. გრიგალაშვილი (დინამო), ტეტუნაშვილი (გაგრა), სისე (სენეგალი), ელ ზაინი (ლიბანი) |
| სიონი<br>ოთარ კორღალიძე | ს. იაშვილი (იჯარა დაუმთავრდა, ანჟი, რუსეთი), კოშკაძე (დინამო), ჩივაძე, ქურასბედიანი, ოქროპირიძე, შ. ჯიქია (ყველა სპარტაკი), ბ. ნოზაძე (მგლები), ქვაჩახია (?), ხუბუა (იჯარა დაუმთავრდა, ოლიმპი) | ბობოხიძე (უგუნდო), ჭანტურია (ზესტაფონი) ი. ვაშაკიძე (მერანი), ხიდეშელი, შალამბერიძე, (ორივე სპარტაკი), ჯ. მუჯირი (ირანი), ორბელაძე (დაჩია, მოლდოვა), კ. ალადაშვილი (ოლიმპი), მიკუჩაძე (ოლიმპი, იჯარით), რუსეიშვილი (ზოოვეტი) |
| ლოკომოტივი<br>გიორგი კიკნაძე. ზაზა ზამთარაძე | ცქიტიშვილი (ვეენი, გერმანია), ალექსიძე (დიორ ეტო), დარასელია (კარიერა დაასრულა), ბათიაშვილი, ფარულავა, ზ. ჩხეტიანი (სამივე მესხეთი), კახელიშვილი (?), სამხარაძე (?) | ხუმარაშვილი (კახეთი), კვანტალიანი (ოლიმპიკი), ბეღელური, მებალიშვილი, რობაქიძე |
| მგლები<br>ბესიკ შეროზია | რეხვიაშვილი (ოლიმპი, იჯარა დაუმთავრდა), ლომია (დინამო), მამალაძე (ზესტაფონი), დარსანია (ბორჯომი), ქუცურუა (ლოკომოტივი, იჯარა დაუმთავრდა), გრიგოროვიჩი (?), მიქაბერიძე (ოლიმპი, იჯარა დაუმთავრდა), ომელიანოვი (?) | რ. ონიანი (ზესტაფონი), ბ. ნოზაძე (სიონი), სომხიშვილი (მესხეთი), რაქვიაშვილი (მესხეთი), ბაკარანძე (კოლხეთი), დ. ქირია (ბუხარა, უზბეკეთი), მალიჩავა (უგუნდოდ), ინჯგია (უგუნდოდ), გ. ჭედია (ტორპედო, ბელარუსი), ჭკადუა (უზბეკეთი) |
| მესხეთი<br>კობა თედიაშვილი | გაგუა (კარიერა დაასრულა), გ. კვახაძე (სპარტაკი), სომხიშვილი (მგლები), გრიგალაშვილი (ზესტაფონი), რაქვიაშვილი (მგლები), ახალაია (?) | ნ. ვაშაკიძე, ბეჟანიძე (ორივე ბორჯომი იჯარა დაუმთავრდათ), ვ. ხორგუაშვილი, პ. ხორგუაშვილი (ორივე ბორჯომი), ბათიაშვილი, ფარულავა, ზ. ჩხეტიანი (სამივე ლოკომოტივი) |
| გაგრა<br>ვლადიმერ ხაჩიძე | მგელაძე (ვიტ ჯორჯია), მეტრეველი (სპარტაკი), ტეტუნაშვილი (ზესტაფონი) | ბ. ცხადაძე (სტანდარდი, აზერბაიჯანი), კოზლენკო (უკრაინა), კუპრეიშვილი (სპარტაკი), გავაშელიშვილი, ლ. სეთურიძე (გაგრა 2), ჯარმელაშვილი, ოვონიკოკო (ნიგერია) |
| ბორჯომი<br>ოთარ გაბელია<br>(მწვრთნელ-კონსულტანტი) | სუხიაშვილი (მთავარი მწვრთნელი, ტორპედო 2 ქუთაისი) ქარქუზაშვილი, ავალიანი (ორივე სპარტაკი), ვ. ხორგუაშვილი, პ. ხორგუაშვილი (ორივე მესხეთი), ნ. ვაშაკიძე, ბეჟანიძე (ორივე მესხეთი, იჯარა დაუმთავრდათ), ქავთარაძე (დინამო, იჯარა დაუმთავრდა), | ოთარ გაბელია (მწვრთნელ-კონსულტანტი), პავლიაშვილი (ჰიკი, დანია), მენთესაშვილი (განძასარი, სომხეთი), ლ. დათუნაშვილი (სპარტაკი), დარსანია (მგლები), ტუხაშვილი (?) |
| სპარტაკი<br>სერგო გაბელაია | ხიდეშელი, შალამბერიძე (ორივე სიონი), მ. ლონღაძე (?), თექთურმანიძე (?), თარხნიშვილი (?), კუპრეიშვილი (გაგრა), ქვილითაია (?) | ჩივაძე, შ. ჯიქია, ოქროპირიძე, ქურასბედიანი (ოთხივე სიონი), მეტრეველი (გაგრა), გ. თურმანიძე (სამტრედია), ავალიანი (ბორჯომი), გ. კვახაძე (მესხეთი), მგალობლიშვილი (ჩიხურა), კოდალაევი (მერანი), ქარქუზაშვილი (ბორჯომი), შერაზადიშვილი, ჯანელიძე, ტლაშაძე |

შენიშვნა: მუქი შრიფტით აღნიშნულია გადაწყვეტილი ტრანსფერები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიფას რეიტინგი. თებერვალი

FIFA Coca-Cola WORLD RANKING

# 108 ისევ ჩვენია

გუშინ მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი განახლდა. ამას გარდა, ჩატარდა ამხანაგური მატჩებიც. მანამდე კი ფიფას უკვე მზად ჰქონდა თებერვლის რეიტინგი, რომელიც გასულ თვეში გამართული მატჩების მიხედვით შედგა. წლის პირველი თვე საფეხბურთო თვალსაზრისით აქტიური არ ყოფილა, ამიტომ, ახალ რეიტინგში დიდი ცვლილებები არ არის.

არაფერი შეხებია მოწინავე ათეულს, ისევე, როგორც საქართველოს, რომელიც კვლავ 108-ე საფეხურს ამაგრებს. რაც შეეხება ჩვენს მეტოქეებს, იტალიის გარდა მეტ-ნაკლებად ყველა გადაადგილდა. მაგალითად, ბულგარეთი და ჩერნოგორია ორ-ორი საფეხურით დაწინაურდნენ. ისე კი, გასაკვირია, რომ ჩერნოგორია, რომელიც შარშან 150-ე ადგილს ქვემოთ იყო, ახლა მხოლოდ 3 საფეხურით უკანაა. კვიპროსმა 4 ადგილით დათმო პოზიცია, ხოლო ირლანდია 8 საფეხურით წინაა.

საინტერესოა, თუ რა პოზიციებზე ვართ ევროპის მასშტაბით. იტალია აქაც მე-4 პოზიციაზეა, ბულგარეთს მე-18 ადგილი უჭირავს, ირლანდიას - მე-20, კვიპროსს - მე-40, საქართველოს - 42-ე, ხოლო ჩერნოგორიას - 43-ე.

გუშინ ექტორ კუპერის გუნდი ირლანდიას დუბლინში გაეჯიბრა. ამ მატჩის შედეგი უკვე მომდევნო, მარტის რეიტინგში იქნება გათვალისწინებული. ვნახოთ, რა ცვლილებას გამოიწვევს ეს თამაში საქართველოსთვის...

| პირველი ათეული და მეტოქეები | |
|---|---|
| 1. (0)* ესპანეთი | 1693 |
| 2. (0) გერმანია | 1403 |
| 3. (0) ჰოლანდია | 1357 |
| 4. (0) იტალია | 1318 |
| 5. (0) ბრაზილია | 1248 |
| 6. (0) არგენტინა | 1181 |
| 7. (0) ხორვატია | 1157 |
| 8. (0) ინგლისი | 1136 |
| 9. (0) რუსეთი | 1119 |
| 10. (0) თურქეთი | 1040 |
| 26. (+2) ბულგარეთი | 772 |
| 29. (+8) ირლანდია | 747 |
| 98. (-4) კვიპროსი | 366 |
| 108. (0) საქართველო | 327 |
| 111. (+2) ჩერნოგორია | 310 |

*შენიშვნა: * - ფრჩხილებში მითითებულია სხვაობა წინა რეიტინგთან შედარებით*

დავით ცაბაძე

U21 მეტოქეები

# ორი ფრე და მარცხი

21-წლამდელთა შორის ევროპის 2011 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მეტოქეებმა - თურქეთმა და ირლანდიამ ამხანაგური მატჩები გამართეს. სხვათა შორის, ისინი ერთმანეთს 31 მარტს, უკვე ოფიციალურ, შესარჩევის სასტარტო მატჩში შეხვდებიან.

10 თებერვალს, იზმირში, თურქეთისა და უკრაინის 21-წლამდელები ორი სხვადასხვა გუნდით დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. საგულისხმოა, რომ ორივე მატჩს თურქეთის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა და ეროვნული ნაკრების თავკაცი **ფათიჰ თერიმი** დაესწრნენ. პირველი შეხვედრა 2:2 დასრულდა. ჩვენმა მეტოქემ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **ბოლათი (46. ქივრარი), ორდა, ბიქმაზი (35. ქალდიმირი), კოლქანი (64. კარნილი), თექდემირი (75. არი), თორუნი, ბაიდილი (46. იაპიჩი), ს. შაჰინი, ტოსუნოლლუ (46. დ. შაჰინი), კოსე, კუჩერი (46. გეთბაი).**

თურქეთის ახალგაზრდულის თავკაცმა **ოგუზ ჩეთინმა** უკრაინელებთან პირველ შეხვედრაში გუნდის დლევანდელი ბირთვის უმრავლესობა ათამაშა. თუმცა მასპინძლები ორჯერ აღმოჩნდნენ მდევრის როლში. თურქ 21-წლამდელთა შორის გამორჩეული იყო დუბლის ავტორი **თევფიქ კოსე**. „ქაისერის" თავდამსხმელმა პირველი გოლი ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე გაიტანა, მერე კი ანგარიში მის მიერვე მოპოვებული პენალტით გაათანაბრა.

მეორე სპარინგი უკრაინელთა გამარჯვებით 2:1 დასრულდა. პირველი ტაიმის სოლიდური ნაწილი სტუმართა უპირატესობით წარიმართა, რაც გოლში ასახეს კიდეც. თუმცა ოთხ წუთში „გენჩლერის" ნახევარმცველმა **აიდოგდი სონერმა** 30 მეტრიდან ძლიერი დარტყმით წონასწორობა აღადგინა. შესვენებამდე უპირატესობა გარდამავალი იყო. მეორე ნახევარი კი უკვე მასპინძელთა კარნახით წარიმართა, ეგ იყო, უკრაინელთა კარის დალაშქვრა ვერაფრით მოახერხეს (გოლის გატანის სამი-ოთხი კარგი შანსი კი ჰქონდათ), მატჩის დასრულებამდე 5 წუთით ადრე უკრაინელმა მცველმა ბურთი სულაც ცარიელი კარიდან გამოიტანეს. თურქების შემადგენლობა ასეთი იყო: **ჩენქი (46. ვოლქანი), იგითი, ისმაილი, აიკუტი (46. თუნაი), ქუმრე, მურატი (70. ფუათი), დენიზი (46. ფერდარი), სონერი, ირკანი, იუმერი (46. მუსტაფა), ფერჰათი (58. ალფარსლანი).**

ირლანდია გერმანიას დაუზავდა. მასპინძელთა მწვრთნელმა **დონ გივენსმა** 4-3-3 სქემით დაიწყო მატჩი, მეორე ტაიმში კი კლასიკურ 4-4-2-ზე გადაერთო. გერმანიის ახალგაზრდული ნაკრები ევრო 2009-ის ფინალისტია. გასაკვირი არ იყო, რომ თავიდან ალემანები დაწინაურდნენ, თუმცა ირლანდიელებმა ანგარიში ოთხ წუთში გაქვითეს - მასპინძლები მარცხისგან „ნორვიჩის" მცველმა **მაიკლ სპილეინმა** იხსნა. მეორე ტაიმში ორივე გუნდს შეეძლო ანგარიშის შეცვლა, მაგრამ ტაბლოზე საბოლოოდ 1:1 დაფიქსირდა.

ჩვენი ახალგაზრდულის მეტოქე ირლანდია გერმანიას ამ შემადგენლობით დაუპირისპირდა: **რედმონდი (46. ჰენდერსონი) - მოლონი, სპილეინი, ლოური, ლიდლი - გლესონი, მეილერი, გარვანი - ჯაჯი, შერიდანი, სკანელი (86. კერი).**

დავით ცაბაძე




## ინდივიდუალური მომზადება კარატეში

ყალიბდება 10-კაციანი (ორივე სქესისთვის) ელიტური ჯგუფი, რომელიც ფიზიკური მომზადების გარდა, გაივლის ზოგად ფსიქოლოგიას, ავტოტრენინგს, თერაპიის რამდენიმე სპეციფიკურ ფორმას.

ჯგუფს აყალიბებს საერთაშორისო კატეგორიის ინსტრუქტორი, ექსპერტი მამუკა დავითიშვილი-ბაგრატიონი, რომელსაც გავლილი აქვს სპეციალური მომზადება აღმოსავლეთის ქვეყნებში.

დაგვიკავშირდით: ოფისი (Tel/Fax) 963 189
ინსტრუქტორი 895 131 662

მისამართი: ქ. თბილისი, არმიის სპორტული კომპლექსი, უნივერსიტეტის 2.


[illegible]

# ლოკომოტივში ბარსელონური გეზი შენარჩუნებულია

## სკოლა, სადაც ბავშვის მიყვანა უფასოა

**საბჭოთა დროს თბილისის „ლოკომოტივს" ჰქონდა ბავშვთა საფეხბურთო სკოლა, მაგრამ მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. ამ კლუბს რკინიგზის დეპარტამენტთან, ფაქტობრივად, აღარაფერი აკავშირებს. საფეხბურთო კლუბი „ლოკომოტივი" უწინდელის სამართალმემკვიდრედ კი შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ რა ხანია, ცალკე სტრუქტურად ჩამოყალიბდა. კლუბის ნაწილია „ლოკომოტივის" საფეხბურთო სკოლაც...**

„ლოკომოტივს" ჭაბუკთა ლიგებში სამი გუნდი ჰყავს: 1991-91, 1993 და 1995-96 წელს დაბადებულები. ეს გუნდები თბილისში არ ვარჯიშობენ, საგურამოში, კლუბის ბაზაზე დადიან ავტობუსით, რომელიც სპეციალურად მათთვის, დიღმის მასივიდან, თბილისის „დინამოს" ბაზის სიახლოვიდან გადის. საგურამოში „ლოკომოტივის" საფეხბურთო სკოლის კიდევ ერთი გუნდი ვარჯიშობს - 1994 წელს დაბადებულები.

ეს ბაზა ჯერაც მშენებარეა. შენობის გარდა, ამ დროისთვის იქ სამი მოედანია, ორი - მინდვრის და ერთიც ხელოვნურსაფრიანი. „ლოკომოტივის" საფეხბურთო სკოლის მოზარდები მეტწილად ვე ამის გათვალისწინებით, „ლოკომოტივის" საფეხბურთო სკოლა, ალბათ, გამორჩეულია საქართველოში.

თანხა, რომელსაც მშობელი იხდის, ცხადია, მთლიანად სადაზღვევო კომპანიას მიაქვს. მაშ, რა შემოსავალი აქვს საფეხბურთო სკოლას? დაფინანსება კომპანია „სილქ როუდიდან" მოდის. ეს კომპანია საფეხბურთო კლუბ „ლოკომოტივის" მფლობელიცაა. შეიძლება ითქვას, „ლოკომოტივი" საქმეს პროგრესულად მიუდგა. კარგი ევროპული ქვეყნების კარგი საფეხბურთო კლუბების აკადემიებშიც ხომ ასეა - მოზარდი ფეხბურთზე რომ დადის, ფული გადასახდელი არ არის, ყველა ხარჯს კლუბი ისტუმრებს და თუ რომელიმე მოზარდი პირველ - ანუ კლუბის პროფესიულ გუნდში მოხვდება, სატრანსფერო თანხა თავისთავად არ იქნება გადასახდელი.

„ლოკომოტივის" საფეხბურთო სკოლაში 10 მწვრთნელი და 4 ექიმია დასაქმებული. როგორც თოფურიძემ გვითხრა, მწვრთნელებს მაღალი ხელფასი არ აქვთ, თუმც კუთვნილ თანხას დროულად იღებენ. „ლოკომოტივის" საფეხბურთო სკოლაზე - მდიდარი მართლაც არ ითქმის, მაგრამ საქმისადმი საინტერესო მიდგომა კი აქვს: დაზღვევა და უარი გადასახადს, სავარჯიშოდ ბავშვედორზე ფეხბურთელებიც ვარჯიშობდნენ და საფეხბურთო სკოლის მოზარდებიც, ახლა კი იმ მინდორს მხოლოდ რაგბისტები ქაცვავენ.

„ლოკომოტივს" გამოაკლდა თავისი ძველი ბაზაც დიღმის მასივში, სადაც ერთი სტანდარტული ზომის მინდორია და ერთიც - პატარა ქვიშის მოედანი. ეს ადგილი ახლა „საქართველოს რკინიგზას" ეკუთვნის თუ ეკონომიკის სამინისტროს, „ლოკომოტივში" ზუსტად არ იციან - თუ კლუბი იქ ვარჯიშს მოისურვებს, იჯარის გადახდა მოუწევს. ამ ბაზაზე იყო კოტეჯები, სადაც ფეხბურთელების შეკრებაზე გადაყვანაც შეიძლებოდა, ახლა კი იქ იძულებით გადაადგილებულები ცხოვრობენ.

„ლოკომოტივის" საფეხბურთო სკოლის გეგმებში შედის მთლიანად საგურამოს ბაზაზე გადასვლა. პროექტის მიხედვით, იქ კიდევ ორი მოედანი უნდა გაკეთდეს, აშენდეს სასტუმროც, რათა ფეხბურთელებს საძინებლები ჰქონდეთ. უნდა მოეწყოს აუზიც... მაგრამ ამ დროისთვის, პროექტის განხორციელება უფულობის გამო ვერ ხერხდება. კლუბმა ხომ პირველი გუნდის ბიუჯეტიც მნიშვნელოვნად შეამცირა და „ლოკომოტივსაც" მიმდინარე სეზონის მეორე ეტაპისთვის ერთბაშად რამდენიმე

საგურამოს ბაზის პროექტი



ხელოვნურ მოედანზე ვარჯიშობენ.

საგურამო არ არის ერთადერთი ალაგი, სადაც „ლოკომოტივის" მოზარდები იწრთობიან. თბილისის ველოტრეკზე მათთვისაც გამოიძებნა ადგილი. იქაური ხელოვნურსაფრიანი მოედნის ზომები 60/40-ია და მოზარდებს შეუძლიათ, ფეხბურთი ცხრა-ცხრაზე ითამაშონ. ველოტრეკზე 1997, 1998 და 1999 წელს დაბადებულები ვარჯიშობენ.

თბილისის საფეხბურთო სკოლებში ბავშვის მიყვანა მშობლისთვის პატარა საქმე არ არის. ზოგში ყოველთვიური გადასახადი 50 ლარიც კია. რა ვითარებაა ამ მხრივ „ლოკომოტივში"? როგორც სკოლის დირექტორმა **დიმიტრი თოფურიძემ** გვითხრა, იქ გადასახადი საერთოდ არ არსებობს, თუმცა მშობელი ვალდებულია გადაიხადოს სადაზღვევო თანხა კომპანია „BCI ალდაგში". დაზღვევა მხოლოდ სპორტულ ტრავმებს არ მოიცავს, ლაპარაკია მთლიანად ჯანმრთელობაზე. ყოველიბის ქალაქგარეთ წაყვანა. მაგრამ ამით არ იწურება „ლოკომოტივის" განსაკუთრებულობა - იქ საწვრთნელი პროცესიც განსაკუთრებული უნდა იყოს...

„ლოკომოტივს" სამწლიანი კონტრაქტი ჰქონდა გაფორმებული „ბარსელონასთან". ამ ხელშეკრულების მიხედვით ბარსელონიდან თბილისში ჩამოვიდა მწვრთნელ-ინსტრუქტორი **იაგო აგილარი**, ვინც ჩვენს დედაქალაქში ორი წელი ცხოვრობდა და მუშაობდა. თოფურიძემ გვამცნო, რომ „ლოკომოტივის" საფეხბურთო სკოლა აგრძელებს ბარსელონური მეთოდიკით მუშაობას.

*„რამდენჯერმე მეც მომიწია კატალონიაში ჩასვლამ და „ბარსელონაში" ზუსტად იმ მეთოდიკით მუშაობენ, როგორიც მათგან გადმოვიღეთ და ჩვენთან დავნერგეთ. ამ გეზს გავაგრძელებთ",* - გვითხრა თოფურიძემ.

იყო დრო, „ლოკომოტივის" სტადიონზე, რომელიც ახლა უკვე მიხეილს მესხის სახელობისაა, სათადარიგო მინწამყვანი ფეხბურთელი გამოეცალა.

როგორც ყველა საფეხბურთო სკოლას, შეკრებები „ლოკომოტივსაც" აქვს, თუმცა აქ უკვე ფულია გადასახდელი. ათდღიანი შეკრება მშობელს 300 ლარამდე უჯდება. ზაფხულში - ზღვა, ზამთარში - ბაკურიანი. ასეთია მარშრუტები...

ყველაზე სახელგანთქმული ფეხბურთელი, რომელიც პროფესიულ გუნდში „ლოკომოტივის" საფეხბურთო სკოლიდან დაწინაურდა, **ლევან ყენია** გახლავთ. თუმც მასზე ვერ ვიტყვით, მხოლოდ „ლოკომოტივმა" გამოზარდა-თქო. 14 წლამდე ხომ „დინამოს" აკადემიაშიც იყო...

სამწელიწად-ნახევარი - სულ ეს არის, რაც ახალი ფორმატითა და ახალი პატრონით არსებობს საფეხბურთო სკოლა „ლოკომოტივი" და არცთუ მოკრძალებული შედეგები აქვს - ინფრასტრუქტურა, განსაკუთრებული მეთოდიკა, ყენია და კიდევ სამომავლო პროექტები...

დავით თავართქილაძე

## უცხოური ფეხბურთი

სტრესი და ფეხბურთი

# ჯო კინეარს გულის ოპერაცია სჭირდება

### იმ დროის განმავლობაში, რაც ფერგიუსონი მანჩესტერ იუნაიტედში მოღვაწეობს, ინგლისურმა კლუბებმა 923 მწვრთნელი გაათავისუფლეს

**სერ ალექს ფერგიუსონს** სამწვრთნელო კარიერის განმავლობაში ბევრი რამ უნახავს, მათ შორის - 1985 წლის სექტემბერში, კარდიფის "ნინიან პარკზე" დატრიალებული ტრაგედიაც. სერ ალექსი შოტლანდიის ნაკრების მეორე მწვრთნელი იყო. გუნდს ლეგენდარული **ჯოკ სტეინი** თავკაცობდა. შოტლანდიელებმა უელსთან მატჩი ფრედ 1:1 დაასრულეს და ავსტრალიის ნაკრებთან ფლეი ოფში მონაწილეობა გაინაღდეს.

თამაშის მიწურულს სტეინს გულის შეტევა დაემართა და სტადიონის სამედიცინო ოთახში გარდაიცვალა. მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შესრულება ფერგის დააკისრეს. მან შოტლანდია მექსიკის მუნდიალზე გაიყვანა. მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ მან "მანჩესტერ იუნაიტედს" მიაშურა, შოტლანდია კი ენდი როქსბურგს ჩააბარეს.

ფეხბურთი სტრესული სამუშაოა. ეს ბოლო ერთი კვირის განმავლობაში პრემიერლიგაში განვითარებულმა მოვლენებმაც ცხადყო. "ნიუკასლის" თავკაცი **ჯო კინეარი** გულმა შეაწუხა, რის გამოც "ვესტ ბრომვიჩთან" ბოლო ტურის მატჩი (3:2) გამოტოვა. კინეარს გულის ოპერაცია უნდა გაუკეთონ. **ლუიშ ფელიპე სკოლარი** ("ჩელსი") და **ტონი ადამსი** ("პორტსმუთი") კი მანამდე დაითხოვეს, სანამ მათი ჯანმრთელობა მკვეთრად გაუარესდებოდა.

ფერგის სტეინის დაღუპვა გუშინდელი დღესავით ახსოვს. პირადად სერ ალექსსაც არაერთი სტრესი გადაუტანია, მაგრამ მუდმივი დაძაბულობა და დრამატიზმი მას ცხოვრების ხალისს მატებს. 67 წლის სპეციალისტი ჯერაც მხნედ გრძნობს თავს. წლები გადის. ფეხბურთი იცვლება, მხოლოდ სერ ალექსია უცვლელი. ფერგიუსონის "მანჩესტერში" დანიშვნის დღიდან ინგლისურმა კლუბებმა 923 (!) მწვრთნელი შეცვალეს, მას კი და პენსიაში გასვლა სულ არ ეჩქარება.

ფეხბურთში სტრესი წლიდან წლამდე მატულობს. ექიმების დაჟინებული მოთხოვნით, ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ ყოველ ექვს თვეში მწვრთნელების სამედიცინო შემოწმება სავალდებულო გახადა. სტატისტიკა შემაშფოთებელია: შარშანდელი მონაცემებით, ინგლისში მომუშავე მწვრთნელების 40 პროცენტს მაღალი წნევა აღენიშნება, 60 პროცენტს სისხლში ქოლესტერინის რაოდენობა აქვს მომატებული, რაც გულის დაავადებების გამომწვევი მიზეზია.

"უიმბლდონის", "შეფილდ იუნაიტედისა" და "ნოტინგემ ფორესტის" თავკაცმა **დეივ ბასეტმა** თანხმობა განაცხადა, მონაწილეობა მიეღო ექსპერიმენტში, რომელიც მწვრთნელების გულისცემის შესწავლას ისახავდა მიზნად. მას გულზე სპეციალური აპარატი დაამაგრეს, რომელიც 90 წუთის განმავლობაში გულის თითოეულ დარტყმას დეტალურად აღნუსხავდა. აპარატმა არითმია დააფიქსირა. გულის რიტმი დარღვეული იყო, თუმცა ის თამაშის დასრულების შემდეგ ნელ-ნელა აღდგა.

ბასეტი თავს კარგად გრძნობს, თუმცა კინეარი, როგორც მოგახსენეთ, საოპერაციო გახდა. ის ერთადერთი არ არის, ვისაც გულის ოპერაცია დასჭირდა. ფეხბურთისაგან გამოწვეული სტრესის შედეგად, **ჟერარ ულიე** ("ლივერპული") და **გლენ როუდერიც** ("ვესტ ჰემი", "ნიუკასლი") კარდიოლოგიური კლინიკების პაციენტები გახდნენ. დღეს ისინი კარგად გრძნობენ თავს, მაგრამ ერთხელ დაავადებული გული სრულფასოვნად, როგორც წესი, არ იკურნება. ამიტომ ამ მწვრთნელებმა, შეიძლება, არც კი იცოდნენ, თუ რა ზიანი მიაყენა მათ ჯანმრთელობას საყვარელმა საქმემ.

**შალვა ბიბილაშვილი**



სერ ალექს ფერგიუსონი

ამბები

### ჰიდინკი ოფიციალურად, [illegible] ანჩელოტი?

გუშინ **გუუს ჰიდინკმა** "ჩელსისთან" სამთვიანი კონტრაქტი გააფორმა. შაბათს, "არისტოკრატები" უოტფორდთან სათასო მატჩს მართავენ. ჰოლანდიელი სპეციალისტი თამაშს სტუმრის რანგში დაესწრება. გუნდს მეორე მწვრთნელი, **რეი უილკინსი** მოამზადებს. ჰიდინკის დებიუტი მომდევნო უქმეებზე, "ასტონ ვილასთან" მატჩში შედგება. ასე რომ, მისტერ გუუს "ჩელსის" მოსამზადებლად მთელი კვირა ექნება. ჰიდინკმა არ გამორიცხა, სეზონის დასრულების შემდეგ, ლონდონელებთან ხანგრძლივი კონტრაქტი გააფორმოს, თუმცა მას ამ საკითხის განხილვა ნაადრევად მიაჩნია. ინგლისელი მიმომხილველები არ გამორიცხავენ, მოვლენები ასეთი სცენარით განვითარდეს: "ჩელსიმ" მთავარ მწვრთნელად **კარლო ანჩელოტი** დანიშნოს (**რომან აბრამოვიჩს** მისი მიწვევა ჯერ კიდევ გასულ ზაფხულს სურდა), ხოლო "მილანი" ბარსელონის ყოფილმა მწვრთნელმა და "როსონერის" ყოფილმა ვარსკვლავმა **ფრანკ რაიკაარდმა** ჩაიბაროს. იტალიური გრანდის ხელმძღვანელობას ამ საკითხზე კომენტარი არ გაუკეთებია.

### კიგანი მართვის მოწმობის გარეშე დარჩა

ინგლისის ნაკრებისა და „ნიუკასლის" ყოფილი თავკაც **კევინ კიგანს** ექვსი თვის განმავლობაში, შეუძლია, ავტომობილის მართვა დაივიწყოს. გუშინ დილას შედგა სასამართლო სხდომა, რომელმაც მის წინააღმდეგ მკაცრი სანქცია დააწესა. საქმე ის არის, რომ გასული წლის 27 აგვისტოს 57 წლის ვარსკვლავი პოლიციამ სიჩქარის გადაჭარბებისთვის ნიუკასლსა და კარლაილს შორის ტრასაზე გააჩერა. მის საქციელში კატასტროფული არაფერი ყოფილა. დაშვებულ სიჩქარეს (48 მილი საათში) მან სულ რაღაც 10 მილით გადააჭარბა. იმის გამო, რომ სხდომაზე გამოცხადება თავად არ ისურვა, მოსამართლემ ის დამატებით 800 გირვანქით დააჯარიმა. გარდა კიგანის ადვოკატებისა, სასამართლოზე გამოცხადდა მისი მეუღლეც. ბრიტანეთის საზოგადოებრივი მაუწყებლის ცნობით, ქალბატონმა კიგანმა ქმრის გამართლება მისი სამუშაოს სპეციფიკით ახსნა - განაცხადა რა, რომ იმ მომენტში კევინი საფეხბურთო კლუბ „ნიუკასლისა" და მისი პრობლემების გარდა, ველარაფერზე ფიქრობდა.

### პრემიერლიგა ყველაზე, ყველაზე ზემოთ

გლობალური ეკონომიკური კრიზისის გამო, იანვრის ტრანსფერებისას საფეხბურთო კლუბებმა ბევრად უფრო ნაკლები ფული დახარჯეს, ვიდრე შარშან. აუდიტორული კომპანია „დელოიტ ენდ ტუშის" დასკვნით, პრემიერლიგის გუნდები დანახარჯებით მაინც პირველ ადგილზე გავიდნენ, თანაც ინგლისელებმა უფრო მეტი ფული გაიღეს, ვიდრე ესპანეთის, იტალიის, გერმანიისა და საფრანგეთის მოწინავე დივიზიონის კლუბებმა ერთად. *„ევროპული საფეხბურთო ბაზარი წელს უჩვეულოდ წყნარი იყო, თუმცა ამაში გასაკვირი არაფერია. ინგლისშიც კი ყველაზე მეტი მოთამაშე იჯარით გადაიყვანეს, ან მათ შედარებით იაფფასიანი ხანმოკლე კონტრაქტები გაუფორმეს,"* - განუცხადა „როიტერს" ქოვენტრის უნივერსიტეტის პროფესორმა, სპორტული მარკეტინგის წამყვანმა სპეციალისტმა **საიმონ ჩედვიკმა**. მისი ინფორმაციით, იტალიელებმა შარშანდელთან შედარებით ხარჯები 43 პროცენტით შეამცირეს და სულ რაღაც 29 მილიონი ევრო გადაიხადეს. გერმანელებმა იანვრის ტრანსფერებში 16 მილიონი ევრო გაიმეტეს. რაც შეეხება ესპანეთს – მარტო „რეალმა" იანვარში 42 მილიონი ევრო დახარჯა. პრემიერლიგის კლუბების ხარჯმა ერთბაშად 160 მილიონს მიუკაკუნა.

**შალვა ბიბილაშვილი**

ფეხბურთი და პოლიტიკა

# საპროტესტო აქცია პრემიერის რეზიდენციასთან

### საპატეროს ბარსას გულშემატკივრობას უკრძალავენ



ესპანეთში საფეხბურთო ვნებებს ზღვარი და ლოგიკა არ გააჩნა. იქაურ საფეხბურთო საზოგადოებას რა არ უნახავს და არ გაუგონია, მაგრამ რაც ორი დღის წინ მადრიდში მოხდა, აქამდე არასოდეს მომხდარა. ამ რამდენიმე დღის წინ ესპანეთის პრემიერ-მინისტრმა **ხოსე ლუის როდრიგეს საპატერომ** კატალონიის ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ ბავშვობიდან „ბარსელონას" თავგადაკლული ფანია და ამ გუნდის ბედ-იღბალი მისთვის სულერთი არასოდეს ყოფილა. მან ისიც თქვა - როცა „რეალი" თამაშობს, ღმერთს ვთხოვ, რომ წააგოს და ქულები დაკარგოსო. პრემიერ-მინისტრს არ დაუკონკრეტებია, ეს თხოვნა თუ ლოცვა მხოლოდ პრიმერა დივიზიონზე ვრცელდება, თუ ჩემპიონთა ლიგაზე. სავარაუდოდ, საპატერო სამეფო კლუბს წარუმატებლობებს მხოლოდ ნაციონალურ ჩემპიონატში უსურვებს. მიუხედავად ამისა, ქვეყნის მთავრობის თავმჯდომარის ბარსელონისტურმა განწყობილებამ დედაქალაქში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. გუშინ, გვიან ღამით ესპანეთის პრემიერ-მინისტრის რეზიდენციასთან „რეალის" გულშემატკივრების საკმაოდ დიდმა ჯგუფმა საპროტესტო აქცია მოაწყო. ინჩასები ტრანსფარანტებითა და საყვირებით მივიდნენ, თუმცა პოლიციამ დემონსტრანტები კატეგორიულად გააფრთხილა, არ იხმაუროთ, თორემ ძალას გამოვიყენებთო. ფანებმა სიტუაციის დაძაბვა არ ისურვეს და საყვირებში აღარ ჩაბერეს. სამაგიეროდ, პრემიერ-მინისტრს ტრანსფარანტი უხვად დაუტოვეს. ლოზუნგების საშუალებით დემონსტრანტები საპატეროს მიკერძოებაში სდებდნენ ბრალს და ნეიტრალურობისკენ მოუწოდებდნენ. საქმეში უკეთ რომ გავერკვეთ, მოდი, ფანკლუბის ერთ-ერთი აქტივისტის რამონ კამინარესის განცხადებას გავეცნოთ:

*„საპატერო მთელი ქვეყნის პრემიერ-მინისტრია. ის ჩვენი გადასახადებით იღებს ხელფასს, მაგრამ პატივს არ გვცემს და დაგვცინის. დიახ, ეს დაცინვაა და სხვა არაფერი. ჩვენ მის საქციელს ვგმობთ. საპატეროს, რა თქმა უნდა, თავისუფლად შეუძლია, იმ გუნდს უქომაგოს, რომელიც მას მოსწონს, მაგრამ სიმპათია ღიად არ უნდა გამოხატოს. თუ მას სხვა შეხედულება აქვს, მაშინ ან თანამდებობა დატოვოს, ან ჩვენი გადასახადებით ხელფასს ნუ იღებს. თანაც, გვაქვს სერიოზული ეჭვი, რომ საპატეროს სამსაჯო კომიტეტში დიდი გავლენა აქვს და „ბარსელონას" დასახმარებლად შავბნელ საქმეებს აკეთებს. ბუნებრივია, ჩვენ არანაირი მტკიცებულება არ გაგვაჩნია და სასამართლოში საჩივარი ამიტომ არ შეგვაქვს... თუმცა ამ ეჭვის გამოთქმის უფლებას ვერავინ აგვიკრძალავს".*

უცნაურია, „რეალის" გულშემატკივრები საპატეროს „ბარსელონასადმი" სიყვარულის ღიად გამოხატვის უფლებას რატომ უკრძალავენ. ეს ფაქტი თავად პრემიერ-მინისტრსაც ძალიან უკვირს. „კადენა სერმა" წუხელ პრემიერ-მინისტრის სატელეფონო საუბრის ფრაგმენტი გადასცა. აი, რა განაცხადა სენიორ ხოსე ლუის როდრიგეს საპატერომ:

*„ამ რამდენიმე დღის წინ ის იშვიათი შემთხვევა იყო, როცა მუშაობას შედარებით ადრე მოვრჩი და დასაძინებლად დაწოლა გადავწყვიტე, მაგრამ მოულოდნელად ხმაური მომესმა. ჩემს თანამშრომელს ვკითხე, კი, მაგრამ რა ხდება-მეთქი? მითხრეს, რომ „რეალის" გულშემატკივრები საპროტესტო აქციას მართავდნენ. ეს მათი კონსტიტუციური უფლებაა, მაგრამ მე, როგორც ერთ ჩვეულებრივ მოქალაქეს, გულწრფელად მიკვირს, რატომ არ შემიძლია, „ბარსელონასადმი" სიმპათია დაუფარავად გამოვხატო? მერე რა, რომ მთავრობის თავმჯდომარე ვარ? ეს ჩემი სამსახურებრივი მდგომარეობაა და მეტი არაფერი. პოზიციის ღიად გამოხატვის უფლება მხოლოდ ჟურნალისტებს არ გააჩნიათ, იმიტომ, რომ მათ ინფორმაცია ობიექტური ხედვით უნდა გაავრცელონ. მე კი მთავრობას ვმართავ. თუ ვინმე იტყვის, რომ „ბარსელონას" ვეხმარები, ეს უნდა დაამტკიცოს. თუ დაამტკიცებენ, რა თქმა უნდა, თანამდებობიდან წავალ, მაგრამ რაც არასოდეს მომხდარა, იმას ვერავინ ვერასოდეს დაამტკიცებს. რა გამოდის, რადგან პრემიერ-მინისტრი ვარ, სტადიონზე ვერ უნდა მივიდე და ემოცია ვერ გამოვხატო? ყველას დიდი ბოდიშს ვუხდი, მაგრამ ეს ბოდვაა და სხვა არაფერი. მე ჩვენი ქვეყნის სამართალი რომელიმე საფეხბურთო კლუბის ქომაგობას არ მიკრძალავს. ასე რომ, დემონსტრაციებით ვერავინ შემაშინებს".*

აგორებულ აჟიოტაჟს **ჟოან ლაპორტაც** გამოეხმაურა. „ბარსელონას" პრეზიდენტი საპატეროს სულისკვეთებასა და ლოგიკას სრულიად იზიარებს: *„ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ მადრიდელმა გულშემატკივრებმა მათი გუნდის პრობლემებით გამოწვეული სევდისგან გათავისუფლება გადაწყვიტეს და გასართობი აქცია მოაწყვეს. ვის რა უფლება აქვს, პრემიერ-მინისტრს „ბარსას" გულშემატკივრობა აუკრძალოს? მაშინ მეფე რატომ ქომაგობს „რეალს"? ჯერ მონარქის სასახლესთან გამართონ დემონსტრაცია და დავიჯერებ, რომ ისინი ობიექტური ხალხია. დიდი ბოდიში, მაგრამ თუ მთავრობის სიმპათიაზეა ლაპარაკი, პირველ რიგში სამეფო კლუბი უნდა ვახსენოთ. მეოცე საუკუნის 50-იან წლებზე რომ არაფერი ვთქვა, რამდენიმე წლის წინ გუნდის კოლოსალური ვალის საეჭვო სიტუაციაში გასტუმრების თემა დღემდე ბურუსითაა მოცული. დიდი ეჭვი მაქვს, რომ ამ საქმეში პარტიდო პოპულარი იყო გარეული, მაგრამ იმის გამო, რომ მტკიცებულება არ მაქვს, ხმას არ ვიღებ. საპატერო ცამდე მართალია, რადგან ის პატიოსანი ინჩასია. პრემიერს აზრადაც არ მოუვა, რომ „ბარსას" რაიმე სახით დაეხმაროს".*

**ილია ნიკოლაიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისური ამბები

# შეიძლება, კენიონიც დაიფრინონ

## ადებაიორი აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელია



„ჩელსიში" განვითარებული ბოლო მოვლენები გვაფიქრებინებს, რომ სამწვრთნელო ტახტის გარდა, შეიძლება კლუბში ტექნიკური დირექტორის პოსტიც შეირყეს. აღნიშნულ ინფორმაციას „დეილი მეილი" ავრცელებს. არადა, ბოლო წლების განმავლობაში **პიტერ კენიონი** სტაბილურად შედის ბრიტანეთის საუკეთესო მენეჯერთა რიცხვში. ორშაბათს, როცა „ლურჯებმა" **ლუიშ ფელიპე სკოლარი** თანამდებობიდან დაითხოვეს, ის კარიბის ზღვის სანაპიროზე ნებივრობდა. შესაბამისად, გადაწყვეტილება ბრაზილიელთან კონტრაქტის გაწყვეტის თაობაზე პირადად **რომან აბრამოვიჩმა** მიიღო და რაც ყველაზე გასაკვირია - კენიონთან კონსულტაციის გარეშე. მწვრთნელების დათხოვნის შესახებ წინა გადაწყვეტილებები (**რანიერი, მოურინიო, გრანტი**), ფორმალურად სწორედ კენიონის მიერ იყო მიღებული. როგორც იგივე „დეილი მეილი" გვამცნობს, რუს ოლიგარქს კლუბის მმართველობის სადავეების მოქცევა საკუთარ ხელებში სურს, სწორედ ამიტომ მას მაღალანაზღაურებადი თანამშრომელი აღარ დასჭირდებაო...

„ლივერპულის" მთავარი მწვრთნელი **რაფა ბენიტესი** გამოტყდა, რომ ის ჯერ კიდევ სეზონის დაწყებამდე ვარაუდობდა: „ასტონ ვილა" სეზონს მაღალ დონეზე ჩაატარებდა. ვინმე ვარაუდობდა თუ არა, ბირმინგემული კლუბის მესამე ადგილს, ამის თქმა ძნელია, მაგრამ ესპანელი **მარტინ ონილის** გუნდისგან სიურპრიზებს ნამდვილად ელოდა. „ასტონ ვილა" დღეს შესანიშნავ ფორმაშია. ის ცხრილში დამსახურებულად იკავებს მესამე ადგილს. ბევრი მიიჩნევს, რომ ისინი მალე ჩამოშორდებიან საჩემპიონო რბოლას, რადგან ძალები არ ეყოფათ. ვფიქრობ, ამაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია. ბოლოს შეიძლება მართლა ორი პრეტენდენტი დარჩეს, მაგრამ შეუძლებელია, „ასტონ ვილის" პროგრესით არ აღფრთოვანდე. გუნდში შეკრებილია შესანიშნავი ფეხბურთელების მთელი ანსამბლი, რომელიც თავაუღებლად მუშაობს და აქვთ დიდი მოტივაცია," - განუცხადა ჟურნალისტებს მერსისაიდელთა დამრიგებელმა.

„ლივერპულისა" და იტალიის ნაკრების განაპირა მცველმა **ანდრეა დოსენამ** უარყო ინფორმაცია, თითქოს სეზონის ბოლოს „ენფილდიდან" აბარგებას აპირებდეს. „ახალ კლუბში გატარებული პირველი ექვსი თვე ძალზე მძიმე პერიოდი იყო ჩემს ცხოვრებაში. ინგლისური ფეხბურთი იტალიურისგან რადიკალურად განსხვავდება. შესაბამისად, საჭირო იყო ადაპტაციის რთული ეტაპის დაძლევა. დღეს ბევრად უკეთ მესმის, რას ითხოვს ჩემგან რაფა ბენიტესი და რა მევალება მინდორზე," - განაცხადა აპენინელმა ფეხბურთელმა.

კიდევ ერთი ცნობა ლივერპულელთა ბანაკიდან: ჰოლანდიელი თავდამსხმელის **დირკ კუიტის** თქმით, გუნდის თავკაცმა შესანიშნავად გათვალა ის, თუ რა შემადგენლობა უნდა დაეყენებინა „პორტსმუთის" წინააღმდეგ. სპეციალისტებმა გაოცება ვერ დამალეს, როცა „ფრეტონ პარკზე" უკანა ხაზში ექვსი ნომინალური მცველი და შეტევაში გამოუცდელი **დავიდ ნგოგი** იხილეს. „ზოგიერთმა ფეხბურთელმა „ჩელსისა" და „ევერტონთან" შეხვედრები ერთი ამოსუნთქვით ჩაატარა. ძალიან გადავიღალეთ. შესაბამისად, სენიორ რაფამ გუნდის მასშტაბურ როტაციას მიმართა. შედეგად, მისმა არჩევანმა გაამართლა. მერე რა, რომ გიჟური თამაში აღმოჩნდა? მთავარია, მოვიგეთ. თანაც მნიშვნელოვანი იყო, რომ გუნდმა ხასიათის სიმტკიცე გამოავლინა. წინ კიდევ ბევრი დაძაბული მატჩი გველის," - თქვა კუიტმა. ჰოლანდიელს რატომღაც დაავიწყდა აღენიშნა, რომ შედეგი ისევ და ისევ შეცვლაზე შესულმა ფეხბურთელებმა უზრუნველყვეს.

„არსენალის" 19 წლის თავდამსხმელმა **თეო უოლკოტმა** ჯერ კიდევ ნოემბერში, სანაკრებო შეკრებაზე მიიღო მხრის უმძიმესი ტრავმა. იგი მას შემდეგ ბურთს აღარ გაკარებია. დაზიანება იმდენად რთული იყო, რომ მას ოპერაციაც კი დასჭირდა. მინდორზე ფეხბურთელის გამოჯანმრთელება მარტის ბოლოსთვის იგეგმებოდა, მაგრამ როგორც ჩანს, ის მწყობრში ბევრად უფრო მალე ჩადგება. „იმედს ვიტოვებ, რომ თებერვლის ბოლოს უკვე შემეძლება ფეხბურთში დაბრუნება. ამისთვის უამრავ საჭირო პროცედურას განუხრელად ვასრულებ. სატრენაჟორო დარბაზში ინტენსიურად ვვარჯიშობ, რათა კუნთები დატვირთვებს რაც შეიძლება ადვილად შევაგუო. ტრავმის რეციდივის შიში ისევ მაქვს. შესაბამისად, ვიდრე ასი პროცენტით მზად არ ვიქნები, თამაშს მოვერიდები".

გუშინ გაცნობეთ, რომ „არსენალს" **ემანუელ ადებაიორი** დაუშავდა. თავდამსხმელს სწორედ ამ დროს მოუსწრო სასიხარულო ცნობამ, რომ ის 2008 წლის აფრიკის წლის ფეხბურთელად აღიარეს. ტოგოელმა ისეთ აღიარებულ ოსტატებს გადაუსწრო, როგორებიც არიან განელი **მიკაელ ესიენი** და ეგვიპტელი **მოჰამედ აბუტრიკა**. გამოკითხვაში მონაწილეობდნენ აფრიკული ნაკრებების მთავარი მწვრთნელები და კაპიტნები. „მოხარული ვარ, რომ ეს ჯილდო წილად მერგო. აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელობაზე დიდი პატივი ვერც კი წარმომიდგენია. წინ ჩვენს კონტინენტზე ჩასატარებელი მსოფლიოს ჩემპიონატია. რომელიმე აფრიკულ გუნდს აუცილებლად ექნება ამ ტურნირის მოგების რეალური შანსი," - თქვა ადებაიორმა.

ჰოლანდიური ამბები

# ფეიენოორდი იყიდება

## სტეკელენბურგი სეზონის ბოლოს მიდის

ჰოლანდიური „ფუტბოლ ინტერნეშენელის" ცნობით, ინვესტორთა ჯგუფმა უკვე საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ „ფეიენოორდის" აქციათა საკონტროლო პაკეტი შეიძინოს. უახლოეს მომავალში დაგეგმილია კლუბის ამჟამინდელი მესაკუთრეებისა და პოტენციური მყიდველების შეხვედრა. რასაკვირველია, დიდწილად „ფეიეს" ბედი სწორედ ამ შეხვედრაზე იქნება დამოკიდებული. აღნიშნული წყარო გვამცნობს, რომ სავარაუდოდ, კლუბის აქციათა 50 პროცენტის შეძენის მსურველს 60 მილიონი ევროს გადახდა მოუწევს. აქციათა სრული პაკეტი კი 100 მილიონი დაჯდება. ახალი, ფინანსურად შეძლებული პატრონის ხელში როტერდამული გრანდის გაძლიერებას წინ უკვე ველარაფერი დაუდგება. თუკი გარიგება ზაფხულისთვის შედგება, **მარიო ბეენს** სატრანსფერო კუთხით ცხელი ზაფხული ექნება. „ფეიენოორდის" შემადგენლობას აშკარად მასშტაბური გადახალისება სჭირდება.

**იბრაჰიმ აფელაის** შემდეგ "ეინდჰოვენმა" მეორე ლიდერიც დაკარგა. ლაპარაკია გუნდის ახალწვეულზე, შვედეთის ნაკრების ნევრ **ოლა ტოივონენზე**. ამჯერად საქმე ტრავმასთან არ გვაქვს. „ვოლენდამთან" შეხვედრაში ფეხბურთელს ნერვებმა უმტყუნა და მოწინააღმდეგის უხეშობას თავადაც უხეშობით უპასუხა, რისთვისაც მას წითელი ბარათი უჩვენეს. მართალია, ტოივონენი გუნდში ახლახან ჩაირიცხა, მაგრამ უკვე იქცა წამყვან ფეხბურთელად. ოლას ერედივიზიონის ორი ტურის გამოტოვება მოუწევს. ამ პერიოდში ჰოლანდიის ჩემპიონებს ორი ურთულესი შეხვედრა ელით. ზეგ, 14 თებერვალს, ისინი „ალკმაარს" უმასპინძლებენ, ხოლო 21-ში „გრონინგენს" ესტუმრებიან. თავდაპირველად ლაპარაკი იყო, რომ მას ერთი შეხვედრის გამოტოვება მოუხდებოდა, მაგრამ სადისციპლინო კომიტეტმა მიიჩნია, რომ განგებ უხეშობის გამო სანქცია უფრო მკაცრი უნდა ყოფილიყო. თავად ფეხბურთელი გადაწყვეტილებას კატეგორიულად არ ეთანხმება. „ჩემი მხრივ წინასწარ უხეშობას ადგილი არ ჰქონია. მკლავს ვამოძრავებდი, იდაყვი კი ჩემს მეტოქეს სრულიად შემთხვევით მოხვდა. მას, პრაქტიკულად, არც კი შევხებივარ," - ამტკიცებს ის. კლუბი დისკვალიფიკაციის საქმეს ალბათ ზემდგომ ორგანოში გაასაჩივრებს.

ამ დღეებში „ეინდჰოვენმა" გულშემატკივარს ჩინელი ახალწვეული **ჩჟოუ ჰაიბინი** წარუდგინა. მან წარმატებით გაიარა სამედიცინო შემოწმება. განაცხადში მისი დროულად შეყვანა საპატიო მიზეზის გამო ვერ მოხერხდა. საქმე ის არის, რომ ფეხბურთელს თავისი ძველი კლუბის, „შანდონ ლიუნენის" წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი ჰქონდა შეტანილი. ჩჟოუმ პროცესი მოიგო და თავისუფალი აგენტის სტატუსი მოიპოვა. ჰაიბინი „ეინდჰოვენში" 19 ნომრით ისპარეზებს. მხარეთა შორის ორწლიანი კონტრაქტი გაფორმდა. ჩჟოუ არ არის პირველი ჩინელი, რომელიც თავის ძალებს „ეინდჰოვენში" მოსინჯავს. 2007 წელს გუნდში **სუნ სიანი** იჯარის წესით ასპარეზობდა, თუმცა რაიმე განსაკუთრებული არაფერი უჩვენებია, შესაბამისად, მასთან სრულფასოვანი კონტრაქტი აღარ გაფორმებულა. გთავაზობთ ახალწვეულის პირველ კომენტარს: „ფეხბურთი და ზოგადად ცხოვრება რადიკალურად განსხვავდება იმისგან, რაც ჩემს სამშობლოშია. მაგრამ ეს მხოლოდ და მხოლოდ გამოწვევაა ჩემთვის, - ოპტიმიზმით აღსავსეა ფეხბურთელი. - სუნ სიანმა უამრავი რჩევა მომცა. იმედია, ეს დამეხმარება ახალ გარემოსთან უმტკივნეულო ადაპტაციაში. ბოლო ორი კვირა საერთოდ არ მივარჯიშია. შესაბამისად, გარკვეული დრო აუცილებლად დამჭირდება, რომ სასურველ ტონუსს მივაღწიო".




ჰოლანდიის ნაკრებისა და „აიაქსის" კარის დარაჯმა **მაარტენ სტეკელენბურგმა** გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ეცდება, სეზონის ბოლომდე ახალი კლუბი მონახოს. მისი განცხადებით, ის მხოლოდ ამბიციურ ევროპულ კლუბში გადასვლას დათანხმდება. „აიაქსიდან" ჩემი თაობის თითქმის ყველა ფეხბურთელი წავიდა. ჰეიტინგა, ჰუნტელაარი და მე უკანასკნელი წარმომადგენლები ვიყავით, ახლა კი მარტო დავრჩი. ჩემს მშობლიურ ამსტერდამულ კლუბს ცხოვრების შვიდი წელიწადი შევალიე. ვფიქრობ, დროა, ძალები სხვაგან მოვსინჯო. დღეს ძირითადში საკუთარ ადგილზე ნამდვილად არ ვნერვიულობ, მაგრამ ახალგაზრდა კონკურენტები მალევე შემავიწროებენ. სულაც არ მხიბლავს პერსპექტივა, რომ ოდესმე „აიაქსის" სკამზე აღმოვჩნდე. ეს ჩემს სანაკრებო კარიერას მსუყე წერტილს დაუსვამს", - განაცხადა ფეხბურთელმა. შეგახსენებთ, რომ როცა პირველ წრეში მაარტენი დაშავებული იყო, მას უმტკივნეულოდ ცვლიდა **კენეტ ვერმეერი**. სტეკელენბურგის კონტრაქტს ვადა ამსტერდამულ კლუბთან 2012 წელს გასდის. მისი სავარაუდო ღირებულება 7-8 მილიონი ევრო იქნება.

ეერსტე დივიზიონის ლიდერ „ვენლოს" უმოკლეს ვადებში ახალი სტადიონის აშენება აქვს განზრახული. კლუბის პრეზიდენტ **ჰაი ბერდენის** თქმით, ახალი არენის აშენება დიდძალ თანხებს მოითხოვს. პროექტის ღირებულება 75 მილიონ ევროს უკაკუნებს, თუმცა ეს თანხები უკვე გამონახულია. კლუბს შემოსავლების საკუთარი წყარო აქვს. მას ეკუთვნის უზარმაზარი ტურისტული კომპლექსი, რომელშიც 6 ათასი (!!!) ნომერია. არენის მშენებლობა გაზაფხულზევე დაიწყება და 2011 წლის შემოდგომისთვის უკვე ექსპლუატაციაში შევა.

რივერ პლეიტი



# პასარელას რივერის პრეზიდენტობა უნდა

## ლიდერის გარეშე მომავალი არ არსებობს

არგენტინის ნაკრების ყოფილი ვარსკვლავი **დანიელ პასარელა** „რივერ პლეიტის" საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას გეგმავს. ის ამ დღეებში ევროპაში გამოფრინდა, რათა გავლენიან საფეხბურთო პერსონებს შეხვდეს. მათ შორის დაგეგმილია შეხვედრა უეფას პრეზიდენტ **მიშელ პლატინისთან**. ის სააგენტო „ტელამს" ესაუბრა, სადაც მისი საყვარელი კლუბის განვითარების გეგმა წარმოადგინა. გთავაზობთ ციტატას: „რივერი" ამჟამად თავისი არსებობის ისტორიაში ერთ-ერთ უმწვავეს კრიზისში იმყოფება. მიუხედავად ყველაფრისა, ალბათ, მსოფლიოში ეჭვი არავის ეპარება, რომ ის დიდი ტრადიციების კლუბია და არანაკლები პერსპექტივა აქვს. კრიზისიდან გამოსასვლელად საჭირო იქნება სისხლი, ოფლი და ცრემლები". პასარელა გამოტყდა, რომ ევროპაში ვიზიტის მიზანი ძალზე ბანალურია. მას გრანდების გამოცდილების შესწავლა სურს, განსაკუთრებით მენეჯმენტის კუთხით. „ჩვენი კონცეფცია მარტივია: „რივერში" უნდა მოხდეს რეფორმები. ჩვენ კლუბის მართვის ევროპულ მანერაზე უნდა გადავიდეთ, მაგრამ პირველ რიგში, საჭიროა, გუნდმა თამაშის სპეციფიკური, სამხრეთული სტილი უცვლელად შეინარჩუნოს". არგენტინის ნაკრების ექსკაპიტანს ჩაფიქრებული აქვს „მონუმენტალის" (მეორენაირად მას „ანტონიო ვესპუჩო ლიბერტი" ჰქვია, მაგრამ ამ სახელით თითქმის არავინ იცნობს) სამხრეთი ამერიკის ყველაზე თანამედროვე სტადიონად ქცევა. შეკითხვაზე, როგორი სტილის ხელმძღვანელად წარმოუდგენია საკუთარი თავი და ვინ იქნებიან მის გუნდში, უპასუხა: „მე პიროვნება ვარ ჩემი პრინციპებითა და მოსაზრებებით. ალბათ, გარკვეული ავტორიტეტიც მაქვს. გარწმუნებთ, ლიდერისა და ორგანიზატორის გარეშე არც ერთ ორგანიზაციას მომავალი არ ექნება. რაც შეეხება ჩემს გუნდს, ამ საკითხზე, ჯერჯერობით, კონკრეტული გადაწყვეტილება არ მიმიღია. ჯერ მოლაპარაკებაც კი არავისთან მქონია".

გვერდი მოამზადა
შალვა ბიბილაშვილმა

ბრაზილია-იტალია. გამოხმაურება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცივი შხაპი ლიპის, იტალია მიწაზე დაეშვა



ელანოს გააქვს პირველი გოლი იტალიელთა კარში

**სამშაბათს**, იტალიის ეროვნულმა ნაკრებმა ბრაზილიასთან ამხანაგური შეხვედრა გამართა და 0:2-ზე დამარცხდა. აპენინებზე ნაგება მტკივნეულად აღიქვეს და ეს პრესის ფურცლებიდან ნათლად ჩანს. **მარჩელო ლიპიმ** „აძურას“ თავკაცის რანგში წაუგებელი სერია შეწყვიტა და ბუნებრივია, ეს კიდევ უფრო უსიამოვნოს ხდის სამხრეთამერიკელებთან განცდილ მარცხს. ლიპიმ ცივი შხაპი მიიღო, წერს „გაძეტა დელო სპორტი“ და იქვე, კითხვას სვამს, იქნებ ეს კარგიც იყოს? - დიახ, ბოლო დროს სრულიად იტალია ძალიან კმაყოფილი იყო საკუთარი ნაკრებით და უმეტესობა იმაშიც გახლდათ დარწმუნებული, რომ „აძურა“ მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთს თამაშობს. ნაკრები მუნდიალის მთავარ ფავორიტად მიაჩნდათ და დიდ გამარჯვებაში დარწმუნებულნი იყვნენ. ეს დიდწილად ლიპის ფაქტორმა განაპირობა, დონ მარჩელო ხომ აპენინებზე წარმატებასთან ასოცირდება. მისმა „აძურამ“ კარგად დაიწყო მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი და ჯგუფს თავიდანვე მოექცა სათავეში. **დონადონის** დროს მსგავსი არაფერი მომხდარა, ლიპიმ კი მისდა უნებურად მესიის როლი მოირგო. მისი ბრმად სჯერათ და ეს სადღაც ცუდია, დასძენენ ჟურნალისტები.

ცივი შხაპი კი აუცილებელი იყო, რადგან გუშინდელ შეხვედრაში ლიპიმ რამდენიმე გაუგებარი და მეტად საეჭვო გადაწყვეტილება მიიღო. შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ მარცხში მთავარი დამნაშავე სწორედ მწვრთნელია. ასეთი უსუსური „აძურა“ ბოლოს, ალბათ, ევრო 2008-ზე ვიხილეთ, როდესაც იტალიის ნაკრებმა ჰოლანდიასთან გამანადგურებელი მარცხი იწვნია. ექსპერტთა გაკვირვებას იწვევს ის თერთმეტეული, რომელზეც ლიპიმ არჩევანი გააკეთა. იტალიელები ყველაზე მეტად **სიმონე პეპეს** ემდურიან, ვინაც ბრაზილიელებთან ვერაფრით გამოირჩა და აშკარად ამოვარდნილი გახლდათ საერთო სურათიდან. თუმცა ვერც სხვებმა ივარგეს და ეს შედეგიდანაც კარგად ჩანს. უჩვეულოდ ინერტული იყო **ანტონიო დი ნატალე**, ტოტო ბევრს კი დარბოდა, მაგრამ მარგი ქმედების კოეფიციენტი ძალიან დაბალი ჰქონდა. ვერაფრით დაგვამახსოვრა თავი **ალბერტო ჯილარდინომ**, ვისაც ლიპიმ ბევრისთვის მოულოდნელად ნდობა გამოუცხადა და სასტარტოში დააყენა. ვერ ივარგეს მილანელებმაც, პირველი გოლისას **ელანომ ძამბროტას** და **პირლოს** აუარა გვერდი და ისე შეასრულა ზუსტი დარტყმა. ერთი სიტყვით, მთლიანად გუნდი არ ვარგოდა და შესაბამისად, თითოეული რგოლი სუსტად გამოიყურებოდა.

თუმცა, იყო ნათელი წერტილიც და ეს **ჯუზეპე როსი** გახლდათ. „ვილიარეალელი“ შესვენების შემდეგ ჩაერთო თამაშში და გუნდს ენერგია და ძალა შემატა. მეორე ნახევარში იტალია უკეთ გამოიყურებოდა და ეს, უპირველეს ყოვლისა, სწორედ როსის დამსახურებაა. სხვა პოზიტივი „აძურას“ თამაშში ჟურნალისტებს არ შეუნიშნავთ და ეს ლოგიკურიც გახლავთ, იტალიის ნაკრები ასე უბრძოლველად, როგორც წესი, არ მარცხდება. ამ შეხვედრას ანალიზიც არ სჭირდება, წერს „ტუტოსპორტი“ და დასძენს, ეს, უბრალოდ, არ იყო ჩვენი დღე.

ანალიზით არც ჩვენ შეგაწყენთ თავს, უმჯობესია ფეხბურთელების და მწვრთნელების მატჩის შემდგომ კომენტარებს გავეცნოთ. პირველ რიგში ლიპის მოვუსმინოთ, ვინაც აღიარა, რომ მეტოქე უფრო ძლიერი გახლდათ:

„ბრაზილიამ უკეთესად ითამაშა და დამსახურებულად გაიმარჯვა. ვულოცავ დუნგას ამ წარმატებას და მომავალში ყოველივე კარგს ვუსურვებ. უნდა ვაღიარო, რომ ჩემს ფეხბურთელებს მეტოქის ცოტა შეეშინდათ. ამის ნიადაგზე პრობლემები შეგვექმნა და შესაბამისი შედეგი მივიღეთ. ხარვეზი ბევრია და წინ დიდი სამუშაო გველის. მთავარია, ამ წაგებამ არ გაგვტეხოს, საკუთარი ძალის უნდა ვირწმუნოთ და ყველაფერი კარგად იქნება“.

სრულიად საპირისპირო განწყობაზეა ბრაზილიელთა თავკაცი. ბუნებრივია, იტალიელთათვის დუნგას მოსაზრებაც მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესოა, მისი კომენტარები თითქმის ყველა გამოცემამ დაბეჭდა:

„შეგირდების თამაშით კმაყოფილი ვარ, მათ დიდებული სპექტაკლი დადგეს და დამსახურებულად გაიმარჯვეს. შეხვედრამდე დიდხანს ვაანალიზებდი იტალიის ნაკრების ტაქტიკას და თითოეულ ნიუანსს ბოლომდე ჩავუღრმავდი. „სკუადრა აძურა“ კარგად გავშიფრეთ და ეს გამარჯვებაში ძალიან დაგვეხმარა. ეს იყო ტაქტიკური გამარჯვება. მეტოქეზე მაღლა ვიდექით, როგორც გუნდურ, ისე ინდივიდუალურ ასპექტში. ყველაზე მეტად ის მახარებს, რომ ასეთი მაღალი დონის ფეხბურთი უძლიერეს მეტოქესთან ვითამაშეთ, იტალია ხომ მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონია. უსიამოვნებები წარსულს ჩაბარდა, „სელესაო“ ათამაშდა და იმედია, პროგრესი გაგრძელდება“.

ბრაზილიელებს კიდევ მივუბრუნდებით, იქამდე კი სიტყვა იტალიელთა კაპიტანს, **ფაბიო კანავაროს** გადავცეთ:

„ასეთ უსუსურ თამაშს ვერაფრით ვხსნი, ალბათ, ეს არ იყო ჩვენი დღე. განსაკუთრებით ცუდად პირველ ტაიმში გამოვიყურებოდით და გაშვებული ორი გოლიც ამის ნათელი დადასტურებაა. შესვენების მერე ვეცადეთ მდგომარეობის გამოსწორებას, მაგრამ ბევრი არაფერი გამოგვივიდა. ისეთ მეტოქესთან, როგორიც ბრაზილიაა, საკუთარი შესაძლებლობების 100 პროცენტი უნდა წარმოაჩინო. სხვა შემთხვევაში მარცხისთვის განწირული ხარ. იმედია, ხარვეზებს აღმოვფხვრით და მომავალში უკეთესად ვითამაშებთ. ჩვენი მიზანი მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნებაა, თუმცა ასეთი თამაშით მიზნის მიღწევა შეუძლებელი იქნება. უფრო მობილიზებულნი უნდა ვიყოთ და მეტი ენთუზიაზმით ვითამაშოთ. ბრაზილიასთან მატჩი კარგი გაკვეთილია, რაშიც ალბათ ლიპიც დამეთანხმება“.

ლიპის რა გითხრათ და **ლუკა ტონი** კი ნამდვილად იმავე აზრზეა. ბაიერნელი მეორე ნახევარში ჩაება შეხვედრაში და ერთხელ გოლის გატანასთან ძალიან ახლოს იყო, თუმცა დამაგვირგვინებელ ფაზაში სიზუსტემ უმტყუნა:

„თამაში არ წაგვივიდა და პირწმინდად დავმარცხდით. დღეს, ბრაზილია უკეთესი იყო და ეს უნდა ვაღიაროთ. ამ გუნდთან კონფედერაციათა თასზეც მოგვიწევს ასპარეზობა და იმედია, იმ პაექრობას უკეთეს ფორმაში შევხვდებით. ამ მარცხისგან კი გაკვეთილი უნდა მივიღოთ და მინუსებზე ვიმუშავოთ. მით უფრო, რომ თითოეული რგოლის თამაში დასახვეწია. რაც შეეხება ჩემს სათადარიგოთა შორის ყოფნას, ამაში საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ. იტალიის ნაკრებში დიდი კონკურენციაა და როტაცია ბუნებრივი პროცესია. ჯილარდინოს გაუჭირდა საკუთარი შესაძლებლობების დემონსტრირება, ისევე, როგორც მე და მთელ გუნდს“.

ზემოთაც ვთქვით, რომ ერთადერთი გამონათება „აძურაში“ ჯუზეპე როსი გახლდათ, ტანმორჩილი თავდამსხმელი პარტნიორების ფონზე მართლაც გამორჩეული იყო და პრესისგან დადებითი შეფასება დაიმსახურა. როსი მატჩის შემდგომ გულდაწყვეტილი ჩანდა:

„ბრაზილიელებმა დამსახურებულად მოიგეს, მაგრამ შორს ვარ იმ აზრისგან, რომ მარცხისთვის განწირულნი ვიყავით. პირველ ტაიმში მეტი ყურადღებით გვმართებდა თამაში. ცოტა უფრო ფრთხილები რომ ვყოფილიყავით, შეხვედრა სულ სხვაგვარად წარიმართებოდა. მეორე ნახევარში გატანის რამდენიმე შანსი გვქონდა, თუმცა ჟულიო სეზარი ყველა ეპიზოდში მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. მარცხისგან ტრაგედია არ უნდა შევქმნათ, ბრაზილიასთან კიდევ მოგვიწევს შეტოქება და რევანში უნდა ავიღოთ“.

იტალიელი ჟურნალისტების ყურადღება ბრაზილიელმა ფეხბურთელებმაც მიიპყრეს. მაგალითად, **ფელიპე მელომ**, ვინაც ფლორენციის „ფიორენტინას“ ღირსებას იცავს და „სელესაოში“ პირველად იასპარეზა. აი, მელოს სიტყვებიც:

„ბედნიერი ვარ, რომ ასეთ დიდებულ შეხვედრაში მივიღე მონაწილეობა. ურიგოდ არ გამოვიყურებოდი და ეს, კიდევ უფრო მახარებს. ერთმანეთის პირისპირ მსოფლიო ფეხბურთის ორი აღიარებული გრანდი იდგა და შესაბამისად, პროგნოზის გაკეთება შეუძლებელი გახლდათ. ამჯერად, ჩვენ უფრო ძლიერი აღმოვჩნდით და დამსახურებულად მოვიგეთ. მუნდიალისთვის ვემზადებით და ვფიქრობ, სწორ გზას ვადგავართ. იმედია, დუნგა კიდევ გამომიძახებს, მე კი ჩემი მხრივ თავს არ დავზოგავ, რომ ნაკრებში ადგილი დავიმკვიდრო“.

გახარებული გახლდათ მეორე გოლის ავტორიც, რობინიომ მთლიანობაში ძალიან კარგად იასპარეზა და გოლიც დაიმსახურა. როგორც იტალიელი ჟურნალისტები ამბობენ, ძამბროტას დიდხანს ემახსოვრება „სიტის“ შემტევის შესანიშნავი ფინტი, რომლითაც „მილანელი“ ზურგს უკან მოიტოვა. მოვუსმინოთ მასაც:

„ამ შეხვედრამ უდიდესი სიამოვნება მომანიჭა. ჩვენი ნაკრები კრიზისში იყო და ამას არავინ უარყოფს, თუმცა ახლა ყველაფერი რიგზეა და პრობლემებიც დაძლეულია. პორტუგალიასთან მოპოვებულ დიდებულ გამარჯვებას, „აძურას“ დამარცხებაც დაემატა და ნათელი გახდა, რომ „სელესაო“ ძველ ფორმას იბრუნებს. იტალიელებთან თამაში ყოველთვის რთულია, მათი დაცვის გარღვევა კი ერთ რამედ ღირს. მიხარია, რომ დღეს ყველაფერი გამოგვდიოდა და ინჩასებს დიდი სიამოვნება მივანიჭეთ“.

ბოლოს კი **ალესანდრო დელ პიეროს** თემას შევეხოთ, რადგან იტალიურ პრესაში „პინტურიკიოზე“ საკმაოდ ბევრი იწერება. „გაძეტა დელო სპორტის“ ჟურნალისტის აზრით, ბრაზილიასთან მარცხმა კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ ალექსი ნაკრებისთვის საჭირო ფეხბურთელია და მისი იგნორირებით ლიპი მხოლოდ წააგებს. აი, რას წერს ყველაზე ავტორიტეტული იტალიური სპორტული გამოცემა:

„ლიპის უნდა ესმოდეს, რომ ნაკრებს შემქმნელი, ტექნიკური ფეხბურთელები ჰაერივით სჭირდება. ამ ფონზე ალესანდრო დელ პიეროზე უარის თქმა, დიდი შეცდომა გვგონია. სუსტ მეტოქეებთან ტექნიკური წუნი არ ჩანს, ბრაზილიასთან კი ყველაფერი ხელის გულზე გახლდათ. თუნდაც კასანო ავიღოთ, მისი გამოყენება ხომ რამდენიმე პოზიციაზე შეიძლება: გამთამაშებლად, გარემარბად, ან თუნდაც ცენტრფორვარდად. იმედია, „აძურა“ მომავალში გაცილებით უფრო შემოქმედებით ფეხბურთს ითამაშებს“.

**ლაშა წიკლაური**




გერმანიის ნაკრები



ტიმ ვიზე, რენე ადლერი და გერმანიის ნაკრების მეკარეების მწვრთნელი ანდრეას კიოპკე (შუაში)

# აქვს თუ არა გერმანიას მეკარის პრობლემა?

## კანისა და ლემანის შემდეგ ბუნდესგუნდს ჩავარდნა აქვს

ალბათ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ გერმანიის ნაკრებს არსებობის ისტორიაში მეკარის პრობლემა ფაქტობრივად არასდროს ჰქონია. გერმანული სამეკარეო სკოლა მსოფლიოში ყოველთვის ერთ-ერთი მოწინავე იყო იტალიურთან ერთად. გადაჭრით ვერც იმას ვიტყვით, რომ გერმანელებს დღეს აქვთ მეკარის პრობლემა, მაგრამ იმის თქმა კი შეიძლება, რომ არც ერთი გერმანელი მეკარე არ არის საუკეთესო ფორმაში.

გუშინ, გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა რენე ადლერი** ათამაშა, რომელიც დღეს ბუნდესგუნდის პირველ მეკარედ მიიჩნევა. მაგრამ ისიც ალსანიშნავია, რომ ლიოვს მეკარის საკითხზე ჯერ არა აქვს საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული. მას მერე, რაც **იენს ლემანმა** სანაკრებო კარიერა დაასრულა, პირველი ნომრისთვის ორი კანდიდატი იბრძოდა: ადლერი და **რობერტ ენკე**. გუშინდელი მატჩისთვის (ნორვეგიასთან) ენკე გამოძახებული არ იყო. მის ნაცვლად, სათადარიგოთა სკამზე „ვერდერის" კარის დარაჯი **ტიმ ვიზე** იჯდა. ლიოვმა წლის ბოლოს უნდა გადაწყვიტოს, ვინ იქნება გერმანიის ნაკრების პირველი მეკარე და ფაქტია, რომ დღესდღეობით ბუნდესგუნდში ამ მხრივ არასახარბიელო ვითარებაა.

გასულ შაბათს, ბუნდესლიგის მორიგ ტურში ადლერმა ცუდი შთაბეჭდილება დატოვა. არადა, ნაკრების პირველი მეკარის პოსტზე ფავორიტი სწორედ ის არის. როდესაც **თომას ჰიტცლშპერგერმა** საჯარიმო დარტყმით გოლი გაუტანა, ადლერი აშკარად შეცდა, რაც მან მატჩის შემდეგ გულახდილად აღიარა კიდეც, ეს ბურთი არ უნდა გამეშვა, შეცდომა დავუშვიო. ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა იენს ლემანის პოტენციური შემცვლელების ფორმა შეაფასეს და დასკვნა ასეთია: გერმანელებს ნამდვილად აქვთ ნერვიულობის საბაბი. ფაქტი ის არის, რომ გასაოცრად არც ერთი მეკარე არ თამაშობს. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ **ოლივერ კანისა** და იენს ლემანის შემდეგ გერმანიას მეკარის პრობლემა აქვს?

ადლერმა შარშან შესანიშნავი სეზონი ჩაატარა და სწორედ ამის გამო დაიმსახურა გერმანიის პირველი მეკარეობის სტატუსისთვის ბრძოლაში მონაწილეობა. ბუნდესგუნდში სამი სტაბილურად ჩატარებული შეხვედრის შემდეგ კი ფავორიტი გახდა, მაგრამ ალბათ უფრო იმიტომ, რომ ძლიერი კონკურენტები არ ჰყავს. 2008 წლის მიწურულს ლევერკუზენელმა ტრავმა მიიღო და მისი მოშუშების შემდეგ, ფორმის აღდგენა ველარ შეძლო. დღეს ადლერი ერთობ არასტაბილურია. მიმდინარე სეზონში ის კარში დარტყმული ბურთების 70 პროცენტს იგერიებს, წინა სეზონში კი, 76.3-ს იგერიებდა.

შედარებისთვის, ოლივერ კანმა თავის ბოლო (2007/08) სეზონში 75 პროცენტის მოგერიება შეძლო. როგორც გახსოვთ, კანმა საუკეთესო სეზონები 2001 და 2002 წლებში ჩაატარა. 2000/01 წლების სეზონში, როცა „ბაიერნმა" ჩემპიონთა ლიგაც მოიგო, ოლიმ კარში დარტყმების 80.77 პროცენტი მოიგერია. სხვათა შორის, ცუდი შედეგები არც ლემანს ჰქონდა. 2007 წლის ჩემპიონთა ლიგის სეზონში მან ლონდონის „არსენალისთვის" დარტყმების 75 პროცენტი მოიგერია. 2006 წლის სეზონში კი უფრო მეტი - 79.17 პროცენტი. საუკეთესო სეზონი კი ლემანს 2002 წელს ჰქონდა, როცა ის დორტმუნდის „ბორუსიას" ღირსებას იცავდა და ბუნდესლიგაში დარტყმების 79.66 პროცენტის მოგერიება შეძლო.

როგორც ხედავთ, ადლერი მიახლოებულია ასეთ შედეგებთან, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით ტიმ ვიზეზე. ბრემენელთა მეკარის მიერ ამ სეზონში მოგერიებული დარტყმების პროცენტული მაჩვენებელი სულ რაღაც 58 პროცენტია, რაც, დაგვეთანხმებით, დიდი ამბიციების მქონე კიპერისთვის ძალიან ცოტაა. თუმცა ნორვეგიასთან მატჩისთვის ის მაინც იყო გამოძახებული. ალბათ უფრო იმიტომ, რომ ხშირია შემთხვევები, როცა ვიზე „მკვდარ ბურთებს" იგერიებს და ამით იქცევს ყურადღებას. სამაგიეროდ, ის არასტაბილურია.

ამ მხრივ ვიზეზე უკეთესი მაჩვენებელი აქვს რობერტ ენკეს, რომელზეც ლიოვმა ამჯერად უარი თქვა. „ჰანოვერის" მეკარეს და კაპიტანს ამ სეზონში დარტყმების 72 პროცენტი აქვს მოგერიებული, მაგრამ როგორც ხედავთ, არც ეს არის კანისა და ლემანის მაჩვენებლებთან მიახლოებული შედეგი. ოლისთან და იენსთან შედარებით, სამივე კანდიდატი სუსტია.

შესაძლოა, ეს იყოს **ტიმო ჰილდებრანდის** შანსი, რომელმაც ზამთრის სატრანსფერო პერიოდში „ჰოფენჰაიმს" მიაშურა. 2007 წელს, როცა „შტუტგარტი" გერმანიის ჩემპიონი გახდა, ტიმოს მართლაც კარგი სეზონი ჰქონდა და იმხანად ის გერმანიის ნაკრებშიც იძახებდნენ ხოლმე, თუმცა სათადარიგო სკამს ახეხინებდნენ. სულ ადრე კი, როცა ბუნდესგუნდის კარს ჯერ კიდევ კანი იცავდა, ჰილდებრანდი მესამე მეკარე იყო. 2007 წელს ტიმომ დარტყმების 75.82 პროცენტი მოიგერია. თუკი ამ კვოტას ისევ მიაღწევს, კვლავ გახდება ბუნდესმწვრთნელისთვის აქტუალური თემა. მანამდე კი, საუკეთესო ვარიანტად ლიოვისთვის მაინც ადლერი რჩება.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ბაიერნი

# რიბერიმ შეფები აანერვიულა

## მიუნხენში იციან, რომ ფრანგის შენარჩუნება ძალიან გაუჭირდებათ

ტურინი თუ მადრიდი - როგორც ჩანს, ამას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, სამხრეთ ევროპა იყოს. გუშინდელ ნომერში „ბაიერნის" ფრანგი ნახევარმცველის, **ფრანკ რიბერის** მიერ ოფიციალურ პრესკონფერენციაზე გაკეთებული განცხადებები შემოგთავაზეთ, სადაც მან თქვა, რომ მიუნხენში თავს კარგად გრძნობს. მაგრამ რიბერიმ იმ ფაქტსაც გაუსვა ხაზი, რომ არავინ იცის, რა მოხდება გაისად. მისი ასეთი განცხადებების შედეგი კი ის არის, რომ იტალიურ და ესპანურ პრესაში დიდი ამბებია ატეხილი. ვისაც არ ეზარება, ყველა ფრანკის შესაძლო ტრანსფერზე წერს. ასეა თუ ისე, ერთი რამ ფაქტია: „ბაიერნის" შეფებს რიბერისთან ახალ კონტრაქტზე მოლაპარაკებები ძალიან გაეწელებათ. მეტიც: მენეჯერ **ული ჰიონესს** და ვიცე-პრეზიდენტ **კარლ-ჰაინც რუმენიგეს** უკვე თავი სტკივათ იმის გამო, რომ ფრანგი ვარსკვლავი გაისისთვის კლუბების გამოცვლას არ გამორიცხავს.

მას მერე, რაც რიბერიმ რეკორდმაისტერს მიაშურა (მარსელის „ოლიმპიკიდან"), მისი ფასი ერთიორად გაიზარდა და დღეს გაცილებით უფრო დაფასებული ფეხბურთელია. თუმცა დაფასება და სახელი არც მაშინ აკლდა, რადგან 2006 წლის მუნდიალზე თავი გამოიჩინა და საფრანგეთში **ზინედინ ზიდანის** ღირსეულ შემცვლელსაც კი უწოდებდნენ. დღეს რიბერი იმდენად პოპულარულია (და სავსებით სამართლიანადაც, რადგან გენიალური ფეხბურთელია), რომ ევროპის გრანდები ნებისმიერ დროს მზად იქნებიან „ბაიერნთან" მოლაპარაკებები წამოიწყონ, თუკი ფეხბურთელისგან იგრძნობენ, რომ მას გუნდის გამოცვლა უნდა. ეს კი რიბერიმ „იუვენტუსს", „რეალს", „ბარსელონას" და „მილანს" თავისი განცხადებებით უკვე აგრძნობინა.

ფრანგი დრიბლიორი არ მალავს, რომ „რეალის" დარ გუნდში თამაშზე ოცნებობს. ამბობს, „ბაიერნში" თავს შესანიშნავად ვგრძნობ, მაგრამ ვერავის ვერაფრის გარანტიას ვერ მივცემო. ერთადერთი გარანტია, რომლის მიცემაც რიბერის „ბაიერნის" ფანებისთვის შეუძლია არის ის, რომ ამ სეზონს მიუნხენში ჩაამთავრებს, რაც ისედაც ცხადია - ზამთრის სატრანსფერო პერიოდი ხომ დასრულებულია. ამასობაში, ბავარიელთა თავკაცმა **იურგენ კლინსმანმა** სამშაბათს ოფიციალურად დაადასტურა, რომ რიბერის მთხოვნელების რიგი უდგას, რომ რეკორდმაისტერთან მოლაპარაკებების დასაწყებად რამდენიმე გუნდი უკვე მზადაა. *„დიახ, „ბაიერნს" უკვე აქვს რამდენიმე კლუბისგან წინადადება, არის თუ არა მათ შორის „რეალი", ამაზე ვერაფერს გეტყვით,"* - აცხადებს კლინსი „ბლიკპუნქტისთვის" მიცემულ რადიოინტერვიუში.

იტალიური გაზეთები კი ერთხმად წერენ, რომ ტურინის „იუვენტუსისთვის" ფრანგი ვარსკვლავის ზაფხულში გადაბირება ნომერ პირველი პრიორიტეტია. როგორც იცით, „ბებერი ქალბატონის" შეფები **პაველ ნედვედის** შემცვლელს ეძებენ, რომელიც ზაფხულში კარიერის დასრულებას გეგმავს. და ფაქტია, რომ მის პოზიციაზე რიბერიზე უკეთეს კანდიდატს ვერ იპოვიან. თუმცა ფრანგის ფასი დღეს მინიმუმ 50 მილიონი ევროა. ეს მაშინ, როცა 2007 წელს „ბაიერნმა" ის 25 მილიონად იყიდა.

მოსალოდნელი ტრანსფერის შესახებ პირველი დისკუსიები იანვარში დაიწყო, კერძოდ კი იმ დროს, როცა ბავარიელები დუბაიში მეორე წრისთვის ემზადებოდნენ. ფრანგმა ნახევარმცველმა პირველად სწორედ იანვარში თქვა, ვერავის მივცემ იმის გარანტიას, რომ კონტრაქტის ამოწურვამდე (ანუ, 2011 წლამდე) მიუნხენში დავრჩებიო. *„ფეხბურთი მხოლოდ გართობა კი არა, ბიზნესიცაა. ასე რომ, არავინ იცის, რა მოხდება. ვერავის ვერაფერს შევპირდები,"* - ამბობს ფრანგი.

რიბერი ასპროცენტიანია, მას არავინ ამტყუნებს, მაგრამ ასეთი განცხადებებით მან „ბაიერნის" ხელმძღვანელები და პირველ რიგში, ქომაგები ძალიან აანერვიულა. გარდა ამისა, როცა მან გერმანულ გაზეთ „თაგესცაითუნგს" უთხრა, რომ მიუნხენში თავს კარგად გრძნობს და წასვლაზე არ ფიქრობს, იმავე დღეს ფრანგულ გაზეთ „ლე მონში" გამოქვეყნდა ინტერვიუ, სადაც აცხადებს, რომ „მილანის" და „რეალის" დარ გუნდში თამაშის პერსპექტივა ძალიან იზიდავს.

*„ფრანკმა არ უნდა დაივიწყოს, სად თამაშობს და რომელ გუნდში გახდა მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი. სანამ „ბაიერნში" გადმოვიდოდა, „მარსელში" იყო, ეს გუნდი კი ევროპაში საშუალოზე დაბალი დონისაა,"* - აცხადებს „ბაიერნის" ექსვარსკვლავი და მიუნხენელი ფანების კერპი **მეჰმეთ შოლი**, რითაც რიბერის აკრიტიკებს. „ბაიერნის" ხელმძღვანელები კი უკვე სერიოზულად არიან შეშფოთებულნი. როგორც ჩანს, მისთვის კონტრაქტის გაგრძელება ძალიან ძნელი იქნება, რაც ნამდვილად არ მიკვირს, რადგან ვერ დამისახელებთ ვერც ერთ მოთამაშეს, რომელსაც „რეალში" ან „მილანში" თამაშზე არ უოცნებიაო, ამბობს ბავარიული გრანდის პრეზიდენტი ფრანც ბეკენბაუერი და იქვე ამატებს, მადრიდელებმა სერიოზულად რომ დაიწყონ რიბერის გადაბირებაზე ზრუნვა, მგონია, რომ „ბაიერნს" მისი შენარჩუნების შანსი არ ექნებაო. თანაც, მადრიდულ გრანდში გამთამაშებლის პოზიცია მართლაც ვაკანტურია - განსაკუთრებით მას მერე, რაც ზაფხულში „ჰამბურგიდან" ნაყიდმა **რაფაელ ვან დერ ვაარტმა** იმედები ვერ გაამართლა.



იურგენ კლინსმანს სჯერა, რომ რიბერი მიუნხენში დარჩება

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები. მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

რეალი

# დიდი კრედიტი

## ყველა სავარაუდო კანდიდატი ერთსულოვანია: სამეფო კლუბს კრისტიანო რონალდო სჭირდება

გულწრფელად გეტყვით, **კრისტიანო რონალდოსა** და მადრიდის „რეალის" ურთიერთობის გაუთავებელი საპნის ოპერამ საშინლად დაგვღალმა, მაგრამ ჩვენ ისეთ საქმეს ვემსახურებით, უფლება არ გვაქვს, რომ მოვლენათა განვითარებას თვალყური არ ვადევნოთ და ახალი ამბები ოპერატიულად არ გაცნობოთ. პორტუგალიელი ვარსკვლავით დაინტერესების ფაქტი, რა თქმა უნდა, ახალი არ არის, მაგრამ ამ საქმეში ახალი და ძალიან საინტერესო დეტალი გაჩნდა. გუშინ რადიო სადგურმა „კადენა სერმა" ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია გაავრცელა. კერძოდ, ითქვა, რომ ერთ-ერთმა ყველაზე ძლიერმა ევროპულმა ბანკმა „ბანკო დე სანტანდერმა" სამეფო კლუბს 70-მილიონიანი კრედიტი დაუმტკიცა იმისთვის, რომ „მანჩესტერ იუნაიტედიდან" კრისტიანო რონალდო გადაიბიროს. სიმართლე გითხრათ, ესპანური ბანკის ასეთი თამამი გადაწყვეტილება ცოტა არ იყოს, გასაკვირია, რადგან მსოფლიოში უმწვავესი ეკონომიკური კრიზისი მძვინვარებს. გარდა ამისა, სამეფო კლუბში რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებია ჩასატარებელი. არავინ იცის, მოვლენები როგორ განვითარდება და ვინ გაიმარჯვებს მასში. მიმომხილველების ვარაუდით, საუკეთესო შანსი ფლორენტინო პერესს ექნება, მაგრამ ამის გარანტიას, ცხადია, ვერავინ გასცემს. ხომ შეიძლება ისეთმა კანდიდატმა გაიმარჯვოს, რომელსაც კრისტიანო რონალდოში ამხელა თანხის გადახდა არ მოუნდება. 70-მილიონიანი ვალის ალებას ბევრი არ გარისკავს. მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, „რადიო კადერნა სერი" სრული სერიოზულობით ამტკიცებს, რომ კრედიტი დამტკიცებულია და გადაწყვეტილება არ შეიცვლება.

ჯერჯერობით უცნობია, ამ ყველაფერთან დაკავშირებით სერ **ალექს ფერგიუსონი** როგორ განცხადებას გააკეთებს. სავარაუდოა, რომ ინგლისური გრანდის მთავარი მწვრთნელი ესპანური გრანდის მორიგ გააქტიურებას კიდევ ერთი უხამსი გამოსვლით უპასუხებს... ასეა თუ ისე, ესპანელი ჟურნალისტები სრული სერიოზულობით აცხადებენ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის" ხელმძღვანელები 70 მილიონით ერთობ მოიხიბლნენ და პირენეელ კოლეგებს ტრანსფერის გაჩარხვას დაჰპირდნენ.

გუშინ „დიარიო ასის" კორესპონდენტი კრისტიანო რონალდოს შეხვდა. **მანოლო მარტინესმა** პორტუგალიელ ვარსკვლავთან მხოლოდ 5 წუთით შეხვედრის უფლება მიიღო. ამ მცირე დროში სხვადასხვა საკითხზე საფუძვლიანად საუბარი არ მოხერხდებოდა, ამიტომ ესპანელმა კოლეგამ რესპონდენტს პირდაპირ ჰკითხა, „რეალის" ხელმძღვანელების მიერ ბანკიდან 70-მილიონიანი კრედიტის გამოტანის შესახებ რამე ხომ არ გაგიგიათო. რონალდომ ესპანელს ასე უპასუხა:

*„არ ვიცი, ჩემთვის ოფიციალური ინფორმაცია ხელმიუწვდომელია, თუმცა რამდენიმე მეგობარმა დამირეკა და მითხრა, „კადენა სერის" საიტზე შედი, შენზე მაგარი ინფორმაცია წერიაო. ქუჩაში ვიყავი და ინტერნეტთან კიდევ დიდ ხანს ვერ მოვხვდებოდი. ამიტომ, ვერ მოვითმინე და ვთხოვე, ეთქვათ ამისთანა რა ეწერა. მითხრეს, სამეფო კლუბს შენს შესაძენად დიდი კრედიტი გამოუტანიაო. ამის მეტი არაფერი ვიცი, ან საიდან უნდა ვიცოდე. ვიმეორებ, ჩემთვის ოფიციალური ინფორმაცია არავის მოუწოდებია".*

„დიარიო ასის" კორესპონდენტმა მიამიტურად იკითხა, თუ ეს ინფორმაცია სპეკულაციისგან აბსოლუტურად სტერილულია, რა კომენტარს გააკეთებთ, წახვიდოდით თუ არა „სანტიაგო ბერნაბეუზეო". რონალდომ ხარხარი დაიწყო და განაცხადა:

*„კარგით რა, როგორ უნდა ვილაპარაკო ისეთ საკითხზე, რომელზეც ბუნდოვანი წარმოდგენაც არ მაქვს. ძალიან დიდი ბოდიში, მაგრამ თქვენს ცნობისმოყვარეობას ვერ დავაკმაყოფილებ. „რეალისადმი" ჩემი განწყობების შესახებ ადრე არა ერთხელ მისაუბრია. შემიძლია ახლაც გაგიმეოროთ, რომ სამეფო კლუბი ძალიან მომწონს და „სანტიაგო ბერნაბეუზე" დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი, მაგრამ ახლა ამაზე მეტს ვერაფერს მოგახსენებთ. კარგად გამიგეთ, მე ჩემს გუნდს პატივი უნდა ვცე. აბა, დაფიქრდით, რას იტყვის სერ ალექსი ან დირექტორატის ნებისმიერი წარმომადგენელი „კადენა სერის" ბუნდოვან ინფორმაციაზე სერიოზულად საუბარი რომ დავიწყო. მიმაჩნია, რომ ახლა სიმშვიდე უნდა შევინარჩუნოთ და მოვლენების განვითარებას დაველოდოთ".*



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს სტატია დასაბეჭდად მზად იყო, როცა მადრიდული გრანდის პრეზიდენტის **ვისენტე ბოლუდას** მნიშვნელოვანი განცხადება გავრცელდა: *„მე, როგორც პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი, ვალდებული ვარ, გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარი უნდა გავაკეთო. დიახ, „ბანკო სანტანდერმა" მსხვილი კრედიტი დაგვიმტკიცა. ბუნებრივია, ეს დიდი სამუშაოს შედეგი გახლდათ. მე და ჩემი თანამშრომლები პრეზიდენტობის ყველა სავარაუდო კანდიდატს შევხვდით და დავრწმუნდით, რომ კრისტიანო რონალდოს გადაბირება პრეზიდენტის სავარძლის მაძიებელთა საერთო ოცნებაა. მოლაპარაკებებში ბანკის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. მათ ბოდიში მოგვიხადეს, სამეფო კლუბი იმხელა ავტორიტეტით სარგებლობს, ასეთ რევიზიას არ უნდა ვატარებდეთ, მაგრამ ეკონომიკურ კრიზისთან დაკავშირებით საკრედიტო პირობები მნიშვნელოვნად გამკაცრდა და იძულებული ვართ, ფორმალური მხარე დავიცვათო. მოკლედ, ყველა სავარაუდო კანდიდატმა დიდი ენთუზიაზმი გამოხატა და განაცხადა, რონალდოსთან დიდი სიამოვნებით ვითანამშრომლებთო".*

არანაირი მიზეზი არ გვაქვს, სენიორ ვისენტე ბოლუდას არ დავუჯეროთ. პრეზიდენტი არ მოგვატყუებდა. რადგან კონსულტაციები მართლა გაიმართა და კანდიდატებმა თანხმობა განაცხადეს, უნდა ვივარაუდოთ, რომ პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელის ტრანსფერის გასაჩარხად წინასწარ სამუშაოებს სწორედ სენიორ ბოლუდა ჩაატარებს.




რამდენიმე დღის წინ **ემირ კუსტურიცას** მიერ **მარადონაზე** გადაღებული ფილმის შინაარსის ერთგვარი საგაზეთო ვერსია შემოგთავაზეთ. მოგეხსენებათ, სერბმა კინორეჟისორმა მცირე

ფეხბურთი და კინო

# იქ, სადაც ყოველგვარი ზღვარი იშლებოდა, მე ვმბრძანებლობდი

## მარადონა: ემირ, კოკაინი რომ არ მეყნოსა, იცი რა ფეხბურთელი ვიქნებოდი?!

ხნის წინ დოკუმენტური ფილმი გადაიღო, რომელიც დიადი არგენტინელი ფეხბურთელის პროფესიული ცხოვრების ძალიან საინტერესო ეპიზოდებს მოიცავს. გარდა ამისა, „მარადონაში" მარადონას პოლიტიკური მსოფლმხედველობის შესახებაც უხვადაა მოთხრობილი. ამ ყველაფრის შესახებ რუბრიკის პირველ და ძირითად ნაწილში ვისაუბრეთ. ახლა კი დიეგოს იმ მონოლოგს შემოგთავაზებთ, რომელიც წინა სტატიაში ვერ ჩაეტია. არგენტინელი გენიოსი მისი ცხოვრების ტრაგიკულ ნაწილზე, იმ დროზე, როცა კოკაინის მონა იყო შესაშური გულწრფელობით საუბრობს. მისი აღსარების კითხვისას, თუ მოსმენისას შეუძლებელია, ადამიანი ტრაგიკულობის შეგრძნებამ არ შეიპყროს. ცხოვრება საოცრებაა, რადგან ის გენიოსებსაც კი გამოცდისა და აღმოჩენების გზით ატარებს. სწორედ რთული გამოცდებისა და აღმოჩენების ლაბირინთებში სიარულისას იბადება გენიოსის ბედისწერა. მარადონამ ჯოხეთი გამოიარა იმისათვის, რომ გადარჩენილიყო და თავისი არსებობით მასზე შეყვარებული მილიონობით ადამიანისთვის უანგაროდ ბედნიერება ეჩუქებინა.

აი, მარადონას მიერ ემირ კუსტურიცასთვის ჩაბარებული აღსარების ბოლო ნაწილი: *„100 ათასი მაყურებლის თვალწინ გოლის გატანა, როგორც მაგალითად ინგლისს გავუტანე, ჩემთვის ჩვეულებრივი მოვლენაა. მე ასე ვცხოვრობდი და ვთამაშობდი. როცა ნარკოტიკი მოქმედების ძალას კარგავდა, მეც თქვენნაირი ადამიანი ვიყავი. შემეძლო დაგლაპარაკებოდით, მაგრამ კოკაინი გონებას მიბინდავდა, არადა, თქვენნაირი ადამიანი ვიყავი. ვეფხვმაც კი იცის, სად გადის ზღვარი. მაგრამ იქ სადაც ყოველგვარი ზღვარი იშლებოდა, მე ვმბრძანებლობდი.*

*ემირ, კოკაინი რომ არ მეყნოსა, იცი, რა ფეხბურთელი ვიქნებოდი? დაუკმაყოფილებლობის გრძნობა მაწუხებს. შემეძლო, ბევრად დიდი ვყოფილიყავი, ვიდრე ახლა ვარ. ჰო, ჰო. მერწმუნე, სიმართლეს ვამბობ. მე ფეხბურთში დავიბადე და ვიცოდი, ვინ გავხდებოდი, მაგრამ ის კი ნამდვილად არ ვიცოდი, რომ კოკაინის მომხმარებელი გავხდებოდი. ვიცოდი, რომ დედაჩემს სახლს ვუყიდდი, დავქორწინდებოდი და ოჯახი მეყოლებოდა, ვიცოდი, რომ მსოფლიოს შემოვივლიდი, ისიც ვიცოდი, რომ არგენტინის ჩემპიონატში ვითამაშებდი. ეს ჯერ კიდევ მაშინ ვთქვი, როცა პატარა ბავშვი ვიყავი. ეს ვიდეოფირზეა ჩაწერილი.*

*ყველაფერი ვიცოდი, მართლა ვიცოდი, მაგრამ საქმე იმაშია, რომ მაინც ძალიან ბევრი რამ დამრჩა გასაკეთებელი. სამწუხაროდ, დღეს თავს დამნაშავედ ვგრძნობ. სულის სიღრმეში დამნაშავე ვარ. ყველას შეუძლია, მითხრას, რომ მე მაგარი ვარ, რომ ვერავინ შემედრება და რომ ახლა უკეთ ვარ, ვიდრე ადრე, მაგრამ არავინ იცის ჩემს სულში რა ხდება. ვიცი, რომ დამნაშავე ვარ, მაგრამ ამ შეცდომას ველარასოდეს გამოვასწორებ".*

მწვრთნელი

# კიკე ფლორესი: პორტუგალიაში მუშაობით დავიღალე

## ნუთუ, ფლორენტინომ მას რეალში გადასვლა მართლა შესთავაზა?

**კიკე სანჩეს ფლორესს** პორტუგალიაში აშკარად რაღაც დაემართა. სიმშვიდითა და პროფესიონალიზმით ცნობილი ესპანელი სპეციალისტი მეზობელ სახელმწიფოში გადასვლის შემდეგ საგრძნობლად შეიცვალა. მან საზოგადოებას არა ერთი ხმაურიანი განცხადებით დაამახსოვრა თავი. კიკე ფლორესი ისეთ საკითხებზე საუბრობს, რომელზეც ფეხბურთში დასაქმებული ადამიანები, როგორც წესი, ლაპარაკს ერიდებიან. მაგალითისთვის, თუნდაც წინა შემთხვევა რად ღირს. **ხოსე ანტონიო რეიესის** ინერტული თამაშით აღშფოთებულმა სენიორ ფლორესმა შეგირდს მასტურბაციის დიდოსტატი უწოდა. მის ამ გამოხდომას დიდი გამოხმაურება მოჰყვა, მაგრამ ბატონი კიკე თავისას არ იშლის და ისევ სკანდალურ განცხადებას აკეთებს. ამჯერად მან ზოგადად პორტუგალიური ფეხბურთის დონე და ხარისხი დააყენა კითხვის ნიშნის ქვეშ. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით, „20 მინუტოს დე ვალენსიისთვის" მიცემული ინტერვიუს ერთ საინტერესო ფრაგმენტს შემოგთავაზებთ:

*„არ მინდა, ჩემი ნათქვამის არასწორი ინტერპრეტაცია მოხდეს. ყველას ვთხოვ, რომ ყურადღებით მომისმინოს და თუ რამის დაწერას გადაწყვეტს, სტილი დაიცვას. მინდა, გულწრფელად ვთქვა, რომ პორტუგალიაში მუშაობით დავიღალე. აქაური ფეხბურთის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ჩემთვის აქ დიდ ხანს ცხოვრება და მუშაობა ძალიან ძნელი იქნება. პრიმერა დივიზიონის ინტრიგა და დაძაბულობა მომენატრა. შეიძლება, სუბიექტური ვარ, მაგრამ მიმაჩნია, რომ პრიმერა დივიზიონი სულ სხვა დონისა და გაქანების ტურნირია. წინასწარ საუბარი არ მიყვარს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მშობლიურ „ლა ლიგაში" მალე დავბრუნდები. რამდენიმე წინადადება მაქვს, ერთი განსაკუთრებით საინტერესო და მომაჯადოებელი. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ადრე თუ გვიან, სამშობლოში აუცილებლად დავბრუნდები და ამით „ბენფიკის" გულშემატკივრები, ალბათ, დიდად გაიხარებენ".*



ესპანელმა ჟურნალისტებმა იმ ერთი ყველაზე საინტერესო და მომაჯადოებელი წინადადების შესახებ ინფორმაცია წყისკე მოიპოვეს. ისევ და ისევ „20 მინუტოს დე ვალენსიის" მტკიცებით კიკე სანჩეს ფლორესთან **ფლორენტინო პერესმა** გამართა მოლაპარაკება და განუცხადა, თუ საპრეზიდენტო არჩევნებში გავიმარჯვებ, **ხუანდე რამოსის** თანამდებობას შემოგთავაზებო.

გვერდი მოამზადა
**ილია ნიკოლაიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიზმი



# ხელშეკრულება ირლანდია-საქართველო

გუშინ, შუაგულ ევროპაში, ქართული სპორტისა და ოლიმპიური მოძრაობისთვის მეტად მნიშვნელოვანი დღე იყო. გარდა იმისა, რომ დუბლინის „კროუკ პარკზე“ მსოფლიოს 2010 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი გაიმართა ირლანდიისა და საქართველოს ნაკრებებს შორის, ამ ორი ქვეყნის ოლიმპიურმა კომიტეტებმა ურთიერთთანამშრომლობის შესახებ უმნიშვნელოვანესი ხელშეკრულება გააფორმეს.

საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა არსებობის განმავლობაში ევროპაში საკმაო ავტორიტეტი მოიხვეჭა, განსაკუთრებით თბილი ურთიერთობა სწორედ ირლანდიის ოლიმპიურ კავშირთან ჩამოყალიბდა, რომლის პრეზიდენტიც **პატრიკ ჰიკი** თბილისშიც არაერთხელ ყოფილა და უკვე წლებია, როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე ქართული სპორტის გულშემატკივარად მიიჩნევა. არაერთი შემთხვევა ყოფილა, როდესაც პატრიკ ჰიკი საერთაშორისო სარბიელზე ქართველ ათლეტებს ქომაგობდა და მათი წარმატებით გულწრფელადაც გაუხარია.

საქართველოსა და ირლანდიის ეოკ-ებს შორის საქმიანი თანამშრომლობის შესახებ ოფიციალური ხელშეკრულების გაფორმების ინიციატივა სეოკ-ის ხელმძღვანელობამ გამოთქვა, რასაც ირლანდიური მხარეც დადებითად შეხვდა. ირლანდიის დედაქალაქში თანამშრომლობის თაობაზე ესოდენ მნიშვნელოვან დოკუმენტს ხელი შესაბამისად პატრიკ ჰიკმა და სეოკ-ის თავკაცმა **გია ნაცვლიშვილმა** მოაწერეს, რომელსაც, ასევე, პირველი ვიცე-პრეზიდენტი **რამაზ გოგლიძეც** ესწრებოდა. ხელშეკრულება, რომელიც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ორი სახელმწიფოს სპორტული კულტურის, ათლეტებს შორის მეგობრული და საქმიანი დამოკიდებულების გაღრმავებას, ოთხი პუნქტისგან შედგება და ძალაშია მისი ხელმოწერიდან 2012 წლის 31 დეკემბრამდე, თუმცა მხარეებს შეუძლიათ, ექვსი თვით ადრე კიდევ ერთხელ გადახედონ და განიხილონ ხელშეკრულების გახანგრძლივების საკითხი.

ოთხპუნქტიანი ხელშეკრულების ძირითადი მიზნებია: უპირველესად ორ ეოკ-ს შორის მჭიდრო და საქმიანი ურთიერთობების ჩამოყალიბება. ამას გარდა, სპორტსმენთა გაცვლითი ვარჯიშების ორგანიზება, მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელების, სპორტული მედიცინისა და მეცნიერების, სხვა სპორტული ექსპერტების გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა უფრო მეტი გამოცდილების შესაძენად, სპორტული მარკეტინგის, მედიცინისა და საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარება და ა.შ.

„ყველაფერმა იდეალურ ვითარებაში ჩაიარა. ირლანდიის ოლიმპიურ კომიტეტში საკმაოდ თბილად მიგვიღეს, ოფისი სავსე იყო ჩვენი ქვეყნის დროშებით. პატრიკ ჰიკმა და გია ნაცვლიშვილმა ხელი მოაწერეს თანამშრომლობის ხელშეკრულებას, რომელიც უცილობლად ნაყოფიერი უნდა აღმოჩნდეს ქართული ოლიმპიური მოძრაობისთვის. სხვა საინტერესო დეტალების შესახებ გულშემატკივარი რამდენიმე დღეში სეოკ-ის პრეზიდენტის თბილისში დაბრუნების შემდეგ შეიტყობს“,- განაცხადა რამაზ გოგლიძემ, როდესაც დუბლინში შევეხმიანეთ.

ეჭვგარეშეა, რომ ირლანდიისა და საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტთა ხელმძღვანელებს შორის დუბლინში გაფორმებული ხელშეკრულება ჩვენი ქვეყნის სპორტის განვითარებასა და ოლიმპიური მოძრაობის წინსვლას ახალ სტიმულს მისცემს.

**კახა ბერიძე**




შეხვედრა

# ჩემპიონები სკოლას ესტუმრნენ

პეკინის ოლიმპიური თამაშების შემდეგ თითქმის ნახევარმა წელიწადმა განვლო, მაგრამ ოლიმპიადის გმირებისადმი ცხოველი ინტერესი ჯერაც არ განელებულა. დასტურად თბილისის 57-ე საჯარო სკოლაში (დირექტორი **იოსებ ხუციშვილი**) გუშინდელი შეხვედრაც გამოდგება. როგორც შევიტყვეთ, აქაურებს ძალიან ჰყვარებიათ სპორტი (ხელმძღვანელი - **ვახტანგ ბაქანიძე**). ნაყოფიერად მუშაობს რამდენიმე სექცია. გაზაფხულზე სკოლას კიდევ ერთი სპორტული დარბაზი შეემატება. სადაც მოჭიდავეები ივარჯიშებენ. აქედანვე ეწერებიან ბიჭებიც და გოგონებიც. ყველაფერი ეს, სკოლის დირექტორის დამსახურებაა, რომელიც ჭაბუკობისას თავად ჭიდაობდა, ძიუდოსა და სამბოში სპორტის ოსტატია. პეკინის ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულ **მანუჩარ კვირკველიასთან,** მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონ **რამაზ ნოზაძესთან,** ევროპის ჩემპიონ და მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე პრიზიორ **ომარ ბლიაძესთან** შეხვედრის ინიციატორიც დირექტორი გახლდათ. კვირკველიამ და ნოზაძემ მოსწავლეთა ცნობისმოყვარეობა დააკმაყოფილეს - უამრავ შეკითხვაზე უპასუხეს და ავტოგრაფებიც გასცეს.

- მართლაც დაუვიწყარი საღამო იყო, - მითხრა რამაზ ნოზაძემ - კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ აქტიური და ნიჭიერი თაობა მოდის. გვითხრეს, რომ ჭიდაობის დარბაზის გახსნა სურთ. მე და მანუჩარიც გვერდში დავუდგებით.

**იოსებ ხუციშვილი:** *სპორტის ცოცხალ ლეგენდებთან შეხვედრა ჩვენს მოსწავლეებს, არასდროს დაავიწყდებათ. ცნობილ ადამიანებთან ამგვარი ურთიერთობა სკოლას როგორც სასწავლო-საალმზრდელო, ისე სპორტული ცხოვრების გააქტიურებაში დაეხმარება.*

**ვაჟა დანელია**



ავტორის ფოტოები



ადამიანი დროში

# მწვრთნელს ამაგი დაუფასეს

საქართველოში მოჭიდავეთა შეჯიბრებები ისე არ ჩაივლის, აჭარელმა ფალავნებმა რამდენიმე მედალი არ მოიხვეჭონ. **როსტომ აბაშიძის, დავით გვანცელაძის, მუხრან ვახტანგაძის, დავით ბედინაძის, მუხრან მაჭუტაძის, ჯემალ**



**ბაკურიძის, თენგიზ თედორაძის, რამაზ დევაძისა** და სხვა სახელოვანი სპორტსმენების ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელნი არიან მოზარდები. ამას წინათ „ანტიკოსთა“ ეროვნულ ჩემპიონატზე ცხრა ზღვისპირელმა ისახელა თავი. წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, სპორტის დამსახურებულ მუშაკს, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრს **გელა ჯანელიძეს,** რომელიც აჭარაში ჭიდაობის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის სპეციალური პრიზით დააჯილდოეს.

საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში გელა ჯანელიძე ყოფილი საბჭოთა კავშირის შეირაღებული ძალების საკავშირო პირველობის გამარჯვებულია; სოციალისტური ქვეყნების არმიელთა შეჯიბრებაზე ვერცხლის მედალი ხვდა, სოფლის სპორტსმენთა საკავშირო პირველობაზე კი მესამე ადგილით დაკმაყოფილდა. 1983 წლიდან მწვრთნელობა დაიწყო და დღემდე სიყვარულით ემსახურება ამ პროფესიას.

- ბოლო დროს აჭარელი ფალავნების მონაგარმა აშკარად იმატა, - მითხრა გელამ .- ეს იმის შედეგია, რომ სამი წლის წინათ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საჭიდაო დარბაზი გადმოგვეცა. დიდ დახმარებას გვიწევენ აჭარის განათლების სამინისტრო, საქართველოს და აჭარის ჭიდაობის ფედერაციები, ბათუმის კომპლექსური სასპორტო სკოლა. თანადგომით წახალისებული ჩვენი მწვრთნელები - **ზაზა ჯიბლაძე, ავთანდილ აბულაძე, ლევან შავაძე, რევაზ ბასილაძე, ილია ტულუში, დიმიტრი ქინქლაძე** და სხვები გაორმაგებული ენერგიით მუშაობენ. ვეცდებით, აღებული ტემპი არ შევანელოთ და საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ისეთი ფალავნები აღვუზარდოთ, რომლებიც საერთაშორისო სარბიელზე კვლავაც გვასახელებენ.

**ვაჟა დანელია**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ავტოსპორტი

# პლუს ერთი ახალი კლასი

როგორც საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაცია იტყობინება, ქართულ ავტოსპორტს 2009 წელს დაემატა კიდევ ერთი ახალი სახელობა „მონოკლასი“.

ტექნიკური რეგლამენტი „მონოკლასის“ ავტომობილებისათვის ასეთია: ავტომობილის მარკა უნდა იყოს მხოლოდ ჰონდა (ნებისმიერი მოდელი), მოცულობა 1500 სმ.კუბ-მდე; დასაშვებია მაყუჩის ქილის შიდა ტიხრების მოცილება, მაგრამ ხელუხლებელი უნდა დარჩეს მაყუჩის ძირითადი ქილა; დასაშვებია აგრეთვე ძრავას სტანდარტული საჰაერო ფილტრის ე.წ. „ნაკლები წინააღმდეგობის“ ფილტრით შეცვლა, მაგრამ არ შეიძლება ნამუშევარი აირების გამომშვები ტრაქტის ძირითადი ელემენტებ ს (მილების) დიამეტრის შეცვლა; სრულად აღჭურვილი ავტომობილის წონა პილოტისა და სპორტული ეკიპირების (ჩაფხუტი, ხელთათმანები, კომბინიზონი) უნდა იყოს არანაკლებ 1000 კგ-ისა; დასაშვებია მხოლოდ საგზაო სტანდარტული საბურავების (რადიუსი 15, სიგანე - მაქსიმუმ 7); საბურავის ზომა მაქსიმუმ 195 (პროტექტორის სიგანე) მინიმუმ 50% (სიმაღლე) და ა.შ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

ქართველი NBA-ში

# სეზონის მესამე, კარიერის მეორმოცე დაბლ-დაბლი



**ზაზა ფაჩულიამ** მიმდინარე სეზონში მესამე, ამერიკულ კარიერაში კი მეორმოცე ორმაგი დუბლი მიითვალა, რითაც "ატლანტას" "ვაშინგტონის" დამარცხებაში დაეხმარა – 111:90. მოდით, ჯერ მატჩის მსვლელობას შევეხოთ და ზაზას მონაგარზე შემდეგ გადავიდეთ.

დედაქალაქელებს ატლანტაში ჩასვლამდე მხოლოდ 11 გამარჯვება ჰქონდათ და ახალგაზრდა ჯორჯიელებთან ეგებ მოგების იმედადაც გამოვიდნენ, მაგრამ ზაზას თანაგუნდელები ამ სეზონში "ვაშინგტონზე" ერთიორად უკეთესად თამაშობენ და 29-ჯერ მოედანი თავაწეულებმა დატოვეს. ძალთა ასეთი თანაფარდობა პირველსავე პერიოდში ტაბლოზე აისახა: მეოთხედის მე-6 წუთზე, როცა მოედანზე ზაზა ფაჩულია შევიდა "ატლანტა ჰოქსი" 13:9-ს იგებდა. ქართველმა ცენტრმა მასპინძელთა შეტევითი პოტენციალი ერთიორად აამაღლა: ჯერ ორქულიანი გამოიყენა, შემდეგ **ჯო ჯონსონს** შედეგიანი პასით სამქულიანი ჩააგდებინა, ხოლო პირველი თორმეტწუთეულის დასრულებამდე 2 წამით ადრე მეტოქის ფარზე ბურთი მოხსნა და კალათში დააბრუნა – 26:17.

მეორე მეოთხედის დასაწყისში ზაზა ფაჩულიამ სახალისო ხასიათის რეკორდი გამოაცხო: 8 წამში მეტოქის ფარიდან ბურთი სამჯერ მოხსნა. ...სამჯერვე თავისი ნატყორცნის შემდეგ. თუმცა ზაზამ სიჯიუტე ბოლომდე გამოავლინა და მესამე მოხსნის შემდეგ მეოთხედ ზუსტად ისროლა და მერვე ქულა ჩაიწერა. კალკულატორის მოშველიება არ დაგვჭირდება იმის გასარკვევად, რომ ზაზამ მოედანზე გატარებულ 9 წუთში 8-8 ქულა-მოხსნა გაიფორმა.

ბოლო დროს მწვრთნელი, **მაიკ ვუდსონი** ფაჩულიას სტაბილურად 20-25 წუთს ათამაშებს. აქედან გამომდინარე, კარგი დასაწყისის შემდეგ ცხადი იყო, რომ მწვრთნელი ტრადიციას არც ამჯერად დაარღვევდა და ზაზას მორიგი ორმაგი დუბლიც დროის საქმე იყო; ასევე, - "ატლანტას" ოცდამეათე გამარჯვებაც - ჯორჯიელებმა მესამე პერიოდში 17-ქულიან უპირატესობას მიაღწიეს: ზაზას 2+1-ის შემდეგ ტაბლოზე 63:46 დაფიქსირდა. საბოლოო ანგარიში ზემოთაც შეგიძლიათ წაიკითხოთ და ქვემოთაც.

"ჰოქსის" გამარჯვებაში 22-ქულიანი წვლილი მიუძღვის კაპიტან ჯო ჯონსონს. საყურადღებოა ისიც, რომ "ატლანტას" სათადარიგოებმა უფრო მეტი ქულა მოაგროვეს, ვიდრე სასტარტო ხუთეულის წევრებმა. სათადარიგოებმა ჯამში 58 ქულა ჩააგდეს, სასტარტოებმა – 53. ეს მთავარმა მწვრთნელმა, მაიკ ვუდსონმაც შენიშნა: *"ხუთეულის წევრებმა გააკეთეს ის, რასაც მათგან მოველოდით. სათადარიგოებმა კი შესანიშნავად ითამაშეს. გამარჯვება უმთავრესად მათი დამსახურებაა".*

ასე და ამგვარად, "ვაშინგტონმა" 90:111 წაგების შემდეგ სატურნირო ცხრილში ერთიანები შეინარჩუნა - 11 მოგება აქვს. ხოლო, "ატლანტამ" გამარჯვებათა რაოდენობა დაამრგვალა - 30 (21 წაგება). ამ მაჩვენებლით ზაზას თანაგუნდელები აღმოსავლეთის კონფერენციაში მეოთხენი არიან. მეხუთეა "დეტროიტი" - 27 მოგება, 23 მარცხი, ხოლო მესამე "ორლანდო" - 38 მოგება, 12 წაგება.

ჯორჯიელები მორიგ შეხვედრას დღეს, გამთენიისას გამართავდნენ – "დეტროიტ პისტონსს" ესტუმრებოდნენ. სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, ამ მატჩის მოგება "ატლანტას" ჰაერივით სჭირდება.

### ფაჩულიას მონაგარი

**ატლანტა-ვაშინგტონი 111:90**

22 წუთი: 11 ქულა, 12 მოხსნა, 1 პასი, 1 შეცდომა, 2 ფოლი

**I პერიოდი**

| | |
|---|---|
| 05:45 | ზაზამ პორფორდი შეცვალა |
| 04:43 | სადაო გდება: ზაზა-ბატლერი |
| 04:42 | შეცდომა: 1 |
| 03:50 | ორქულიანი: 2ქ (17:11) |
| 02:59 | პასი: 1 (ჯონსონი 3ქ, 20:13) |
| 02:21 | მოხსნა: შეტ-1, დაც-0 |
| 02:07 | ორქულიანი: 4ქ (22:13) |
| 01:46 | მოხსნა: შეტ-2, დაც-0 |
| 00:02 | მოხსნა: შეტ-3, დაც-0 |
| 00:02 | ორქულიანი: 6ქ (26:17) |

**II პერიოდი**

| | |
|---|---|
| 10:33 | მოხსნა: შეტ-4, დაც-0 |
| 10:31 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 10:13 | მოხსნა: შეტ-5, დაც-0 |
| 10:12 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 09:19 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 09:17 | მოხსნა: შეტ-6, დაც-0 |
| 09:17 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 09:15 | მოხსნა: შეტ-7, დაც-0 |
| 09:12 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 09:11 | მოხსნა: შეტ-8, დაც-0 |
| 09:11 | ორქულიანი: 8ქ (31:23) |
| 08:47 | მოხსნა: შეტ-9, დაც-0 |
| 08:46 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 08:14 | ზაზა პორფორდმა შეცვალა |
| 00:53 | ზაზამ პორფორდი შეცვალა |

**III პერიოდი**

| | |
|---|---|
| 10:19 | ზაზამ პორფორდი შეცვალა |
| 09:56 | ფოლი: 1 |
| 08:23 | საჯარიმოები: არაზუსტი |
| 07:49 | ფოლი: 2 |
| 06:47 | მოხსნა: შეტ-9, დაც-1 |
| 06:28 | მოხსნა: შეტ-9, დაც-2 |
| 05:57 | ორქულიანი: 10ქ (62:46) |
| 05:57 | საჯარიმო: 1\1 (11ქ, 63:46) |
| 05:33 | მოხსნა: შეტ-9, დაც-3 |
| 04:54 | ზაზა მიურეიმ შეცვალა |

**IV პერიოდი**

| | |
|---|---|
| 09:54 | ზაზამ უილიამსი შეცვალა |
| 06:05 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 04:05 | ზაზა მორისმა შეცვალა |

### ზაზა ფაჩულიას ყველა დაბლ-დაბლი

**2005 წელი**

| თარიღი | მატჩი | ანგარიში | |
|---|---|---|---|
| 23 თებერვალი | მილუოკი-ნიუ ჯერსი | 100:81 | 14 ქულა, 12 მოხსნა |
| 2 ნოემბერი | გოლდენ სტეიტი-ატლანტა | 122:97 | 13 ქულა, 12 მოხსნა |
| 10 ნოემბერი | ატლანტა-კლიპერსი | 95:102 | 16 ქულა, 13 მოხსნა |
| 12 ნოემბერი | ატლანტა-მემფისი | 84:85 | 10 ქულა, 12 მოხსნა |
| 17 ნოემბერი | დალასი-ატლანტა | 87:78 | 21 ქულა, 12 მოხსნა |
| 18 ნოემბერი | ნიუ ორლეანი-ატლანტა | 95:92 | 10 ქულა, 14 მოხსნა |
| 23 ნოემბერი | ატლანტა-ბოსტონი | 120:117 | 19 ქულა, 13 მოხსნა |
| 27 ნოემბერი | ატლანტა-პორტლენდი | 75:77 | 15 ქულა, 10 მოხსნა |
| 30 ნოემბერი | ატლანტა-მაიამი | 74:96 | 17 ქულა, 11 მოხსნა |
| 2 დეკემბერი | ატლანტა-ტორონტო | 101:102 | 11 ქულა, 14 მოხსნა |
| 10 დეკემბერი | ატლანტა-სან ანტონიო | 94:84 | 19 ქულა, 13 მოხსნა |
| 18 დეკემბერი | ატლანტა-დენვერი | 110:107 | 15 ქულა, 13 მოხსნა |

**2006 წელი**

| თარიღი | მატჩი | ანგარიში | |
|---|---|---|---|
| 18 იანვარი | ატლანტა-დეტროიტი | 89:117 | 11 ქულა, 10 მოხსნა |
| 27 თებერვალი | ატლანტა-ნიუ ჯერსი | 104:102 | 14 ქულა, 12 მოხსნა |
| 7 მარტი | ატლანტა-გოლდენ სტ. | 113:106 | 11 ქულა, 10 მოხსნა |
| 17 მარტი | ატლანტა-იუტა | 101:111 | 19 ქულა, 15 მოხსნა |
| 19 მარტი | ატლანტა-ორლანდო | 108:107 | 13 ქულა, 18 მოხსნა |
| 20 მარტი | დეტროიტი-ატლანტა | 91:84 | 11 ქულა, 11 მოხსნა |
| 26 მარტი | ორლანდო-ატლანტა | 108:101 | 16 ქულა, 12 მოხსნა |
| 9 აპრილი | მინესოტა-ატლანტა | 84:83 | 13 ქულა, 12 მოხსნა |
| 12 აპრილი | ატლანტა-ჩიკაგო | 90:96 | 12 ქულა, 10 მოხსნა |
| 15 აპრილი | მილუოკი-ატლანტა | 114:120 | 16 ქულა, 10 მოხსნა |
| 1 ნოემბერი | ფილადელფია-ატლანტა | 88:75 | 15 ქულა, 12 მოხსნა |
| 18 ნოემბერი | ატლანტა-მაიამი | 88:93 | 12 ქულა, 11 მოხსნა |
| 29 ნოემბერი | ატლანტა-შარლოტი | 99:90 | 12 ქულა, 13 მოხსნა |
| 1 დეკემბერი | ატლანტა-კლივლენდი | 95:106 | 20 ქულა, 11 მოხსნა |
| 22 დეკემბერი | ატლანტა-ინდიანა | 90:100 | 10 ქულა, 14 მოხსნა |

**2007 წელი**

| თარიღი | მატჩი | ანგარიში | |
|---|---|---|---|
| 9 თებერვალი | ფინიქსი-ატლანტა | 105:106 | |
| 14 თებერვალი | კლიპერსი-ატლანტა | 93:96 | 15 ქულა, 12 მოხსნა |
| 21 თებერვალი | ატლანტა-სან ანტონიო | 96:103 | 23 ქულა, 10 მოხსნა |
| 7 მარტი | ატლანტა-ვაშინგტონი | 100:97 | 27 ქულა, 12 მოხსნა |
| 10 მარტი | ატლანტა-მინესოტა | 99:93 | 16 ქულა, 14 მოხსნა |
| 13 მარტი | ატლანტა-ფილადელფია | 104:92 | 15 ქულა, 10 მოხსნა |
| 25 მარტი | ატლანტა-დალასი | 97:104 | 14 ქულა, 10 მოხსნა |
| 10 აპრილი | ატლანტა-ბოსტონი | 104:96 | 22 ქულა, 12 მოხსნა |
| 14 დეკემბერი | დეტროიტი-ატლანტა | 91:81 | 10 ქულა, 11 მოხსნა |

**2008 წელი**

| თარიღი | მატჩი | ანგარიში | |
|---|---|---|---|
| 19 თებერვალი | ლეიკერსი-ატლანტა | 122:93 | 12 ქულა, 12 მოხსნა |
| 6 დეკემბერი | დალასი-ატლანტა | 100:98 | 13 ქულა, 12 მოხსნა |

**2009 წელი**

| თარიღი | მატჩი | ანგარიში | |
|---|---|---|---|
| 13 იანვარი | ფინიქსი-ატლანტა | 107:102 | 10 ქულა, 11 მოხსნა |
| 10 თებერვალი | ატლანტა-ვაშინგტონი | 111:90 | 11 ქულა, 12 მოხსნა |

რეპლიკა

## ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს

**"სასოფლო"-თსუ-ს მატჩის წინ, პრესკონფერენციაზე სასოფლოელ რეზო ათანელიშვილს წინა ტურის შეხვედრაზე ვკითხეთ: „შენ ხარ ემოციური, თუ "ენერჯისთან" მატჩისას მსაჯობამ აგაღელვა?" პასუხად, რეზომ არბიტრების მისამართით უკმაყოფილება გამოთქვა.**

**"სასოფლოს" ცენტრის ასეთმა მოქმედებამ გამოხმაურება პოვა თემიდელთა შორის. მონიტორინგის კომიტეტის წევრმა, ანტონ კაზანჯიანმა საგაზეთო რეპლიკა გააკეთა:**

**- საერთოდ, არბიტრთა გარჯის შეფასება მონიტორინგის ჯგუფის, მსაჯთა კომიტეტის და კომისრების საქმეა. ასე რომ, მსაჯებს საკმარისად ჰყავთ ზემმდგომნი. კალათბურთელს კი მოედანზე გასვლა და თამაში ევალება. ამიტომ, მინდა ვურჩიო რეზო ათანელიშვილს, რომ მეტი კონცენტრაცია თამაშზე მოახდინოს და მსაჯების შეფასებებისგან თავი შეიკავოს.**

**ბატონი ანტონ კაზანჯიანი ვეტერანი კალათბურთელია და, დარწმუნებულნი ვართ, მის სიტყვებს არა მხოლოდ რეზო, არამედ ყველა კალათბურთელი, უფროსი მეგობრის რჩევად მიიღებს...**

საქართველოს ჩემპიონატი. U 20

## მეფარიშვილი და მაკაბი

**06.02. რუსთავი**

**რუსთავი-ქუთაისი 107:76**

23:18, 24:20, 34:15, 26:23

რუსთავი: სიხარულიძე (22 ქ, 14 მ), მაჭავარიანი (22ქ), დვალიშვილი (15ქ), დოლიაშვილი (14ქ)

ქუთაისი: კანდელაკი (20ქ), ქორიძე (19ქ), თუკვაძე (14ქ)

**08.02. სპორტის სასახლე**

**მაკაბი-აკადემია 70:72**

12:23, 21:14, 18:22, 19:13

მაკაბი: ლონდარიძე (25ქ, 15მ), ჯანგველაძე (21ქ, 15მ)

აკადემია: მეფარიშვილი (30ქ), ბოქოლიშვილი (18ქ)

**09.02. სასოფლო**

**სამედიცინო-ქუთაისი 116:67**

ახალგაზრდული ჩემპიონატის ორი ფავორიტი ერთმანეთის პირისპირ ბოლო ტურში წარდგა და სპორტის სასახლეში შეკრებილმა გულშემატკივარმა საინტერესო თამაში იხილა. "მაკაბი" უმაღლეს ლიგაშიც იმავე შემადგენლობით თამაშობს, რომლითაც ახალგაზრდულ პირველობაზე. ამიტომ, მაკაბელები უფროსებში მიღებულ გამოცდილებას თანატოლებში სათანადოდ იყენებენ. მათ "აკადემიასთან" შეხვედრამდე ერთადერთი წაგება ჰქონდათ. თავის მხრივ, სამიდან სამი მატჩი ჰქონდა მოგებული "აკადემიას" და საინტერესო იყო, "მაკაბი" მეტოქეს დაეწეოდა, თუ "აკადემიკოსები" წაუგებელ სვლას განაგრძობდნენ.

როგორც მოსალოდნელი იყო, თანაბარი ძალის გუნდების პაექრობის ბედი ბოლო წამებზე გადაწყდა: ანგარიში 70:70 იყო, „აკადემიას" შესატევად 7 წამი ჰქონდა. **გია კაზანჯიანის** გუნდმაც ბურთი ბოლომდე გაათამაშა და როცა **მეფარიშვილმა** ბურთი საფინალო სირენის თანხლებით ისროლა, მაკაბელებს ისღა დარჩენოდათ, მასზე დაჯარიმებულიყვნენ.

აკადემიელს გადამწყვეტი საჯარიმოების სროლისას ხელი არ აჰკანკალებია - 72-70 – "აკადემიას" სასარგებლოდ.

სხვათა შორის, მეფარიშვილმა მანამდეც არაერთხელ იყოჩაღა: მისი გუნდი ქულით აგებდა, როცა ერთმანეთის მიყოლებით 2 სამქულიანი ჩააგდო და საფინალო სირენამდე წუთ-ნახევრით ადრე თავისიანები 5 ქულით დააწინაურა. „მაკაბიმ" მაინც მოახერხა წამოწევა – **რომა აჰმადიანმა** სირენამდე 36 წამით ადრე სამქულიანი მიითვალა და - 70:70. ამის შემდეგ გუნდებმა თითო შეტევა გაანიავეს და მეფარიშვილის საჯარიმოებზე უკვე გესაუბრეთ.

ამ ტურის სხვა მატჩებში მსგავსი დაძაბულობა არ ყოფილა. ჯერ "რუსთავმა" მშვიდად მოუგო "ქუთაისს", ხოლო იმავე ქუთათურებს "სამედიცინომ" 116:67 აჯობა.

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. რუსთავი | 6 | 5 | 1 | 11 |
| 2. სამედიცინო | 7 | 3 | 4 | 10 |
| 3. აკადემია | 4 | 4 | 0 | 8 |
| 4. მაკაბი | 5 | 3 | 2 | 8 |
| 5. ქუთაისი | 6 | 1 | 5 | 7 |
| 6. მართვე | 5 | 1 | 4 | 6 |

გვერდი მოამზადა

**ვაჟა სიმონიშვილმა**

ჭადრაკი



# ფარა, ბაბა, ფარა!..

## თურქეთში ევროებით ფუქეგამყარებული ჭადრაკის ბუმი იწყება

ქვეყანაში რომ ნებისმიერი დარგის განვითარებისთვის ფულია საჭირო და თანაც - ბევრი, ზრდასრულმა ადამიანმა კარგად იცის. სპორტის სახეობების დანერგვა - პოპულარიზაციას და დიდ სიმაღლეზე აყვანას შესაძლოა, მეტი ძალისხმევაც კი სჭირდებოდეს, რადგანაც ჯერ ერთი - უნდა შეასწავლო საზოგადოებას ახალი ხილი, მერე მის სიკეთეებში დაარწმუნო და მესამეც-პოპულარულობის ზრდასთან ერთად ელემენტარული ინვენტარიზაცია ხდება აუცილებელი პირობა, - სხვადასხვა სახეობას სხვადასხვაგვარი ხარჯი აქვს, მაგრამ იოლად და იაფად მაინც არაფერი გამოდის; ხოლო თუკი საერთო - სახალხო სიყვარული შეიძინა უცხო ხილმა, მერე ბარე ერთი და ორი მილიონიც აღარ არის საკმარისი... ეტყობა ეს პოსტულატები გადასარევად მოეხსენებოდა თურქეთის ჭადრაკის ფედერაციის ერთობ ორიგინალური იდეებით შეპყრობილ პრეზიდენტს **ალი ნიჰატ იაზიჩის** და ოსმალოთა ძლიერების საჭადრაკო დაფაზე გამოჩენას წლების წინათ მიჰყო ხელი. თურქეთშიც, ისევე როგორც ბევრ აზიურ ქვეყანაში, გასული საუკუნის შუაწლამდე ჭადრაკის თამაში იკრძალებოდა. მერე და მერე, სხვადსხვა დროს, ამა თუ იმ ქვეყანამ ბოქლომები ახსნა საჭადრაკო დაფებს და აზიელებმაც გადმოალაგეს ფიგურები სათამაშოდ. თურქეთში ეს პროცესი, ირანზე ადრე მოხდა, მაგრამ წლები გადიოდა და დიდ პოპულარობას ვერ იხვეჭდა, შესაბამისად, ვერც ძლიერი მოჭადრაკეებით დაიკვეხნიდნენ ჩვენი უახლოესი სამხრეთელი მეზობლები. ვითარება კარდინალურად შეიცვალა მაშინ, როცა თურქეთის ჭადრაკს ალი ნიჰატ იაზიჩი ჩაუდგა სათავეში. ამ ჩია ტანის კაცმა იმდენი ქნა, რომ რამდენიმე წელიწადში თურქეთი საჭადრაკო ბუმმა მოიცვა; ნამდვილად ერთ-ერთ პრიორიტეტულ სახეობად იქცა და საეთაშორისო მასშტაბითაც გაითქვა სახელი: მოიზიდეს უამრავი ძლიერი სპონსორი, რითაც მსოფლიო საჭადრაკო ელიტის ყურადღებაც მიიპყრეს და რაგინდარა ძალის ტურნირების მასპინძლობა დაიწყეს. უკვე სათვალავიდა არეული, თუ რამდენჯერ ჩატარდა თურქეთის საკურორტო თუ დიდ ქალაქებში ევროპის სხვადასხვაგვარი ჩემპიონატები (ქალთა და ვაჟთა ინდივიდუალური; ევროპის გუნდური; ევროპის საკლუბო და ა.შ.), თვით საჭადრაკო ოლიმპიადასაც კი უმასპინძლა 2000 წელს სტამბოლმა. ყველაფერი, ცხადია, ჭკვიანური მენეჯმენტის შედეგია და სხვებისთვისაც სამაგალითოა. კარგი იქნება, თუკი მეზობლების მაგალითს ჩვენც გავითვალისწინებთ და გამოცდილებას გადმოვიღებთ, - ჩვენ ხომ სწორედ კარგი მენეჯმენტი გვაკლია, რათა ქართულმა ჭადრაკმა ძველი სიმაღლეების დაბრუნება შეძლოს.

იაზიჩიმ თურქული ჭადრაკის გასაძლიერებლად ერთ ნაცად ხერხსაც მიმართა - სხვა ქვეყნის მოჭადრაკეების ნატურალიზაციას მიჰყო ხელი. ამან გარკვეული წარმატებები მოიტანა - **ეკატერინა ატალიკი** ევროპის ჩემპიონიც კი გახდა. საკლუბო ჩემპიონატსაც გვარიანად შეეწია და უფლება მისცა კლუბებს ლეგიონერები მოეწვიათ. ამის გამოა, რომ ქართველ მოჭადრაკეთა დიდი რაოდენობა თურქული კლუბების წევრები არიან. ეს ყველაფერი კარგი და გადასარევი - მაგალითი არის და ვისაც სურს, აქედან საჭირო დასკვნებსაც გააკეთებს, მაგრამ დღევანდელ წერილში იაზიჩის კიდევ ერთი და უნიკალური სვლის შესახებ გვსურს მოგითხროთ. როგორც ჩანს, ალის არ აკმაყოფილებს თურქ მოჭადრაკეთა თამაშის ხარისხი - რამდენიმე ფრაგმენტული წარმატების გარდა (სხვათა შორის, ახალგაზრდებშიც კი დაიწყეს თურქებმა ტიტულების მოხვეჭა) სტაბილურობას ვერ მიაღწიეს და ელიტასთან მიახლოებაც ვერ შეძლეს. ამ ერთგვარი ვაკუუმის თუ ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად ჭადრაკის „ტანმოკლე ფაშამ", ბევრი იფიქრა თუ ცოტა, ასეთი რამ მოიფიქრა: სკივრს თავი ახადა, დასტა-დასტად შენახული ფარა ამოალაგა და ზედაც გარკვეული შინაარსის წარწერები გაუკეთა: ნებისმიერი თურქი მოჭადრაკე, განუსაზღვრელად ასაკისა და სქესისა, ვინც დიდოსტატის ნორმას შეასრულებს, ერთჯერად პრიზად თურქეთის ფედერაციისგან 5 ათასი ევროს მიიღებს; ნორმატივის შესრულების ვადებიც შეუზღუდავია. ვინც დიდოსტატის ნორმას 2010 წლის პირველი იანვრისთვის შეასრულებს, დამატებით 10 თასი ევროთი დაჯილდოვდება. ხოლო თუ ამგვარ წარმატებას ოცწლამდე ასაკის გოგონა ან ვაჟი მიაღწევს, კიდევ დამატებით 10 ათას ევროს ჩაიჯიბავს, რაც ჯამში 25 ათას ევროს უტოლდება. ამით ყველაფერი არ სრულდება, - ალიმ ახალგაზრდების მოტივაციის გაზრდაზე იზრუნა უპირველესად და დაადგინა: თუკი დიდოსტატი გახდება თევსმეტწლამდელი გოგონა ან ვაჟი, ხსენებულ ყველა პრივილეგიასთან ერთად კიდევ 20 ათასი მიეცემა, რაც ჯამში 45 ათასს უდრის; ამდენს და კიდევ 20 ათასით მეტს მიიღებს თოთხმეტწლამდელი, რაღა თქმა უნდა, თუკი შესაბამის წოდებას შეწვდება, - ესეც თქვენი 65 ათასი ევრო. ამაზეც არ ჩერდება „ტანმოკლე ფაშა": თურქი მოჭადრაკე, რომელიც დიდოსტატობასთან ერთად პირველი მიაღწევს 2600-იან რეიტინგს(ქალებში ეს ნიშნული 2450 უდრის) დამატებით მიიღებს 50 ათას ევროს. თუკი მოჭადრაკის ასაკი არ იქნება 16 წელზე მეტი, მაშინ - 90 ათასით დაჯილდოვდება; თუ 14 წელს არ აღემატება, ამ შემთხვევაში 125 ათასით გაიხარჯება ფედერაცია. ასე რომ, არის შანსი, 14 წლის მოჭადრაკემ საერთო ჯამში 190 ათასი(!) ევრო მოიხვეჭოს. ცხადია, შანსი ნაკლებია, მაგრამ თანამედროვე საჭადრაკო სამყაროში წოდებების და რეიტინგების მომატების იმდენი ხერხი არსებობს, რომ მავანს შესაძლოა, დიდად არც გაუჭირდეს. ცხადია, შეთავაზება ბევრს ააფორიაქებს და შესაბამისადაც დარაზმავს; უამრავი წინადადება წამოვა ქართველი თუ აზერბაიჯანელი მოჭადრაკეების მისამართით, რათა ჩავიდნენ თურქეთში, ტურნირს ჩალალი რეიტინგი რომ მიენიჭოს და შემდეგ ეცადონ ნორმების შესრულებას; მათი მხრიდან მაცდუნებელი წინადადებების ნიაღვარიც წამოვა...

ასეთი პირობები უამრავ ისეთ მოჭადრაკესაც მოადენს ნერწყვს, ვისაც მშობლიური ქვეყნის ნაკრებში მოხვედრის ან მცირე, ანაც ნულის ტოლი შანსი აქვს, სამაგიეროდ კი დიდოსტატობამდე ერთი ნაბიჯი უკლია და რეიტინგიც არცთუ დაბალი გააჩნია. ამისათვის, ცხადია, თურქეთის მოქალაქეობის მიღებაა საჭირო, რომელიც, არცთუ რთულად მისაღწევია, მაგრამ ეშმაკმა იაზიჩიმ ამაზეც წინდაწინ იფიქრა და მისი ბელელი რომ უცხოს ქარივით არ გაენიავებინა, დააწესა: ბონუსები გავრცელდება მხოლოდ იმათზე, ვინც თურქეთის მოქალაქეები 2009 წლის პირველ თებერვლამდე გახდნენო. ასე რომ, მრავალთათვის სკივრი დახურულია, უფრო მეტისთვის კი - ღია. ვნახოთ, ამჯერად რას მოუტანს ალის და თურქეთის ჭადრაკს ფულის გულიანი ფრიალი.

**ზვიად შათირიშვილი**

სამთო-თხილამურები

# ჩეხეთში, ავსტრიასა და ამერიკაში

FIS

საქართველოს ნაკრების წევრები დღეს-ხვალ ფრანგულ ვალ დ'იზერში მსოფლიოს ჩემპიონატზე ცდიან ძალებს გიგანტურ სლალომსა და სლალომში. ნაკრებს მიღმა დარჩენილები კი განაგრძობენ საერთაშორისო ტურნირებში ასპარეზობას. ჩეხეთის ზამთრის კურორტ პორნი მისეჩკიში 24-24 წლის **ნიკოლოზ ჯალალონიამ** და **ვახტანგ კოპაძემ**, აგრეთვე 15 წლის **ბიძინა ქართველიშვილმა** ისრიალეს. „სითიზენის" ეგიდით ორი სლალომი გაიმართა. პირველ დღეს ჯალალონია მე-19 ადგილზე გავიდა, კოპაძე კი 41-ე იყო, ხოლო ქართველიშვილს მეორე ცდა გაუფუჭდა. სლალომში სულ 120 სამთო-მეთხილამურე მონაწილეობდა. მეორე დღის სლალომში ჯალალონიამ მე-20 ადგილი დაიკავა, კოპაძემ და ქართველიშვილმა კი ტრასა ვერ ჩაამთავრეს.

ავსტრიულ ლოიგანგში დონით უფრო მაღალ, FIS-ის ეგიდით გამართულ გიგანტ სლალომში მიიღო მონაწილეობა 15 წლის **ჯაბა გელაშვილმა**. ჯაბა 74-ე ადგილს დასჯერდა. მეორე გიგანტურ სლალომში კი ტრასა პირველ ცდაზე ვერ ჩაამთავრა.

ამერიკაში ასპარეზობს **ელენე გედევანიშვილის** უმცროსი ძმა, **დიმიტრი**. იგი ჯერ სუისაიდ სიქსში სლალომში მონაწილეობდა FIS-ის ეგიდით გამართულ სლალომში და მე-40 ადგილი დაიკავა. სტოვში კი მან გიგანტურ სლალომი დააგემოვნა და ამჯერად 59-ე ადგილს დასჯერდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

კრივი

# გლდანში ახალგაზრდები იბრძოლებენ

ერთ კვირაში გლდანის კრივის დარბაზში საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატი გაიმართება. ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **თენგიზ მესხაძე** და მისი ასისტენტები ქვეყნის მთავარი გუნდის კანდიდატებს დააკვირდებიან.

დიდებში კი ქვეყნის პირველობა აპრილში ჩატარდება, რომელშიც საქართველოს ყველა უძლიერესი მოკრივე იასპარეზებს, მათ შორის **ნიკოლოზ იზორია**, რომელმაც ავტოავარიის გამო რამდენიმე თვე გამოტოვა და ვარჯიშს ახლაღა შეუდგა. ეროვნული ნაკრების შემადგენლობა საბოლოოდ სწორედ საქართველოს ჩემპიონატის შემდეგ დაკომპლექტდება. წლის უმნიშვნელოვანესი შეჯიბრება – მსოფლიო ჩემპიონატი კი აგვისტოში გაიმართება.



თენგიზ მესხაძე

**ლევან ჯანეზაშვილი**

ხელბურთი

# ჩემპიონატი მარტის ბოლოს

როგორც ხელბურთის ფედერაციაში გვაცნობეს, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის დაწყება მარტის ბოლო რიცხვებში იგეგმება. შეგახსენებთ, სხვადასხვა პრობლემის გამო, ქვეყნის პირველობის ჩატარებას საშველი გასული წლის შემოდგომაზე ვერ დაადგა. თებერვლის ბოლოს კი 1990 წელს დაბადებულ ხელბურთელთა ჩემპიონატი ჩატარდება.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის მზადებას შეუდგა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები, რომელიც 10-13 აპრილს პორტუგალიაში იასპარეზებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ჩოგბურთი

# პარიზული მარცხი



მაკა ჩახნაშვილი

26 წლის **მაკა ჩახნაშვილი** საბოლოოდ დაემშვიდობა პარიზის საერთაშორისო ტურნირ „სუეც ოუფენს", რომლის საპრიზო ფონდი 700 ათასი ამერიკული დოლარია. ერთეულთა თანრიგის კვალიფიკაციაში მარცხის შემდეგ, მაკამ წყვილთა თანრიგის ძირითად ბადეშიც წააგო. ჩახნაშვილი გერმანელ **იულია შრუფთან** დუეტში თამაშობდა. პირველ წრეში მათი მეტოქეები მე-2 ნომრად განთესილები ჩეხი **პეშკე** და ამერიკელი **რეიმონდი** იყვნენ. სამწუხაროდ, ფავორიტებმა ორ სეტში იმარჯვეს - 7:5, 6:3.

მალიორკის ტურნირს (ესპანეთი, 10 ათასი $) ერთი ქართველი ჩოგბურთელი გამოაკლდა. საკვალიფიკაციო ბადის გამარჯვებულმა **სოფიო ქვაცაბაიამ** (666) **სანდრა სოლერ-სოლას** (493) სამსეტიანი ბრძოლა კი გაუმართა, მაგრამ საბოლოოდ მატჩი დათმო და მერვედფინალში მასპინძელი გავიდა - 6:3, 0:6, 2:6. ტურნირის მერვედფინალში 17 წლის **ეკა გორგოძეა** გასული, რომლის მეტოქეც 20 წლის მაროკოელი **ფატიმა ელ ალამია** (528).

გამოქვეყნდა 18-წლამდელ ჩოგბურთელთა მსოფლიო რეიტინგი, რომელშიც 16 წლის **ნიკოლოზ ბასილაშვილი** 286 ქულით 69-ე ჩოგანია. **ლაზარე კუხალაშვილი** 115 ქულით 279-ე პოზიციაზეა. გოგონებში მხოლოდ **ეკა გორგოძეს** გამოვყოფთ, რომელიც 193 ქულით 177-ე ადგილზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# უცხოური სპორტი

ეროვნული

## კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

**ატლანტა-ვაშინგტონი 111:90**

24:17, 29:20, 24:24, 34:29

ა: ჯო ჯონსონი (22+8 პასი), მიური (16), მ. ევანსი (14), ბიბი (12+6 პასი), ფაჩულია (11+12 მოხსნა), ლოუ (11+7 პასი).

ვ: კ. ბატლერი (22+8 მოხსნა), მაკგი (18+11 მოხსნა), ჯეიმისონი (17+12 მოხსნა), ნ. იანგი (11).

**გ. სტეიტი-ნიუ იორკი 144:127**

41:29, 24:36, 40:30, 39:32

გ-ს: ს. ჯექსონი (35+10 პასი), აზუბუიკე (22+10 მოხსნა+3 ჩაჭრა), კროუფორდი (21+7 პასი), ელისი (17), მაგეტი (16), ე. რენდოლფი (12+7 მოხსნა), უოტსონი (11), ტურიაფი (10+8 მოხსნა+4 დაფარება).

ნ-ი: რობინსონი (30), დ. ლი (27+11 მოხსნა), ელ ჰარინგტონი (24+9 მოხსნა), დუჰონი (13+9 პასი), ჯეფრიზი (10).

**ინდიანა-კლივლენდი 96:95**

24:24, 18:19, 25:25, 29:27

ი: მერფი (18+15 მოხსნა), გრეინჯერი (16), ფორდი (15+3 ჩაჭრა), დინერი (13), ჰიბერტი (12).

კ: ლ. ჯეიმსი (47+7 მოხსნა), მ. უილიამსი (15), ილგაუსკასი (10+11 მოხსნა+3 დაფარება).

**მაიამი-დენვერი 82:99**

20:32, 20:24, 25:18, 17:25

მ: უეიდი (33+7 მოხსნა), მერიონი (14), ჩალმერსი (10+7 მოხსნა).

დ: ბილაპსი (23), ენტონი (19+9 მოხსნა), მარტინი (18+10 მოხსნა+4 ჩაჭრა), სმიტი (10).

**ნიუ ჯერსი-სან ანტონიო 93:108**

21:28, 30:26, 18:28, 24:26

ნ-ჯ: ვ. კარტერი (25), დ. ჰარისი (21+7 მოხსნა), ბ. ლოპესი (18), ჰასელი (10).

ს-ა: დანკანი (27+9 მოხსნა+8 პასი+4 დაფარება), ბონერი (22), ტ. პარკერი (20), მეისონი (14).

**მინესოტა-ტორონტო 102:110**

16:23, 32:18, 32:32, 22:37

მ: ფოიე (33+8 მოხსნა), გომესი (17), ლავი (15+11 მოხსნა), მ. მილერი (12), კარნი (12), ტელფეირი (11).

ტ: ჯ. გრემი (24+3 დაფარება), ჯ. ო'ნილი (22+8 მოხსნა), ბარნიანი (18), კაპონო (18), მუნი (11+9 მოხსნა), კალდერონი (11+9 პასი).

**ჩიკაგო-დეტროიტი 107:102**

30:22, 20:29, 21:32, 36:19

ჩ: ბ. გორდონი (24), დ. როუზი (23), ტ. ტომასი (22+10 მოხსნა+3 ჩაჭრა), ნოჩიონი (14), ნოა (12+16 მოხსნა).

დ: ჰემილტონი (30+8 პასი), რ. უოლასი (20+10 მოხსნა+3 ჩაჭრა), პრინსი (16+8 მოხსნა), სტაკი (16).

**დალასი-საკრამენტო 118:100**

38:31, 24:26, 24:14, 32:29

დ: ა. რაიტი (23+3 ჩაჭრა), ჯ. ჰოვარდი (23), ნოვიცკი (21+8 მოხსნა), კიდი (15+7 მოხსნა+12 პასი+4 ჩაჭრა), ბარეა (10), დამპიე (9+16 მოხსნა+3 დაფარება).

ს: მარტინი (18+3 ჩაჭრა), სალმონსი (16), შ. უილიამსი (15), ბ. ჯექსონი (12), უდრიხი (11+3 ჩაჭრა), გარსია (11).

**ლეიკერსი-ოკლაჰომა 105:98**

25:25, 35:22, 20:26, 25:25

ლ: ბრაიანტი (34+7 მოხსნა), პ. გასოლი (22+14 მოხსნა), ოდომი (12+18 მოხსნა).

ო: დურანტი (31+10 მოხსნა+4 ჩაჭრა), უესტბრუკი (17+9 მოხსნა+7 პასი), ჯ. გრინი (16+8 მოხსნა), უივერი (11).



## მო უილიამსმა ბოში შეცვალა

"ყველა ვარსკვლავის მატჩის" მონაწილეთა შორის კიდევ ერთი ცვლილება მოხდა. რეგულარული ჩემპიონატის ერთ-ერთ ბოლო ტურში ტრავმა მიიღო "ტორონტო რეპტორზის" ფორვარდმა **კრის ბოშმა** და ლიგის კომისარის, **დევიდ სტერნის** გადაწყვეტილებით, აღმოსავლეთი კონფერენციის ნაკრებში მის ადგილს "კლივლენდ კავალიერზის" მცველი **მო უილიამსი** დაიკავებს.

"ოლ სტარის" სარეზერვო შემადგენლობების გამოცხადების შემდეგ, "კლივლენდის" მფლობელმა **დენ გილბერტმა** უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ამ საკალათბურთო შოუზე გუნდის მხოლოდ ერთი მოთამაშე - **ლებრონ ჯეიმსია** წარმოდგენილი. გილბერტი კიდევ უფრო განაწყენდა მას შემდეგ, რაც აღმოსავლეთის გუნდში ტრავმირებული **ჯამირ ნელსონის** ადგილი ბოსტონელმა **რეი ალენმა** დაიკავა. ამჯერად სტერნმა ამ "გაუგებრობის" გამოსწორება გადაწყვიტა და ახლა, ჩემპიონატის ლიდერი "ყველა ვარსკვლავის მატჩზე" ორ კალათბურთელს მიავლენს.

■ ■ ■

ერთი ცვლილება მოხდა სამქულიანების კონკურსის მონაწილეთა შორის. "მემფისის" ტრავმირებულ ფორვარდ **რუდი გეის** "დენვერის" შემტევი მცველი **ჯეი არ სმიტი** შეცვლის.

დენვერელი სნაიპერი 2005 წელსაც მონაწილეობდა ანალოგიურ კონკურსში.

## კობის ახალი რეკორდი

"ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერი **კობი ბრაიანტი** ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მორიგი რეკორდის ავტორი გახდა. "ოკლაჰომა-სიტისთან" საშინაო შეხვედრაში (105:98) ვარსკვლავმა მცველმა 34 ქულა დააგროვა, რითაც კარიერაში 23 000-ქულიან ზღვარს გადაცდა.

30 წლის ბრაიანტი ყველაზე ახალგაზრდა კალათბურთელი გახდა ლიგის ისტორიაში, ვინც ამ სტატისტიკურ ზღვარს გადააბიჯა. ამისთვის კობის 916 მატჩის ჩატარება დასჭირდა - იტყობინება ლიგის ოფიციალური ვებგვერდი.

აქვე შეგახსენებთ, რომ NBA-ის ყველა დროის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელია **ქარიმ აბდულ ჯაბარი**, რომელსაც კარიერაში 38 387 ქულა აქვს მოპოვებული.

## მავერიქსმა გამთამაშებელი დაკარგა

"დალას მავერიქსს" მინიმუმ ერთი თვე თავისი წამყვანი გამთამაშებლის **ჯეისონ ტერის** გარეშე მოუწევს თამაში. ცოტა ხნის წინ, ამ კალათბურთელმა თავის პარტნიორ **ხუან ხოსე ბარეასთან** შეტაკებისას თითი მოიტეხა და ოპერაციის გაკეთება მოუხდა.

როგორც "მავერიქსის" მფლობელი **მარკ ქიუბანი** აცხადებს, ტერი ამ სეზონში აუცილებლად დაუბრუნდება მოედანს. როგორც წესი, ასეთი ტრავმის შემდეგ აღდგენითი პროცესი 3-6 კვირა მიმდინარეობს და შესაბამისად, ჯეისონი კიდევ მოასწრებს რეგულარულ ჩემპიონატში თამაშს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**სენტ ლუისი-ვანკუვერი 4:6**

2:0, 1:2, 1:4

**გოლები:** 1:0 ვაგნერი-2 (ე. მაკდონალდი-13, ოში-10), 2:0 ბოიესი-24 (კოლაიაკოვო-17, ბერგლუნდი-17), 2:1 სუნდინი-5 (დემიტრა-17, ბიექსა-21), 3:1 ტკაჩუკი-17 (ბერგლუნდი-18, კოლაიაკოვო-18), 3:2 სუნდინი-6 (ბიექსა-22, კესლერი-20), 3:3 კესლერი-15 (დემიტრა-18, ედლერი-20), 4:3 ე. მაკდონალდი-7 (ოში-11, ბერგლუნდი-19), 4:4 ბაროუზი-13 (ოლუნდი-14), 4:5 ჰანსენი-6 (პიატი-7, უ. მიტჩელი-14), 4:6 დემიტრა-14.

**ფლორიდა-ტორონტო 5:4 (ო)**

0:1, 1:2, 3:1, 1:0

**გოლები:** 0:1 ჰაგმანი-15 (ჯ. ბლეიკი-22, მური-24), 1:1 მაკლინი-4 (კრეპსი-9, ე. სტიუარტი-4), 1:2 მეიერსი-2 (ჯ. მიტჩელი-13, კუბინა-18), 1:3 ჰაგმანი-16 (ჯ. ბლეიკი-23, მური-25), 1:4 ანტროპოვი-17 (პონიკაროვსკი-19, სტაიანი-24), 2:4 ჰორტონი-14 (ბოინტონი-11, ჯეისი-28), 3:4 პელტონენი-9 (გ. კემპბელი-14, ბალარდი-17), 4:4 ზედნიკი-9 (კრეპსი-10, სტილმანი-19), 5:4 ზედნიკი-10 (სტილმანი-20, ბოუმისტერი-17).

**ბოსტონი-სან ხოსე 2:5**

2:1, 0:0, 0:4

**გოლები:** 1:0 ლუჩიჩი-12 (სავარი-42, ვიდემანი-26), 1:1 რ. ბლეიკი-8 (ვლასიჩი-22, ქლოუ-24), 2:1 ლუჩიჩი-13 (ნოკელაინენი-3), 2:2 მარლო-27 (ერჰოფი-19, ქლოუ-25), 2:3 მ. მიხალეკი-15 (ბოილი-27, ქლოუ-26), 2:4 ჯ. ტორნტონი-13 (სეტოგუჩი-25, მარლო-28), 2:5 გრირი-10 (მარლო-29, პლიჰალი-8).

**კოლამბუსი-კოლორადო 3:0**

0:0, 0:0, 3:0

**გოლები:** 1:0 ე. მიურეი-7 (ტორესი-4, ჰეიდა-11), 2:0 ჯეისონ უილიამსი-11 (ვორაჩეკი-17, ჩიმერა-13), 3:0 მოდინი-9 (ჰეიდა-12, უმბერგერი-13).

**აილენდერსი-ლ. ანჯელესი 3:4 (ბ)**

1:1, 2:1, 0:1, 0:0

**გოლები:** 0:1 სიმონდსი-5 (რიჩარდსონი-3, ო'დონელი-10), 1:1 უეიტი-9 (გერინი-19, კომრი-13), 2:1 ჯეკმენი-4, 2:2 კოპიტარი-16 (ო'სალივანი-18, ფროლოვი-17), 3:2 ჰიბერტი-9 (ჰანტერი-17, ვიტი-6), 3:3 ფროლოვი-22 (ქუინსი-26, სტოლი-18).

**ბულიტები გაიტანეს:** ჯონსონი (ლოს ანჯელესი).

**ნეშვილი-დეტროიტი 3:5**

0:2, 2:1, 1:2

**გოლები:** 0:1 ზეტერბერგი-19 (რაფალსკი-33, დაციუკი-44), 0:2 დაციუკი-23 (ლიდსტრიომი-28, ზეტერბერგი-29), 0:3 მარიან ჰოსა-31 (კრონვალი-30, ჰუდლერი-27), 1:3 ბონკი-7 (არნოტი-16, სალივანი-4), 2:3 ჯ. ჯორდი-7 (სატერი-23, ბონკი-12), 2:4 ზეტერბერგი-20 (კლირი-18, რაფალსკი-34), 3:4 ჯ. ჯორდი 8 (სმიტსონი-6, სატერი-24), 3:5 დაციუკი-24 (კლირი-19, რაფალსკი-35).

**ტამპა ბეი-ატლანტა 1:3**

1:1, 0:1, 0:1

**გოლები:** 1:0 გ. რობერტსი-4 (დოუნი-3, სტემკოსი-15), 1:1 კ. სტიუარტი-1 (პერენი-9), 1:2 ვაიჩ. კოზლოვი-18 (პევერლი-17, ჰაველიდი-11), 1:3 კოვალჩუკი-23.

## რაგბი

## ჯონსონმა სასტარტო დაასახელა



ინგლისის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **მარტინ ჯონსონმა** ექვსი ერის თასის მეორე ტურში უელსთან მატჩისთვის თავისი გუნდის სასტარტო შემადგენლობა გამოაცხადა. 15 მორაგბეს შორის მოხვდნენ **ჯო უორსლი** და **მაიკ ტინდოლი.**

უორსლის ბოლოს ინგლისის ნაკრების მაისურა 2007 წლის მსოფლიოს თასის ჯგუფურ ეტაპზე ეცვა. ამჯერად ის **სტივენ ერმიტეიჯის** ნაცვლად გამოიძახეს. ტინდოლმა იტალიასთან პირველი ტურის მატჩი ტრავმის გამო გამოტოვა და ახლა ნაკრებში **ჯეიმი ნუნის** ადგილს დაიკავებს.

ასევე ამ მატჩისთვის გამოძახებულნი არიან **ტობი ფლადი** და **პოლ ჰოჯსონი**, ხოლო ცნობილი **დენი სიპრიანი** კვლავ ვერ მოხვდა მეორე ტურის განაცხადში.

აი, როგორ გამოიყურება ინგლისის ნაკრების შემადგენლობა ექვსი ერის ჩემპიონ უელსთან შეხვედრაში:

დელონ ერმიტეიჯი ("ლონდონ აირიში"), პოლ სეკი ("უოსპსი"), მაიკ ტინდოლი ("გლოსტერი"), რიკი ფლიუტი ("უოსპსი"), მარკ კუეტო ("სეილ შარქსი"), ენდი გუდი ("ბრივი"), ჰარი ელისი ("ლესტერი"), ნიკ ისტერი ("ჰალიკვინსი"), ჯო უორსლი ("უოსპსი"), ჯეიმს ჰასკელი ("უოსპსი"), ნიკ კენედი ("ლონდონ აირიში"), სტივ ბორტვიკი ("სარაცინი"), ფილ ვიკერი ("უოსპსი"), ლი მირსი ("ბათი"), ენდრიუ შერიდანი ("სეილ შარქსი").

**სათადარიგოები:** დილან ჰარტლი ("ნორთჰემპტონი"), ჯულიან უაიტი ("ლესტერი"), ტომ კროფტი ("ლესტერი"), ლიუკ ნერევეი ("გლოსტერი"), პოლ ჰოჯსონი ("ლონდონ აირიში"), ტობი ფლადი ("ლესტერი"), მეტიუ ტეიტი ("სეილ შარქსი").

## არგენტინული რაგბის ახალი ისტორია

არგენტინის რაგბის ფედერაციამ (UAR) თავისი არსებობის ისტორიაში პირველად გააფორმა ქვეყნის ნაკრების მოთამაშეებთან პროფესიული კონტრაქტები. "პუმების" მთავარმა მწვრთნელმა **სანტიაგო ფელანმა** ამისთვის 31 სპორტსმენი აირჩია, რომლებიც ადგილობრივ ჩემპიონატში თამაშობენ. ამიერიდან, მორაგბეები UAR-ისგან თვეში 655 დოლარს მიიღებენ.

კონტრაქტით გათვალისწინებული თანხების გადახდას რაგბის საერთაშორისო კავშირი (IRB) უზრუნველყოფს, რომელიც სამი წლის განმავლობაში არგენტინულ რაგბიში 8 მილიონ დოლარს დააბანდებს.

*"ჩვენ არ გვინდა არგენტინის ნაკრები მხოლოდ იმ მოთამაშეებზე იყოს დამოკიდებული, რომლებიც ევროპულ კლუბებში გამოდიან. ადგილობრივ ტურნირებში მოთამაშე მორაგბეები უნდა ნავახალისოთ, რათა მათ არგენტინაში გაიარონ მზადების ციკლი"*, - განაცხადა ფელანმა.

არგენტინაში პროფესიული კლუბების არარსებობა და ცუდი ფინანსური პირობები იმის მიზეზია, რომ ამ ქვეყნის ნაკრები ვერ ახერხებს სამი ერის თასის გათამაშებაში ჩართვას.

## მსოფლიოს თასს მეორე სპონსორი ჰყავს

კომპანია Mastercard-მა კონტრაქტი გააფორმა რაგბის საერთაშორისო კავშირთან (IRB), რომლის მიხედვითაც ის 2011 წლის მსოფლიოს თასის ერთ-ერთი მთავარი სპონსორი იქნება. ამის შესახებ ჟურნალისტებს IRB-ის შეფმა **ბერნარ ლაპასემ** აცნობა. ხელშეკრულების ვადა და ფინანსური პირობები პრესისთვის უცნობი დარჩა.

*"Mastercard სპორტისა და კულტურის სფეროში ერთ-ერთი წამყვანი სპონსორია. ამ კომპანიამ შორსმიმავალი დასკვნები გააკეთა, როცა ჩვენს ორგანიზაციასთან გააფორმა კონტრაქტი"*, - აცხადებს ლაპასე.

ამ უკანასკნელის თქმით, 2011 წელს გასამართ მსოფლიოს თასს ჯამში ექვსი სპონსორი ეყოლება. აქედან ორი უკვე ცნობილია: Mastercard-თან ერთად, ეს არის ავიაკომპანია Emirates Airlines.

## სამხრეთ აფრიკა 2010

### ევროპა

#### I ჯგუფი

**მალტა-ალბანეთი 0:0**

**მალტა:** ჰაბერი, მუსკატი, ა. აგიუსი, დიმეჩი, გ. აგიუსი (86. ფენეჩი), სამუტი, ბაიადა, მიფსუდი, კოენი, შემბრი, შერი (69. ბრიფა).

**ალბანეთი:** ჰიდი, დალკუ, ბეკირი, კური, ვრაპი, აგოლი (46. ვანგელი/80. ლალა), ბულკუ, ლიკა, სკელა, დურო, ბოგდანი (76. ბერიშა).

**მაყურებელი:** 4 000

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დანია | 3 | 2 | 1 | 0 | 6-2 | 7 |
| 2. უნგრეთი | 4 | 2 | 1 | 1 | 4-2 | 7 |
| 3. ალბანეთი | 5 | 1 | 3 | 1 | 3-2 | 6 |
| 4. პორტუგალია | 4 | 1 | 2 | 1 | 6-3 | 5 |
| 5. შვედეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 2-1 | 5 |
| 6. მალტა | 5 | 0 | 1 | 4 | 0-11 | 1 |

#### III ჯგუფი

**სან მარინო-ჩრ. ირლანდია 0:3**

**სან მარინო:** ფ. ვალენტინი, კ. ვალენტინი, დელა ვალე, სიმონჩინი, ვანუჩი, ბაკიოკი (79. ფ. ვიტაიოლი), ბერეტი, მიკელე მარანი, მუჩიოლი (67. ბული), მ. ვიტაიოლი (86. კასადეი), მანუელ მარანი.

**ჩრ. ირლანდია:** ტეილორი, მაკოლი, კრეიგანი, ჰიუზი (81. მაკურტი), მაკარტნი, ჯონსონი, მაკანი, დევისი, ჰილი, პატერსონი (76. ფინი), ლაფერტი (55. ბრუნტი).

**გოლები:** 0:1 მაკოლი (6), 0:2 მაკანი (32), 0:3 ბრუნტი (63)

**გაძევება:** მანუელ მარანი (71. სან მარინო)

**მაყურებელი:** 2 000

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სლოვაკეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 8-5 | 9 |
| 2. ჩრ. ირლანდია | 5 | 2 | 1 | 2 | 8-4 | 7 |
| 3. პოლონეთი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-4 | 7 |
| 4. ჩეხეთი | 4 | 2 | 1 | 1 | 5-2 | 7 |
| 5. სლოვენია | 4 | 2 | 1 | 1 | 5-3 | 7 |
| 6. სან მარინო | 5 | 0 | 0 | 5 | 1-15 | 0 |

### აზია

#### I ჯგუფი

**იაპონია-ავსტრალია 0:0**

**უზბეკეთი-ბაჰრეინი 0:1**

**გოლი:** 0:1 აბდულრაჰმანი (90)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ავსტრალია | 4 | 3 | 1 | 0 | 6-0 | 10 |
| 2. იაპონია | 4 | 2 | 2 | 0 | 7-3 | 8 |
| 3. ბაჰრეინი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-5 | 4 |
| 4. კატარი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-8 | 4 |
| 5. უზბეკეთი | 4 | 0 | 1 | 3 | 1-6 | 1 |

#### II ჯგუფი

**ჩრ. კორეა-ს. არაბეთი 1:0**

**გოლი:** 1:0 გუკი (28)

**ირანი-ს. კორეა 1:1**

**გოლები:** 1:0 ნექუნამი (60), 1:1 ჟი-სუნ პარკი (81)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ს. კორეა | 4 | 2 | 2 | 0 | 8-3 | 8 |
| 2. ჩრ. კორეა | 4 | 2 | 1 | 1 | 5-4 | 7 |
| 3. ირანი | 4 | 1 | 3 | 0 | 5-4 | 6 |
| 4. ს. არაბეთი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-5 | 4 |
| 5. საემიროები | 4 | 0 | 1 | 3 | 4-9 | 1 |

### ამხანაგური მატჩები

**პოლონეთი-უელსი 1:0**

**პოლონეთი:** ფაბიანსკი (46. ბორუცი), ვავრჟინიაკი, ჟევლაკოვი, ვასილევსკი, კრჟინოვეკი (46. გერეირო), ბოგუსკი (46. სმოლიარეკი), მურავსკი (75. ტრალკა), გარგულა (46. ლობოძინსკი), მ. ლევანდოვსკი, დუდკა, რ. ლევანდოვსკი (62. პ. ბროჟეკი).

**უელსი:** ჰენესი (46. მაიჰილი), განტერი, რიკეტსი, უილიამსი, ნიატანგა, ბეილი, ედვარდსი, კოლისონი (46. რემსი), ლედლი (46. ფლეტჩერი), ევანსი (47. კოტერილი), ბელამი (46. ვოუკსი).

**გოლი:** 1:0 გერეირო (80)

**უკრაინა-სერბეთი 1:0**

**უკრაინა:** ხუჯამოვი, მანძიუკი, რუსოლი, შევჩუკი, პაშაევი (46. ჩიგრინსკი), ტიმოშჩუკი, ნაზარენკო, კალინიჩენკო (90+1. როტანი), ლევჩენკო, ვორონინი (46. გომენიუკი), დევიჩი (89. სელეზნიოვი)

**სერბეთი:** დიშლენკოვიჩი, რუკავინა, ივანოვიჩი, დრაგუტინოვიჩი, კოლაროვი (76. ჯურიჩი), მუტავჯიჩი (58. ტოშიჩი), სტანკოვიჩი, კრასიჩი (71. იანკოვიჩი), მილიაში (46. კუჟმანოვიჩი), იოვანოვიჩი, ლაზოვიჩი (46. სულეიმანი).

**გოლი:** 1:0 ნაზარენკო (16)

**თურქეთი-კოტ დ'ივუარი 1:1**

**თურქეთი:** ვოლქან დემირელი, სერვეთ ჩეთინი, გიოქჰან გიუნალი (64. ჰალილ ალთინთოფი), გიოქჰან ზანი, ჰამით ალთინთოფი (63. აიჰან აქმანი), მეჰმეთ აურელიო, არდა თურანი (46. საბრი სარიოგლუ), ჩანერი, თუნჯაი ჩანლი (46. ქაზიმ ქაზიმი), სემიჰ შენთურქი (46. ემრე ბელოზოგლუ), გიოქჰან უნალი (75. მემეთ ილდიზი).

**კოტ დ'ივუარი:** ბარი, დემელი (46. კეიტა), ზოკორა (76. სანოგო), კ. ტურე, ბოკა, ი. ტურე (88. კლოე), გოჰური (85. ბამბა), ე. ფაე (61. გოსო), დროგბა, ებუე, რომარიკი.

**გოლები:** 1:0 გიოქჰან უნალი (11), 1:1 დროგბა (90)

**რუმინეთი-ხორვატია 1:2**

**რუმინეთი:** ლობონტი (80. პანილიმონი), კონტრა (46. ოგარარუ), ტამაში, რადოი (74. გოიანი), რაცი (46. ნეშუ), კოჩიში (81. ტამეში), ოვ. პეტრე, კოდრია (72. ბორუჩანუ), ფლ. პეტრე (46. ნიკოლიცა), მარიკა, კოსტია (61. ბუქური).

**ხორვატია:** პლეტიკოშა, ჩორლუკა, კრიუანაცი, , შიმუნიჩი (46. რ. კოვაჩი), პრანიჩი (71. ჩალე), სრნა, იურიჩი, მოდრიჩი (62. ვუკოევიჩი/83. პოკრივაცი), რაკიტიჩი, ოლიჩი (61. ედუარდო), პეტრიჩი (46. კრანჩარი).

**გოლები:** 1:0 მარიკა (22), 1:1 რაკიტიჩი (28), 1:2 კრანჩარი (75)

**მაროკო-ჩეხეთი 0:0**

**მაროკო:** ზაზა, ილამინი, ქადური, ბაშირი, საფრი, ქარქური, შარჯა, ჰაჯი, შამახი (83. ი. ჰაჯი), ბაა (63. აჰმადი), ჰამდავი.

**ჩეხეთი:** დრობნი, გრიგერა, უიფალუში, როზენალი (46. იაროლიმი), კადლეცი (60. მარეკი), პოსპეჩი, კოვაჩი, მატეიოვსკი (46. ბედნარი), პოლაკი (83. ჰუშეკი), პლასილი, ბაროში (46. ნეჩიდი).

**საბერძნეთი-დანია 1:1**

**საბერძნეთი:** ხალკიასი, სეიტარიდისი, კირგიაკოსი (46. ლიბეროპულოსი), დელასი (46. კაცურანისი), ტოროსიდისი (75. სპიროპულოსი), კარაგუნისი, ბასინასი (46. მორასი), ციოლისი, ხარისტეასი (46. პაპადოპულოსი), გეკასი, სამარასი.

**დანია:** ტ. სიორენსენი, იაკობსენი, კროლდრუპი, აგერი, კ. სიორენსენი, დ. იენსენი (46. ანდრეასენი), ნორდსტრანდი (46. ვინგაარდი), პოულსენი, რომედალი, ბენდტნერი (82. ს. ლარსენი), ბორინგი (82. კრისტენსენი).

**გოლები:** 0:1 ბორინგი (49), 1:1 გეკასი (61)

**ავსტრია-შვედეთი 0:3**

**ავსტრია:** მანინგერი, გარიჩი (46. იბერტსბერგერი), პრიოდლი, შტარნცლი (67. შიმერი), პოგატეტცი, პიოლცლი, შარნერი (83. კინცლი), ვანშიტცი (76. ზაურერი), შაუმელი (67. ოკოტიე), არნაუტოვიჩი (78. ულმერი), იანკო.

**შვედეთი:** ისაქსონი, იოჰანსონი (46. მ. ნილსონი), მელბერგი (46. გრანკვისტი), მაისტროვიჩი (46. ჰანსონი), ედმანი, რ. ელმი, ვ. ელმი, კალსტრიომი (76. ს. ლარსონი), ვილჰელმსონი (46. ჰოლმენი), ბერგი (67. ნანსკოგი), როზენბერგი.

**გოლები:** 0:1 ელმი (58), 0:2 კალსტრიომი (63)

**მაყურებელი:** 11 800

**პორტუგალია-ფინეთი 1:0**

**პორტუგალია:** ედუარდო (61. დანიელ ფერნანდეში), მიგელი (62. პაულო ფერეირა), როლანდო, ბრუნო ალვეში, დუდა, დეკუ, პეპე (46. რაულ მეირელესი), ტიაგო (46. მანიშე), ნანი (77. დანი), უგო ალმეიდა (57. ორლანდო), კრისტიანო რონალდო.

**ფინეთი:** იაასკელაინენი (46. მაენპაა), პასანენი, ტიჰინენი, კალიო, იოჰანსონი, ჰეიკინენი, ერიომენკო, კოლკა (81. ჰაკოლა), ლიტმანენი (46. სიოლუნდი), ფორსელი (46. კუკი).

**გოლი:** 1:0 კრისტიანო რონალდო (78-პენ)

**მაყურებელი:** 34 000

**ესპანეთი-ინგლისი 2:0**

**ესპანეთი:** კასილიასი (46. რეინა), პიკე, რაულ ალბიოლი (75. მარჩენა), კაპდევილია (46. არბელოა), სერხიო რამოსი, ჩაბი ალონსო, მარკოს სენა, ინიესტა, ჩავი (84. დანიელ გუისა), ვილია (56. სილვა), ფერნანდო ტორესი (64. ფ. ლორენტე).

**ინგლისი:** ჯეიმსი (46. გრინი), ტერი, იაგიელკა (46. აპსონი), ე. კოული, გ. ჯონსონი, ბერი (46. ლემპარდი), ქერიქი, დაუნინგი (46. ბექჰემი), რაიტ-ფილიპსი, აგბონლაჰორი (76. კ, კოული), ჰესკი (46. კრაუჩი).

**გოლები:** 1:0 ვილია (36), 2:0 ფ. ლორენტე (83)

**მაყურებელი:** 45 000

**გერმანია-ნორვეგია 0:1**

**გერმანია:** ადლერი, ჰინკელი (46. ბეკი), მერტეზაკერი (46. ტაში), ვესტერმანი, ლამი, ფრინგსი (68. მარინი), ბალაკი, შვაინშტაიგერი, ტროხოვსკი (78. ოზილი), კლოზე (46. ჰელმესი), გომესი (68. კისლინგი).

**ნორვეგია:** იარსტეინი, ჰოგლი, ვაელერი, ჰანგელანდი, ბერტელსენი, ანდრესენი, ბრაატენი (87. ნევლანდი), გრინდჰეიმი (79. სტრიომსტადი), სკიელბრედი (87. ჰუსეკლეპი), პედერსენი, ჰელსტადი (64. ბ. რიისე).

**გოლი:** 0:1 გრინდჰემი (63)

**მაყურებელი:** 44 000

**შვეიცარია-ბულგარეთი 1:1**

**შვეიცარია:** ვიოლფლი, ჟელსონ ფერნანდეში, სენდეროსი, გრიშტინგი (46. ჯურუ), მანინი (61. ციგლერი), პადალინო, ჰუგელი (61. ჯემაილი), ინლერი, ბარნეტი (46. აბდი), ფრაი (67. ჰაქან იაკინი), ნკუფო (46. დერდიოკი).

**ბულგარეთი:** გ. პეტკოვი (46. ივანკოვი), მანოლევი, ტოპუზაკოვი (61. ი. პეტკოვი), სტოიანოვი, მილანოვი, ტელიისკი (67. ტოდოროვი), ანგელოვი, ს. პეტროვი (83. კოტევი), გეორგიევი (71. დიმიტროვი), პოპოვი (58. რანგელოვი), ბერბატოვი.

**გოლები:** 0:1 პოპოვი (33), 1:1 ჰუგელი (45)

**მაყურებელი:** 9 500

**ტუნისი-ჰოლანდია 1:1**

**ჰოლანდია:** სტეკელენბურგი, ჰეიტინგა (85. ვან დერ ვილი), ოოიერი, მატიისენი, ბრაამჰეიდი, ვან ბომელი (59. დავიდ მენდესი), დე იონგი (58. შხაარსი), სნეიდერი (46. ჰუნტელაარი), რობენი, ვან პერსი (46. ვან დერ ვაარტი), კუიტი (46. ბაბელი).

**გოლები:** 0:1 ჰუნტელაარი (62), 1:1 საიპი (66)

**მაყურებელი:** 17 000

**ბელგია-სლოვენია 2:0**

**ბელგია:** სტიინენი, სიმონსი, ვან ბუიტენი, ვანდენ ბორე, ვერმაელენი (44. სვერტსი), დეფური (59. ჰაზარი), ფერტონგენი (86. სიმაესი), ვიტცელი (77. ჟილე), დე კამარგო, დემბელე (82. დე სუტერი), მირალა (46. მაარტენსი).

**სლოვენია:** ჰანდაროვიჩი, სესარი (75. შულერი), იოკიჩი, მაროჰი, მორეცი, კომაჩი (44. რადოსავლიევიჩი), კორენი (82. ჟლოგარი), შიშიჩი, სტევანოვიჩი, ლიუბიანკიჩი (49. დედიჩი), ნოვაკოვიჩი.

**გოლები:** 1:0 ვან ბუიტენი (20), 2:0 ვან ბუიტენი (85)

**საფრანგეთი-არგენტინა 0:2**

**საფრანგეთი:** მანდანდა, აბიდალი, გალასი, მექსე, სანია, გურკუფი, რიბერი, ტულალანი, ლ. დიარა, ანელკა (65. ბენზემა), ანრი.

**არგენტინა:** კარისო, დემიკელისი, ჰაინცე, პაპა, ძანეტი, გუტიერესი, მასკერანი, მაქსი როდრიგესი (81. ანგელერი), გაგო, აგუერო (82. ტევესი), მესი.

**გოლები:** 0:1 გუტიერესი (41), 0:2 მესი (83)

**მაყურებელი:** 48 000

**მოლდოვა-მაკედონია 1:1**

**გოლები:** 0:1 პანდევი (54), 1:1 ანდრონიკი (60)

**ლიბია-ურუგვაი 2:3**

**გოლები:** 0:1 ეგურენი (13), 1:1 ესნანი (31), 2:1 ფაზანი (58), 2:2 მარტინესი (70), 2:3 ბარაგანი (74)

**ლიხტენშტაინი-ისლანდია 0:2**

**გოლები:** 0:1 სმარასონი (28), 0:2 გუდიონსენი (48)

**კვიპროსი-სლოვაკეთი 3:2**

**გოლები:** 1:0 მარანგოსი (32-პენ), 2:0 ნიკოლაუ (74), 3:0 ოკასი (83), 3:1 იეჟი (89), 3:2 იენდრიშეკი (90)

**ისრაელი-უნგრეთი 1:0**

**გოლი:** 1:0 ბენაიუნი (76)

**ყაზახეთი-ესტონეთი 2:0**

**გოლები:** 1:0 ბალტიევი (28), 2:0 ბალტიევი (82)

**ლიტვა-ანდორა 3:1**

**გოლები:** 1:0 ველიჩკა (44), 2:0 სერნასი (53), 2:1 ლიმა (78-პენ), 3:1 კავალიუსკასი (83)

**ს. აფრიკა-ჩილე 0:2**

**გოლები:** 0:1 ვალდივია (45), 0:2 სანჩესი (66)

**ლატვია-სომხეთი 0:0**

**მოზამბიკი-მალავი 2:0**

**ეგვიპტე-განა 2:2**

**ქუვეითი-აზერბაიჯანი 1:1**

**ალჟირი-ბენინი 2:1**

**იამაიკა-ნიგერია 0:0**

**ტოგო-ბურკინა ფასო 1:1**

**კამერუნი-გვინეა 3:1**



საბერძნეთი-დანია. დელასი მეტოქეთა გარემოცვაში

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

#### ამხანაგური მატჩები

**Under 21**

| | |
|---|---|
| კვიპროსი-სერბეთი | 0:2 |
| ხორვატია-მაკედონია | 2:1 |
| ისრაელი-მოლდოვა | 4:1 |
| სლოვენია-რუმინეთი | 3:1 |
| ტუნისი-საფრანგეთი | 1:1 |
| იტალია-შვედეთი | 1:1 |

**კლუბები**

| | |
|---|---|
| კოპენჰაგენი-ლუნგბიუ | 4:0 |
| ამკარი-რანდერსი | 1:0 |
| ვეილე-სკივე | 3:0 |
| ორჰუსი-ზაგრები | 1:0 |
| ოლბორგი-ზარია | 1:1 |
| ჰორსენსი-სან ფერნანდო | 3:1 |

#### საბერძნეთი

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ვერია-პიერიკოსი | 1:0 |

#### კვიპროსი

| | |
|---|---|
| ეთნიკოსი (ა)-აეკ | გადაიდო |

### კალათბურთი

#### ევროლიგა

| | |
|---|---|
| პროკომი-ოლიმპიაკოსი | 68:93 |
| ტაუგრესი-მილანი | 108:90 |
| პარტიზანი-უნიკახა | 60:59 |
| მონტეპასკი-ცსკა | 74:56 |

#### ევროჩელენჯი

| | |
|---|---|
| ტელეკომი-ლიეჟი | 79:64 |
| ვირტუსი-კიევი | 68:64 |

### ჰოკეი

#### კჰლ

| | |
|---|---|
| მეტალურგი (მ)-ცსკა | 4:4 |
| ს. იულიაევი-სპარტაკი | 2:1 |
| ლადა-ავანგარდი | 2:0 |
| აკ ბარსი-ვიტიაზი | 4:2 |
| ტორპედო-დინამო (მნ) | 3:2 |
| დინამო-ატლანტი | 4:2 |

#### გერმანია

| | |
|---|---|
| კასელი-მანჰაიმი | 2:3 |

#### ჩეხეთი

| | |
|---|---|
| ვიტკოვიცე-ზნოიმო | 4:0 |
| ჟლინი-ტრშინეცი | 2:1 |
| ლიტვინოვი-სლავია | 2:5 |
| ბოლესლავი-პარდუბიცე | 1:2 |
| კარლოვი ვარი-კლადნო | 2:2 |
| ლიბერეცი-პლზენი | 4:5 |
| სპარტა-ბუდეიოვიცე | 3:2 |

### ჩოგბურთი

#### ATP. როტერდამი

| | |
|---|---|
| სიმონი-კოლშრაიბერი | 7:5, 7:6 |
| ანჩიჩი-შუტლერი | 7:5, 6:2 |
| კარლოვიჩი-ლოდრა | 6:4, 3:6, 4:6 |
| ფერერი-იუჟნი | 2:6, 6:3, 2:6 |
| ცონგა-ჰუტა გალუნგი | 7:6, 7:6 |
| კოროლიოვი-ჟიკელი | 6:3, 3:6, 2:6 |
| ნადალი-ბოლელი | 4:6, 6:2, 7:5 |

#### ATP. სან ხოსე

| | |
|---|---|
| შტეპანეკი-გუჩიონე | 6:2, 7:6 |

#### WTA. პარიზი

| | |
|---|---|
| შნიდერი-ა. ბონდარენკო | 6:4, 7:6 |
| ს. უილიამსი-ბენეშოვა | 6:1, 6:4 |
| მორესმო-ერანი | 6:2, 6:0 |
| კანეპი-ლუა | 6:2, 3:6, 1:6 |
| იანკოვიჩი-სკიავონე | 7:5, 7:6 |
| დემენტიევა-სუგიამა | 6:4, 6:3 |

#### WTA. პატაია

| | |
|---|---|
| ტანასუგარნი-ამანმურადოვა | 6:2, 7:6 |
| ბამერი-დუშევინა | 4:6, 5:7 |
| დიაჩენკო-ფუდა | 6:3, 1:6, 6:3 |
| პეერი-ლერტჩივაკარნი | 6:1, 6:0 |

## TV პროგრამა

### 12 თებერვალი. ხუთშაბათი

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

**08:20** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ჰემი-მანჩესტერ იუნ.
**10:10** არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**11:10** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. ოსასუნა-ვალენსია.
**13:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**13:20** ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი. სან ლორენსო (არგენტინა)-სან ლუისი (მექსიკა).
**15:10** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ნიცა-ლიონი.
**17:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**17:20** არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**18:20** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-რასინგი.
**20:10** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**20:35** უიქ ენდის მატჩების ანონსი.
**20:45** 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
**21:45** ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი. სან ლორენსო (არგენტინა)-სან ლუისი (მექსიკა).
**23:35** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**23:50** გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-შტუტგარტი.
**01:40** არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**02:40** 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
**03:40** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. არგენტინის ჩემპიონატი. რივერ პლეიტი-კოლონი.
**05:30** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ვერდერი.

#### EUROSPORT

**11:30** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. III დღე. პარიზი. საფრანგეთი.
**12:45** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. გიგანტური სლალომი. I ცდა. ქალები. ვალ დ'იზერი. საფრანგეთი (LIVE).
**14:00** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ავსტრია-შვედეთი.
**15:00** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. პორტუგალია-ფინეთი.
**15:45** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. უელსი-პოლონეთი.
**16:30** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. გიგანტური სლალომი. II ცდა. ქალები. ვალ დ'იზერი. საფრანგეთი (LIVE).
**17:30** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/8 ფინალი. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
**20:50** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ვალ დ'იზერი. საფრანგეთი.
**21:00** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**21:05** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/8 ფინალი. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
**23:00** ბრძოლა წესების გარეშე.
**02:00** რესტლინგი.
**03:00** რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ნორვეგია.
**03:00** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი.

#### EUROSPORT-2

**10:30** ახალი ამბები.
**13:00** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი.
**14:00** ახალი ამბები.
**14:30** ენდურო. მსოფლიოს თასი. მადრიდი. ესპანეთი.
**15:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/8 ფინალი. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
**16:45** ახალი ამბები.
**17:30** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. პორტუგალია-ფინეთი.
**18:15** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ავსტრია-შვედეთი.
**19:00** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. უელსი-პოლონეთი.
**19:45** ახალი ამბები.
**20:00** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი.
**21:00** ახალი ამბები.
**21:30** სნოუბორდი. მსოფლიოს თასი. იაპონია.
**22:00** ფრისტაილი. მსოფლიოს თასი. აშშ.
**22:30** ახალი ამბები.
**23:00** ბილიარდი.
**00:00** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. უელსი-პოლონეთი.
**00:45** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ავსტრია-შვედეთი.
**01:30** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი პორტუგალია-ფინეთი.
**02:15** ახალი ამბები.

## უცხოური სპორტი

ფორმულა 1

# ჰონდა გაიყიდა?




"ჰონდა რეისინგი" გადარჩა და ეს საჯინიბო 2009 წლის ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას - ამ სენსაციურ ინფორმაციას RealHondaf1.com ავრცელებს.

ინტერნეტგამოცემამ სანდო წყაროზე დაყრდნობით გაარკვია, რომ გუნდი უკვე გაიყიდა და თითქმის ყველა საჭირო დოკუმენტზე "ჰონდას" ხელმძღვანელობისა და მყიდველი მხარის ხელმოწერები არსებობს. ამ სეზონში გუნდის ძირითადი პილოტები იქნებიან ბრიტანელი **ჯენსონ ბატონი** და ბრაზილიელი **ბრუნო სენა**, ტექნიკური პარტნიორი - "მერსედესი". ასევე ცნობილი ხდება, რომ საჯინიბოს ერთი სატიტულო და ხუთი ჩვეულებრივი სპონსორი ეყოლება, რაც გუნდს სრულფასოვანი სეზონის უპრობლემოდ გამართვის საშუალებას მისცემს. გარდა ამისა, ფორმულა 1-ის ფაქტობრივი მფლობელი **ბერნი ექლსტოუნი** და ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი **მაქს მოსლი** "ჰონდას" სატრანსპორტო ხარჯების დაფარვაში დაეხმარებიან.

მაგრამ უცნობი რჩება მთავარი საკითხი - ვინ არის მყიდველი და რა სახელწოდებით გამოვა გუნდი მსოფლიოს წლევანდელ ჩემპიონატში? ამის შესახებ, უახლოეს პერიოდში უნდა გამოაცხადონ.

# ვინ არის მოღალატე?

როგორც იცით, წელს კვლავ შეიქმნა პრობლემები ფორმულა 1-ის პილოტთა სუპერლიცენზიის მაღალ ფასთან დაკავშირებით. ამის გამო, ავტომრბოლთა პროფკავშირმა პილოტებს პროტესტის ნიშნად მოუწოდა, რომ არ იჩქარონ ახალ ფასებში ლიცენზიების შეძენა. პრაქტიკულად, ეს სპორტსმენების გაფიცვისკენ წაქეზებას ნიშნავდა.

პილოტების ერთსულოვნების შემთხვევაში, შესაძლოა, ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციას უკან დაეხია, მაგრამ ჩემპიონატის მონაწილეთა შორის "მოღალატეები" ყოფილან.

როგორც GrandPrix.com იუწყება, გუშინ სამმა პილოტმა ახალი ფასებით შეიძინა სუპერლიცენზია. ჯერჯერობით ცნობილი არ არის, რომელმა ავტომრბოლებმა შეადგინეს ეს ტრიო. გამორიცხული არ არის, რომ ესენი იყვნენ ჩემპიონატის ის მონაწილეები, რომლებიც გრანპრის პილოტთა ასოციაციაში (GPDA) არ შედიან, მაგალითად, **ლუის ჰემილტონი** ან **ფელიპე მასა**. არ არის გამორიცხული, პროტესტის გამოხატვა არ მოესურვებინა **კიმი რაიკონენს**, რომელიც გულგრილი იყო პროფკავშირის აღშფოთების გამომხატველი განცხადებების მიმართ...

სამთო-სათხილამურო სპორტი

# რა დროს შამპანური იყო?!




გუშინ, ვალ დ'იზერში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე მედლების მორიგი კომპლექტი მამაკაცებს შორის გუნდურ პირველობაში უნდა გათამაშებულიყო, მაგრამ ტურნირის ორგანიზატორებმა სტარტის გაუქმება გადაწყვიტეს. ამის მიზეზი გახდა ის ძლიერი ნამქერი, რომელმაც ფრანგული ალპები დაფარა.

მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში ეს მეორე შემთხვევაა, როცა ტურნირზე ერთ-ერთ დისციპლინაში გამარჯვებული არ გამოვლინდა. 1993 წელს, იაპონიაში კაცებს შორის სუპერგიგანტი არ ჩატარდა.

■ ■ ■

კიდევ ერთი საინტერესო ინფორმაცია მსოფლიოს ჩემპიონატის გმირს, ამერიკელ **ლინდსი ვონს** უკავშირდება. ვალ დ'იზერში ორი ოქროს მედლის მფლობელმა მოთხილამურემ ხელის ცერა თითის ტრავმის გამო დღეს დანიშნული გიგანტური სლალომის გამოტოვება და შაბათს, სლალომისთვის ძალების შენახვა გადაწყვიტა.

ვონმა ტრავმა მეტად კურიოზულ სიტუაციაში მიიღო. სწრაფდაშვებაში მოპოვებული გამარჯვების აღნიშვნისას, სპორტსმენმა თითი შამპანურის ბოთლის გახსნისას დაიზიანა. როგორც იცით, ლინდსიმ ვალ დ'იზერში სწრაფდაშვების გარდა, სუპერგიგანტის სტარტი მოიგო.

კრივი

# მარგარიტო ერთი წლით დაისაჯა



კალიფორნიის შტატის სპორტულმა კომისიამ მკაცრად დასაჯა ნახევრად საშუალო წონაში WBA-ის ყოფილი ჩემპიონი **ანტონიო მარგარიტო**. მექსიკელ მოკრივეს მინიმუმ ერთი წლით აეკრძალა ამერიკის ტერიტორიაზე ბრძოლების ჩატარება.

ამგვარი სასჯელის მიზეზი მარგარიტოსა და ამერიკელ **შეინ მოზლის** შორის გამართული ბრძოლის წინ მომხდარი ინციდენტი გახდა. შეგახსენებთ, რომ მარგარიტოს ხელებზე შემოხვეულ ბინტებში აღმოაჩინეს ნივთიერება, რომელიც თაბაშირს ჰგავდა. ამის გამო, მექსიკელ მოკრივესა და მის მწვრთნელ **ხავიერ კაპეტილიოს** დროებით ლიცენზიები ჩამოართვეს.

ერთი წლის შემდეგ, მარგარიტო კალიფორნიის სპორტულ კომიტეტს ლიცენზიის აღდგენისთვის თხოვნით მიმართავს. თუმცა ლიცენზიის არქონა ანტონიოს ხელს ვერ შეუშლის, ბრძოლები სამშობლოში გამართოს.

კომისიის გადაწყვეტილება იმას ნიშნავს, რომ 13 ივლისს აღარ გაიმართება ნიუ-იორკში დანიშნული ბრძოლა მარგარიტოსა და **მიგელ კოტოს** შორის.

ამერიკული ლიცენზიის ჩამორთმევას უკვე გამოეხმაურა მარგარიტოს მწვრთნელი ხავიერ კაპეტილიო. სწორედ ის იღებს მთელ პასუხისმგებლობას შექმნილი სიტუაციის გამო და ასეთ განცხადებას აკეთებს: *"დიდი შეცდომა დავუშვი. არ მინდოდა, მარგარიტოს პრობლემები შექმნოდა. ვაპირებდი, ბრალი საკუთარ თავზე ამეღო, მაგრამ სამწუხაროდ, ჩემი შეგირდიც ვერ გადაურჩა სასჯელს".*

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჩოგბურთი

# ანას ახალი მწვრთნელი



მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს **ანა ივანოვიჩს** ახალი მწვრთნელი ჰყავს. სერბი ჩოგბურთელის კრიზისიდან გამოყვანას ამერიკელი სპეციალისტი **კრეინ კარდონი** ეცდება. ეს მწვრთნელი ლეგენდარულ **მარტინა ნავრატილოვასთან** თანამშრომლობით არის ცნობილი. გარდა ამისა, კარდონი სხვადასხვა წელს **ლინდსი დავენპორტს, მარი პირსსა** და **ჯენიფერ კაპრიატის** ავარჯიშებდა.

*"მოხარული ვარ კრეიგთან მუშაობის დაწყებით. ვნახოთ, როგორ წარიმართება ჩვენი თანამშრომლობა უახლოეს პერიოდში, რის შემდეგაც, შესაძლოა, ხანგრძლივი კონტრაქტის გაფორმებამდეც მივიდეს საქმე. მას ძალიან დიდი გამოცდილება აქვს. კრეინი შემტევ ჩოგბურთს ანიჭებს უპირატესობას და იმედი მაქვს, მისი მეცადინეობით კარგ შედეგებს მივაღწევ"*, - აცხადებს სერბი ჩოგბურთელი.

შეგახსენებთ, რომ შარშან მაისში, როლან გაროსის მოგების შემდეგ, ანას სერიოზული წარმატებისთვის აღარ მიუღწევია და მსოფლიოს კლასიფიკაციაში საუკეთესო ხუთეულის მიღმა აღმოჩნდა.

ოლიმპიზმი

# მადრიდი და რიო ბრძოლას იწყებენ

მადრიდმა და რიო-დე-ჟანეირომ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში 2016 წლის ოლიმპიადის მასპინძლობისთვის ოფიციალური განაცხადები გაგზავნეს. ეს არის დაახლოებით 100-გვერდიანი ტექსტისგან შემდგარი წიგნი, რომელშიც მოცემულია სპორტული ობიექტებისა და სასტუმროების მშენებლობის გეგმა, წინასწარი ბიუჯეტის ანგარიში, ქვეყნის მთავრობის საგარანტიო წერილი, ტრანსპორტისა და უსაფრთხოების შესახებ ინფორმაცია, აგრეთვე პასუხები საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ანკეტის კითხვებზე.

ვარაუდობენ, რომ სხვა კანდიდატი ქალაქები - ჩიკაგო და ტოკიო საგანაცხადო წიგნებს დღეს წარმოადგენენ. ხვალ კი განაცხადების შინაარსს სპეციალურ პრესკონფერენციაზე გამოამზეურებენ.

შეგახსენებთ, რომ ამ ოთხ ქალაქს შორის XXXI ოლიმპიადის მასპინძელს 2 ოქტომბერს კოპენჰაგენში, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე აირჩევენ.





